

825  
1985

ISSN: 0763-7247



# გუგაბი

ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში

პარიზი	N° 6	PARIS
*****		
ივლისი	1985	JUILLET



\*\*\*\*\*

„თავისუფლებავ შენ ხერ კაცთა ნავსაყუდარი,  
 „შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი,  
 „შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,  
 „შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა!“-ი ლ ი ა

\*\*\*\*\*

-34- 4-51

ამ ნომრის პერიოდში ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი  
 26. მაისის თარიღია, რადგანაც იგი აღნიშნავს ჩვენი  
 სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენის წლისთავს,  
 117 წლის განმავლობაში რუსთა მპყრობელობის შემდეგ.  
 წელს 67 წლისთავი შესრულდა და ეს დღე ჩვენი მთა-  
 ვარი ეროვნული დღესასწაულია.

მართალია, ის დამოუკიდებლობა მალე დაგვიმხეს ისევ  
 რუსებმა, მაგრამ ის ჩვენ გულში ცოცხლობს და მას  
 საბოლოოდ ვერ მოჰკლავენ. არც ქართველი ხალხის გუ-  
 ლი დაცხრება მანამ, სანამ დამოუკიდებლობას ისევ  
 არ აღიდგენს.

გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!  
 დიდება თავისუფალ ქართველ ხალხს!

61

\*\*\*\*\*

„გ უ შ ა გ ი“ („თავისუფლების ტრიბუნა“-ს გაგრძელება)  
 დევიზი: ს ა მ შ ო ბ ლ ო და თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა  
 გამოცემის პასუხისმგებელი: გიორგი წერეთელი

92512





\*\*\*\*\*

„სოლიდარობა საქართველო“

„რეპრესირებულ ქართველთა დამხმარე კომიტეტი.“

როგორც გუშაგის ამის წინა ნომერში ვიტყობინებოდით, იმ მიზნით, რომ მატერიალური, იურიდიული და მორალური დახმარება აღმოუჩინოს სამშობლოში მათ, ვინც: ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების, დედაენის, კულტურის, ადათ-ზნე-წესჩვეულებების და სარწმუნოების დაცვის გამო, იდეგნებიან, არიან პატიმრობაში, გადასახლებაში, თუ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში,—

პარიზში დაარსდა 1985 წლის 5 ივნისის თარიღით „რეპრესირებულ ქართველთა დამხმარე კომიტეტი“, „სოლიდარობა საქართველო“-ს მთავარი სახელწოდებით.

„სოლიდარობა საქართველოს“ დროებით აღმასრულებელ საბჭოში, რომელიც ფეხზე დააყენებს და გაუძღვება საზოგადოებას არა უმეტეს ერთი წლისა, კეთილინებებს და შევიდენ (ანბანური რიგით):

ქ. თამარ ამილახვარი-კინსკისა, ბ. მიხეილ ვოდე, დეკანოზი მამა ილია მელია, ბ. თამაზ ნასყდაშვილი, ქ. თამარ შარაშიძე-ბურანისა, ქ. ეთერი წერეთელი, ბ. გიორგი წერეთელი, ბ. ოთარ ზურაბიშვილი, ბ. ტარიელ ზურაბიშვილი.

საბჭომ თავმჯდომარედ აირჩია ბ. ტარიელ ზურაბიშვილი, თავმჯდომარის მოადგილედ—ქ. ეთერი წერეთელი, მოლარედ—ქ. თამარ ამილახვარი-კინსკისა და მისვე ბინაზე: 15, AV. Robert Schuman, Paris 7-eme დააწესა კომიტეტის მისამართი, საბჭოს მდივნად—ბ. მიხეილ ვოდე.

საბჭომ შეიმუშავა „სოლიდარობა საქართველოს“ წესდება, რომლის დანიშნულება და მიზანი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

**დანიშნულება.** დადგინდა რა რომ მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მატერიალური, იურიდიული და მორალური დახმარების აღმოჩენა იმ ქართველებისათვის, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებისაგან რეპრესიებს გა-

\*\*\*\*\*



ნიციდიან მათი პოლიტიკური, კულტურული, თუ საკულტო საქმიანობების, ან აზრის გამოთქმის გამო, — გადაწყდა დაარსდეს საზოგადოებრივი ამ მიზნით საზოგადოება, საფრანგეთის რესპუბლიკის 1901 წლის 1 ივლისის კანონის შესაბამისად. ეს საზოგადოება იღებს სახელწოდებას: სოლიდარობა საქართველო და ქვე-სახელწოდებას: რეპრესირებულ ქართველთა დამხმარე კომიტეტი.

**მუხლი 1. მიზანი :**

წინ გამოთქმული აზრის მიხედვით, „სოლიდარობა საქართველო“ 3 მიზანს ისახავს: ა) მატერიალური, იურიდიული და მორალური დახმარების აღმოჩენა იმ ქართველებსაღმი, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებიან მათ მიერ ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების, ადამიანის უფლებების, ან სინდისის თავისუფლების სასარგებლოდ წარმოებული საქმიანობის, ან გამოთქმული აზრის გამო.

ბ) იურიდიული, მორალური და განსაკუთრებით მატერიალური დახმარების აღმოჩენა ა) განყოფილებაში დახასიათებულ პატიმართა გაჭირვებაში მყოფ ოჯახების წევრებს.

გ) მატერიალური, იურიდიული და მორალური დახმარების აღმოჩენა დასაწყისში იმ ქართველებს, რომლებიც, იმის შიშით, რომ მათი სიცოცხლე ან თავისუფლება საფრთხეშია, მათ მიერ გამოთქმული აზრის ან საქმიანობის შემდეგ, — იძულებული არიან სამშობლოდან ილტვონ და უცხოეთს შეაფარონ თავი.

უპირველესად უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი მიზნისა და დანიშნულების საზოგადოება არასოდეს არ არსებულა ქართული ემიგრაციის ისტორიაში და ამევე დროს, როგორი გამამხნევებელი, როგორი იმედის მიმცემი იქნებოდა ასეთი დახმარების აღმოჩენა ყველა მათთვის, ვინც იქ, სამშობლოში ბედავს და ხმას იმაღლებს ეროვნული დამოუკიდებლობისა თუ თავისუფლების სასარგებლოდ და, რომლებიც ამის გამო სასტიკად იღვენებიან.

„სოლიდარობა საქართველო“ თავის საქმიანობაში არ დაუშვებს არავითარ პარტიულ, კონფესიონალურ, ჯგუფურ ან პიროვნულ მიკერძობებას. იგი ზუსტად და მკაცრი კონტროლის ქვეშ იმოქმედებს მისი წესდების ფარგლებში.



„დიადი გამარჯვება“, თუ: ვაის  
ყარე, უის შევეყარე?

ვერობაში მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა გერმანიის უპირობო კაპიტულაციით 1945 წლის რვა მაისს ნაშუალამევს, ხოლო წყნარ ოკეანეში, იაპონიის ასევე უპირობო კაპიტულაციით იმავე წლის 15 აგვისტოს, რაც 2 სექტემბერს ოფიციალური ხელმოწერით იქნა დადასტურებული. ომიდან გამარჯვებული გამოვიდნენ: საბჭოთა კავშირი, ნაციონალისტური ჩინეთი, ამერიკის შ. შტ., დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვა მათი მოკავშირენი. ომი მოიცავდა თითქმის მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს, ორი ოკეანეთი და ხუთი მატერიკით. ომში ჩაბმული იყო 90: მილიონზე მეტი ჯარისკაცი, რომელთაგან დაიღუპა დაახლოებით 40: მილიონი. მარტო ეს მონაცემებიც მეტყველებენ ამ ომის დიდმნიშვნელობაზე.

მას შემდეგ 40: წელიწადი გავიდა. როგორც იტყვიან: ბევრმა წყალმა ჩაიარა. ქვეყნად ბევრი რამ მოხდა და ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ, რაც მთავარია, იმ ომში გამარჯვებული მოკავშირეები ორ შეუთრეგებელ მტრულ ბანაკებად გაიყვნენ და ამ შეუთრეგებელ დაპირისპირებაში გვიხდება ცხოვრება ამ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში. თუ მაინც მესამე მსოფლიო ომი ჯერ კიდევ არ აფეთქებულა, ამას უნდა ვუმადლოდეთ არა დღევანდელი ანტაგონისტების გონიერებასა და მშვიდობისმოყვარეობას, არამედ დღევანდელი ომის საშუალებების აპოკალიპსურ ხასიათს, რომელიც ადამიანთა მოდგმას საერთოდ სიკვდილს უქადის. ჰიროშიმასა და ნაგასაკის ქალაქებზე აფეთქებული ატომური ბომბებით დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. პირველყოფილი წყალბადის ატომ-ბომბები შეიცვალა ათასჯერ უფრო ძლიერმა თერმო-ბირთვულმა ბომბებმა, რომელთა მიზანში მიტანისა და მორტყმის ტექნიკა საარაკოდ გაუშკობესდა. უკვე დამზადებული და ასამოქმედებლად მზადმყოფი ამ ბომბების ერთი მესამედი საკმარისია მთელ დედამიწაზე სიცოცხლის სრულიად მოსასპობლად. საბჭოთა რკინის ფარდით გაყოფილი კაცობრიობა,

\*\*\*\*\*




ორივე მხარეზე მიზანში ამოღებული და მეკობრეთა მსგავსად მძევლად აყვანილი, უშეფოთებული ელის მის აღსასრულს დასასრულებრივ ხსნა-გადარჩენას.

ასეთ პირობებში ჩატარდა წელს რვა და ცხრა მაისს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 40 წლისთავი, ფარდის ორივე მხარეს ცალცალკე. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის დემოკრატიულ ბანაკში იგი ჩატარდა ძალიან უბრალოდ, ყველგვარი ზარ-ზეიმების გარეშე; ამერიკის და ევროპის ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა მეთაურები ფედერალურ გერმანიას ესტუმრენ და მის მთავრობასთან ეკონომიური ხასიათის ჩვეულებრივი თათბირები გამართეს. გერმანიასა და საფრანგეთს შორის ძველი ანტაგონიზმის ნასახიც კი აღარ არსებობს. რაც შეეხება გერმანიისა და ამერიკის ურთიერთობას, აქაც ზეცა უღრუბლოა და პრეზიდენტმა რეიგანმა თავისი სიტყვითა და მოქმედებით ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა ამ ორი ხალხის საბოლოო შერიგებას და საჯაროდ განაცხადა რომ ამ დღეს ჩვენ ვზეიმობთ არა გერმანულ ხალხზე გამარჯვებას, არამედ თავისუფლებისა და დემოკრატიის გამარჯვების 40 წლისთავსა.

სულ სხვა სურათი იყო კომუნისტურ ბანაკში. კრემლისთვის ეს დღეები გახდნენ მის განკარგულებაში მყოფი ხალხების კიდევ ერთი მობილიზაციისა და დარაზმვის საბაბი უსახო მსოფლიო კაპიტალის იმპერიალიზმისა და სახიანი ამერიკის წინააღმდეგ. არა წარსულის გასაგებად და შესაგნებლად, არამედ მომავალი ომის ფსიქოლოგიურად მოსამზადებლად, საბჭოთა პროპაგანდა ყოფილი ომის შესახებ თხზავდა და თხზავს უამრავ ლეგენდებსა და მითებს, რომელთა შორის თავისი ფანტაზიით მაინც გამოირჩევა კრემლის ახალი ხაზეინის, მიხაილ გორბაჩოვის 8 მაისის მოხსენება კრემლის ყრილობათა სასახლეში, რომლიდანაც ზოგიერთი ადგილის მოყვანა, არც ჩვენი მკითხველებისთვის უნდა იყოს ზედმეტი და უინტერესო.

„გამარჯვების თავიდათავია სოციალიზმის, საბჭოთა ცხოვრების წესის ბუნება, დიდი სამამულო ომის საყოველთაო - სახალხო ხასიათი. ომმა, როგორც უდიდესმა განსაცდელმა, ძალზე რელიეფურად და რეალურად დაამტკიცა, რომ სწორედ ხალხის მასები წარმოადგენენ ისტორიის გადამწყვეტ ძალას. სხვა-

\*\*\*\*\*



დასხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანები მასობრივ გმირობას იჩენდნენ ბრძოლასა და შრომაში, უმკლავდებოდნენ მტერს და იცავდნენ თავიანთ სოციალისტურ სამშობლოს. მათ რაზმავდა და ფრთას ასხამდა დიდი რუსი ხალხი, რომლის ვაჟკაცობა, შეუპოვრობა და უტეხი ხასიათი გამარჯვებისადმი უძლეველი სწრაფვის შთამაგონებელი მაგალითია—“(ბ.ჩ.)

სანამ წინ წავიდოდეთ და ამ სადღეგრძელოს ყოველ სიტყვას ომის დროინდელ უდავო ფაქტებს შევეუდარებდეთ, მანამ აქვე მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ ჩვენს მიერ ხაზგასმულ სიტყვებს. ჰიტლერისა და საერთოდ გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის ყველაზე დასაგმობ თეორიასა და პრაქტიკას წარ-მოადგენს რასიზმი გერმანული და საერთოდ არიული მოდემის განსაკუთრებულობისა, რომელმაც ყველა სხვა ხალხებზე უნდა იბატონოს. გორბაჩოვის ზემოდ ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტ-ყვებიც ხომ სხვა არაფერია, თუ არა დასაგმობი რასიზმის გა-დამღერება, რუსული პრიმიტიული რასიზმის აღიარება? გორბა-ჩოვის რუსული რასიზმი მით უფრო მავნე და, მაშასადამე, დასაგმობია, რომ იგი ამავე დროს მარქსისტულ-სოციალისტურ ინტერნაციონალიზმსაც ეპოტინება. ორში ერთი: ან მას საერ-თოდ ადამიანები ბრიყვები ჰგონია, ანდა თვითაა ისეთი გონე-ბაშეზღუდული, რომ ორი ურთიერთგამომრიცხველი აზრისა და სიტყვის შეუთავსებლობაში ვერ ერკვევა.

„ფრონტსა და ზურგში,—აგრძელებს გორბაჩოვი,— გიგანტურ მუშაობას ხელმძღვანელობდნენ პარტია, მისი ცენტრალური კო-მიტეტი საკ.კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივ-ნის იოსებ ბესარიონის ძე სტალინის მეთაურობით...“

„გრანდიოზულ, წინათ არ ნახულ ბრძოლებში ფართოდ გამოვლი-ნდა ჩვენი სარდლებისა და მხედართმთავრების ნიჭი... ძლიერ, გამოცდილ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში გამოვლინდა საბჭო-თა სამხედრო მეცნიერებისა და მხედართმთავრული აზროვნების უპირატესობა—სტრატეგიული განჭვრეტა...“

„საბჭოთა არმიამ პირნათლად შეასრულა თავისი დიადი განმა-თავისუფლებელი მისია. იგი დამონებულ ევროპაში მივიდა რო-გორც განმათავისუფლებელი, იბრძოდა, რათა ბოლო მოეღო ომ-ისა და ფაშიზმისათვის, რათა ევროპის ხალხებს ეცხოვრათ მტკიცე და საიმედო მშვიდობის პირობებში...“

\*\*\*\*\*

გორბაჩოვის ეს სიტყვები, რომლებიც ერთთავად ომისდროინდელი სინამდვილეთა ანტითეზებია, სიახლეთ არ წარმოადგენენ, 40: წელიწადია, რაც ამგვარი ზღაპრებით კვებავს საბჭოთა პროპაგანდა საკუთარ და მსოფლიო ხალხებს და ეს დაჟინებული განმეორებები ზოგჯერ კიდევაც აღწევენ თავიანთ დანიშნულებებს. საბჭოთა საზოგადოებაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელსაც სხვა წყრობებზე ხელი არ მიუწვდება, თავისუფალ სამყაროშიც ცოტას არ შეხვდებით, თვით პასუხისმგებელ პოლიტიკურ წრეებში, რომლებიც საბჭოთა ოფიციალურ ვერსიებს მეორე მსოფლიო ომზე ხალას ჭეშმარიტებად ღებულობენ. რაც შეეხება ქართულ აზროვნებას ამ ომზე, ის ძალიან დარბი და ცალმხრივია. საბჭოთა საქართველოში ეს აიხსნება მკაცრი ცენზურით, მაგრამ ჩვენს ემიგრაციაშიც ამ მხრით დიდი სილატაკაა, თუ მხედველობიდან გამოვუშვებთ ბ. გივი გაბლიანის საინტერესო მოგონება-ნარკვევს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, პრეტენზია არ გვაქვს ეს ხარვეზი ამოგავსოთ ამ საგაზეთო სტატიით, არამედ, როგორც ამ ომის მონაწილემ, ორმოცი წლისთავზე, ჩემი ქართველური წვლილი შევიტანო მის გაგებაში.

### ისტორიული ექსკურსი

სანამ წინ წავიდოდეთ, მოვიგონოთ ომის დასასრულის ზოგიერთი მთავარი მომენტი. 1945 წლის გაზაფხული და კერძოდ აპრილის თვე მწვერვალს წარმოადგენს ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის აგონიისას. ანგლო-საქსების ავიაციას უკვე მიწასთან გასწორებული და გაპარტახებული აქვს გერმანიის სოფლები და ქალაქები, მოშალეს კავშირგაბმულობები, ტრანსპორტი, ისინი უსაფრთხოდ ბატონობენ გერმანიის ცაში. უკვე 23 მარტს დასავლეთის მოკავშირეთა სამხედრო ძალებმა მდინარე რაინი გადალახეს, რომელთაც უკვე დეზორგანიზებული მოწინააღმდეგე ძველებურ წინააღმდეგობას ვეღარ უწევს, 17 აპრილს კაპიტულაციას ახდენს რურის არმია, 20: აპრილს საბჭოთა ჯარებმა გაარღვიეს ოდერ-ნეისის ფრონტი, 22 აპრილს ყუკოვის არმია უკვე გერმანიის რაიხის დედაქალაქში იბრძვის,

25 აპრილს მდინარე ელბზე ერთმანეთს ხედებიან ამერიკელი საბჭოთა ჯარები. გერმანიის მხედრობის მთავარსარდალთა თვის ცხადია: გერმანიის სამხედრო მანქანა მოშლილია, მას წინააღმდეგობის გაწევა აღარ ძალუძს და მას სხვა გამოსავალი აღარ რჩება, ალიების ულტიმატუმი—უპირობო კაპიტულაცია—უნდა მიიღოს, მაგრამ სანამ ბერლინის ბუნკერში მყოფი ჰიტლერი ცოცხალია, ვინ გაუბედავს მას ამას!? ზოგიერთი არმიების თვითნებურ ჩაბარებებს დასავლეთის ფრონტებზე ადგილი აქვს მაინც ფიურერის უნებართვოდ. რურის არმიის კაპიტულაცია ჩვენ უკვე ვახსენეთ, ხოლო იტალიის ფრონტზე გერმანიის ჯარების მთავასარდალი ფელდმარშალი ფონ ვიეტინგოფი უპირობო კაპიტულაციის აქტზე ხელს აწერს 29 აპრილს, ამერიკელ მთავარსარდალ გენერალ ალექსანდერთან.


30 აპრილს, თავის საკანცლერო ბუნკერში, თავს იკლავს ჰიტლერი და ცოლშვილთან ერთად თავს იწამლავს მისი პოლიტიკური მარჯვენახელი, ინფორმაციისა და პროპაგანდის მინისტრი იოსებ-იოანე გებელსი, რაც საქვეყნოდ ცნობილი ხდება მეორე დღეს—1 მაისს. ამ აქტით ომი ევროპაში პრაქტიკულად დამთავრებულია. ჰიტლერის მემკვიდრეს, ადმირალ დენიცი და გერმანების მთავარშტაბს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებთ: წინააღმდეგობა გაუწიონ და შეაკავონ საბჭოთა ჯარების წინსვლა, რაც შეიძლება მეტი ჯარები გადაიყვანონ დასავლეთის ფრონტებზე და იქ ჩაბარდენ ანგლო-საქსებს. ამ მიზნით, უკვე 2 მაისს დასავლეთის მოკავშირეების მთავარშტაბებში ცხადდებიან კანცლერ დენიციის საზავო პარლამენტარები, მაგრამ დასავლეთის ჯარების მთავარსარდალი, გენერალი აიზენჰაუერი და ინგლისელი ფელდმარშალი მონტგომერი კატეგორიულად მოითხოვენ საერთო უპირობო კაპიტულაციას ყველა ფრონტებზე, საბჭოთა ჯარების ფრონტის ჩათვლით. ორი დღის მოლაპარაკებებისა და ყოყმანის შემდეგ, 4 მაისს ქალაქ ლიუნებურგში ადგილი აქვს უპირობო კაპიტულაციის აქტზე ხელის მოწერას გერმანიის ჩრდილოეთის არმიის სახელით. ამ ზონაში დანიის საზღვართან ახლოს, ქ. ფლანსბურგში იმყოფებოდა დენიციის მთავრობის რეზიდენცია. ამიტომ ეს ზონალური კაპიტულაციის

\*\*\*\*\*

აქტი თავისთავად გულისხმობდა მთელი გერმანიის სახელით წინააღმდეგობის შეწყვეტას, მაგრამ საერთო კაპიტულაციის აქტზე ხელისმოწერაც აღარ დაიგვიანებს, მას ადგილი აქვს საფრანგეთის ქ. რემსში, გენ. აიზენჰაუერის მთავარ შტაბში, 7 მაისს 1 საათსა და 30 წუთზე. საბჭოთა მხარე ძალიან უკმაყოფილო დარჩა, რადგანაც კაპიტულაციის აქტზე ხელისმოწერაში მათ წარმომადგენელს მონაწილეობა არ მიუღია, სტალინის კატეგორიული მოთხოვნით, აქტზე ხელის მოწერა განმეორებით იქნა შესრულებული ქ. ბერლინში იმავე დღეს 24 საათზე, სადაც დამარცხებულ გერმანიის მხრიდან ხელი მოაწერეს: ვერმახტის შტაბის უფროსმა ფელდმარშალმა კეიტელმა, საზღვაო ძალების უფროსმა ადმირალმა ფრიდებურგმა და ავიაციის უფროსმა გენერალმა შტუმპფმა, გამარჯვებულებიდან: საბჭოთა კავშირის სახელით მარშალმა ჟუკოვმა, რომელსაც მხარს უმშვენებდა საგარეო საქმეთა მინისტრი, ავად მოსაგონარი ანდრეი ვიშინსკი, ამერიკის შ. შტ. სახელით—გენერალ ტედერმა, ინგლისის—გენერალმა სჯაცმა და საფრანგეთის—გენერალმა დე ლატრ დე ტასინიმ. სამხედრო ოპერაციების შეწყვეტა ოფიციალურად დანიშნული იყო 8 მაისს 24 საათზე.

### უპირობო კაპიტულაცია

ღერძის სახელმწიფოთა უპირობო კაპიტულაციის პრინციპი მიღებულიქნა დიდი ხნით ადრე ომის დამთავრებამდე, 1943 წ. პრეზიდენტ რუზველტისა და პრემიერ ჩერჩილის მიერ კასაბლანკას ისტორიულ კონფერენციაზე. ამ გადაწყვეტილებას სტალინიც შეუერთდა იმავე წელს თეირანის სამ დიდთა კონფერენციის დროს. იგი საჯაროდ იქნა საზეიმოდ გამოცხადებული და მისთვის მოკავშირეებს ბოლომდე არ უღალატნიათ. თქმა არ უნდა, რომ უპირობო კაპიტულაციის გადაწყვეტილებას ჰქონდა სერიოზული მოტივები. მის სასარგებლოდ მეტყველებდა პირველი მსოფლიო ომის გამოცდილება. აგრეთვე მოკავშირეები ფიქრობდენ, რომ ამგვარად უფრო ადვილი იქნებოდა ომის შემდეგ



მათ ზეგავლენა მოეხდინათ დამარცხებული ტოტალიტარული რეჟიმების ქვეყნებზე, იქ დემოკრატიული წესწყობილებების დანერგვის სასარგებლოდ. უპირობო და საერთო კაპიტულაციის გადაწყვეტილების გარეშე შესაძლებლობა რჩებოდა, რომ ჯერ კიდევ ომის მსვლელობაში დიდი ალიანსის სახელმწიფოები ცალცალკე მორიგებულიყვნენ მტრებთან, და მით დემოკრატიული ბანაკის საბოლოო გამარჯვება ფაშისტურ-ნაცისტურ ბანაკზე სათუოდ გამხდარიყო.

მართლაც, უპირობო საერთო კაპიტულაცია გახდა რა ოფიციალურ დოქტრინად მთელი ალიანსისათვის, იგი უცვლელი დარჩა ბოლომდე—ომის სრულ დამთავრებამდე და თვით გენერალ აიზენჰაუერმაც, რომელიც მიხვდა მის უარყოფით ზეგავლენას ომის მსვლელობაზე და 1944 წლის შემოდგომაზე შეეცადა მისი პირობების შემსუბუქებას, გერაფერი გააწყო ამ საკითხში. უპირობო საერთო კაპიტულაციის პრინციპი კიდევ ერთხელ იქნა დადასტურებული იალტის კონფერენციის მიერ, 1945 წლის თებერვალში და იმავე წლის 28 აპრილს კვლავ საჯაროდ უინსტონ ჩერჩილი აცხადებს ალიების სრულ თანხმობას ამ საკითხში.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადაწყვეტილებამ თავიდანვე დიდი კრიტიკა გამოიწვია და ეს კრიტიკა კიდევ უფრო გაძლიერდა გამარჯვებისა და ომის დამთავრების შემდეგ. ეს იმიტომ, რომ ამ დოქტრინამ იმის საწინააღმდეგო ფსიქოლოგიური შედეგი გამოიღო, რასაც მისი ავტორები მოელოდნენ, რადგანაც მან კიდევ უფრო შეამჟღადროვა და დარაზმა მოწინააღმდეგე, გააძლიერა მტრის წინააღმდეგობა, ომი გააგრძელა და მსხვერპლიც მეტი გამოიწვია. ნაცისტურმა პროპაგანდამ ამით იპოვნა უებარი იარაღი. გებელსის პროპაგანდამ ის გამოიყენა იშვიათი ხელოვნებით და გერმანელი ხალხი დააჯერა, რომ მისი ეროვნული ხსნის გზა შექმნილ პირობებში სხვა არ იყო, გარდა ფიურერის ირგვლივ დარაზმვა-შემჟღადროვებისა, მხოლოდ ჰიტლერს შეუძლია იხსნას გერმანია „ბოლშევიკ სლავთა ურდოე ბისაგანო.“

ომის მიერ შეწირული მსხვერპლი

საქართველო  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტრო

მეორე მსოფლიო ომის ხანგრძლივობა ერთი არ ყოფილა. ამ ომის დასაწყისად თვლიან 1939 წლის პირველ სექტემბერს, როცა გერმანიის ჯარები პოლონეთში შეიჭრენ და 3 სექტემბერს პოლონეთის მოკავშირე ინგლისმა და საფრანგეთმა გერმანიას ომი გამოუცხადეს. საბჭოთა კავშირს გერმანია თავს დაესხა ერთი წლისა და ცხრა თვის შემდეგ ომის დაწყებიდან და ამერიკის შ. შტ.-ორი წლისა და სამი თვის შემდეგ—1941 წ. 8 დეკ., იაპონიის მიერ კუნძულ პირლ-ჰარბურზე მის საზღვაო ძალებზე მუხანათური თავდასხმის შემდეგ. გერმანია და ინგლისისათვის ომი გაგრძელდა ყველაზე მეტ ხანს, 5 წელიწადი და 8 თვე. გერმანია ყოველი მიმართულებით ომობდა, ევროპაში და თვით აფრიკაშიც, ზღვებსა და ოკეანეებში ანგლო-საქსების საზღვაო და საჰაერო არმადების წინააღმდეგ, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირმა ოთხ წელზე ნაკლებს იომა, და მხოლოდ ერთადერთ ფრონტზე—დასავლეთისა.

მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა სულ დაახლოებით 90 მილიონი მხედარი, აქედან: საბჭ. კავშირის მხრიდან 22 მილ., ამერიკის შ. შტ.—14 მილ., დიდი ბრიტანეთის იმპერიის—12 მილ., გერმანიის—17 მილიონი და ა.შ.

სულ ომში დაღუპულთა რაოდენობას 35 - 60 მილიონ ადამიანს ანგარიშობენ. აქედან: საბჭ. კავშირს დაუკარგავს 18 - 20 მილიონი, ამერიკას—298.000; დიდი ბრიტანეთის იმპერიას—466.000, საფრანგეთს—563.000 (200.000 ჯარისკაცი, დანარჩენი სამოქალაქო) პოლონეთს—5.800.000 (125.000 ჯარისკაცი, დანარჩენი სამოქალაქო), იტალიას—395.000 (243.000 მხედარი, დანარჩენი სამოქ.), ჰოლანდიას—210.000; ბელგიას—88.000; გერმანიას—4.2000.000 (3.400.000 ჯარისკაცი, დანარჩენი სამოქ.), იაპონიას.. 2.000.000 და ა.შ.

ეს სტატისტიკური მონაცემები განსაკუთრებით კატასტროფულია საბჭოთა კავშირისათვის, მას ომის დემოთისთვის შეუწირავს მისი მოსახლეობის მეათედი. როგორც ვხედავთ, ამერიკას მისი მცხოვრებთა ნახევარი პროცენტიც არ დაუკარგავს, არც დიდი ბრიტანეთის იმპერიას, თუ გავითვალისწინებთ მის აურაცხელ მოსახლეობას. ბრძოლის ველზე, სამხედრო ოპერაციებში

\*\*\*\*\*

შედარებით ძალიან მცირე რიცხვი ჯარისკაცების დადუბულად საფრანგეთში, იტალიაში, ჰოლანდია-ბელგიასა და ~~ბენი-სალონ~~ ნეთშიც. მაგრამ ყველაზე საყურადღებო მაინც ის არის, რომ გერმანიას ამ ომში საბჭ. კავშირზე ხუთჯერ ნაკლები მხედარი და ცივილი დაუკარგავს და იგი მაშინდელი გერმანიის რაიხის მცხოვრებთა მეოცედიც არ არის.

ცივილიზებულ კაცობრიობის ომთა ისტორიაში მხედართმთავართა დამსახურება, სახელი და დიდება ყოველთვის ყოფილა ის, რომ უმცირესი დანაკლისით მოწინააღმდეგეებს გაცილებით მეტ მხედრობას უქვითავდნენ და ამარცხებდნენ. საბჭოთა ხელისუფალთათვის კი, როგორც სხვა ყველაფერი, საომარი ღირებულებანიც 180 გრადუსით არიან გადაყრავებულნი: ისინი დაჟინებით საკუთარ და მსოფლიო ხალხებს არწმუნებენ, რომ საბჭ. კავშირმა ყველაზე გაცილებით დიდი მსხვერპლი გაიღო ამ ომში და გამარჯვების დამსახურებაც ჩვენს მაშინდელ პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას ეკუთვნისო. სინამდვილე კი, მეტი რომ არ ვთქვათ, არც ასე მარტივია. უდავოა: საბჭოთა კავშირმა გაიმარჯვა და გამარჯვების ნაყოფი თითქმის მხოლოდ საბჭოთა რეჟიმმა მოიმკო, მაგრამ გამარჯვების დამსახურება ამ რეჟიმს და მის წარმომადგენლებს არამც და არამც არ ეკუთვნით. სრულიად საბჭოთა პოლიტიკის დამსახურება არ ყოფილა, რომ ომის დაწყებისთანავე საბჭოთა კავშირი აღმოჩნდა ანგლო-საქსების უმძლავრეს, უმდიდრეს და უმოწინავეს კოალიციაში. სწორედ ამ უკანასკნელებმა შეუქმნეს პირობები საბჭოთა კავშირს, რომ ჯერ არნახული სამხედრო დამარცხება, ასევე სრული გამარჯვებით დაემთავრებინა. გორბაჩოვები დღეს ამ მთავარ მომენტს გამარჯვებისას აღარ წყალობენ.

როგორ მოხდა მაინც, რომ საბჭ. კავშირმა ამდენი მეომარი დაჰკარგა! ხუთჯერ მეტი მის მტერ გერმანიაზე, მაშინ, როცა გერმანიის ჯარები ყოველმხრივ იბრძოდნენ და არა მარტო საბჭოთა ფრონტზე? ამის პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ასეთი გაუგონარი მსხვერპლის მიზეზია საბჭოთა პოლიტიკური ხელმძღვანელობის, პირველ რიგში სტალინის გონებრივი დამბლადაცემულობა და წითელი არმიის მთავარსარდლობისა და საერთოდ კადრების არა კომპეტეტურობა. დღეს არავისთვის

უცნობი აღარაა, რომ ომის დაწყების წინ, საბჭოთა ხელისუფლებამ კრიმინალური დანაშაული ჩაიდინა საკუთარი არმიის წინაშე, მისი საუკეთესო 35 ათასი კადრის დახვრეტით. მოგაგონებთ, რომ დახვრეტილთა შორის იყვნენ: 5-დან 3 მარშალი, 15-დან 13 არმიის სარდალი, 80-დან 75 კორპუსის სარდალი, 190-დან 70! დივიზიის უფროსი, 90-დან 75 უმაღლესი სამხედრო საბჭოს წევრი, 11 სამხედრო კომისრის თანაშემწე და ა. შ. (იხ. ელენ კარერ დ'ანკოს: „იუნ რევოლუსიონ იუნ ვიკტუარ“, გვ.272 )

ამას თუ დაფუძნებთ იმ საარაკო რეპრესიებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით კიროვის სიკვდილის შემდეგ და, რომელიც თითქმის ომის დაწყებამდე გაგრძელდა და, რომელსაც შეეწირა ძველი, გამოცდილი პარტიული და სახელმწიფო პასუხისმგებელი კადრების უმრავლესობა, ხოლო მათი ადგილი დაიკავეს ახლად დაწინაურებულმა ჯერ კიდევ სწავლადუმთავრებულმა, უვიცმა და გამოუცდელმა ახალბედებმა, მაშინ გასაგები უნდა იყოს ის ბედოვლათობა, რაც საბჭოთა კომპარტიის, სახელმწიფოს და არმიის უმაღლესმა ხელმძღვანელებმა გამოიჩინეს განსაკუთრებით ომის დაწყების პირველ დღეებსა და თვეებში. ისინი შეუწყალებლად მიერეკებოდნენ ბრძოლის თეატრებზე მილიონობით ადამიანებს, რომ ცოცხალი ჯებირით მტრის წინსვლა დაებრკოლებიათ, მაგრამ უძღურნი იყვნენ დროის შესაფერისი სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოყენების, სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო და საარტილერიო ძალების კომბინირების და სწორედ ამან გამოიწვია პირველი წლის კატასტროფული მარცხი და ორი ათეული მილიონი მკვდარი. 8 მაისს გორბაჩოვს უბრძანებია: საბჭოთა ჯარებმა ისწავლეს ბრძოლა, ისწავლეს უძლიერესი მტრის დამარცხება. ჩვენ მას ვუპასუხებდით: დიახ, ბ. მიხაილ, მართალი ბრძანდებით, მათ ბოლოს და ბოლოს მართლაც ისწავლეს ომი და გამარჯვების საიდუმლოება, მაგრამ ეს მათ ადრე უნდა ესწავლათ და არა ომის დროს, ოც მილიონ თანამებრძოლთა ცხედრებზე გადავლის შემდეგ!!!

## ქართველი ხალხის გაუღებვა



ომის შემდეგ რუსები, რა ფერისაც არ უნდა იყვნენ მისნი, თავს იმით მაინც ინუგეშებენ, რომ, მიუხედავად ომში გაღებული კატასტროფული მსხვერპლისა, რუსეთი (რეჟიმს აქ ნაკლები მნიშვნელობა აქვს.) ომიდან გამარჯვებული გამოვიდა და კიდევ ახალ-ახალი მიწები და ხალხები შეიძინა, უფრო სწორად: მოიხვეჭა. სტალინის რუსეთმა დიდათ გადააცილა თვითმპყრობელურ რუსეთის საზღვრებს, რუსეთის ჯარები დაბანაკებულნი არიან შუა ევროპაში, გარე მონგოლეთში, ავღანეთსა და ყოფილ საფრანგეთის ინდოჩინეთში, რომ აღარაფერი ვთქვათ კუბა-ნიკარაგუა-ეთიოპია-მოზამბიკა და სხვა კოლონიალურ მდგომარეობიდან განთავისუფლებული ხალხები, რომელთა სალოცავ მექად მოსკოვი გახდა. ამ ომის შემდეგ რუსეთი ისეთ მრისხანე სამხედრო ძალად იქცა, რომ მისი დამარცხების შესაძლებლობაზე სერიოზულად აღარ ლაპარაკობენ, არამედ ომის შემდეგ მუდამ საკითხი დგას მისი შეკავებისა და იგი დღემდე ხორციელდება ატომ-ბირთვული ომის მუქარის ფასად.

მაგრამ, რა გვაქვს ჩვენ, ქართველებს, სანუგეშო, და მით უფრო საამაჟო ამ ომის შედეგებით? განა სამარცხვინო, ეროვნული თავმოყვარეობის შემლახველი და დამამცირებელი არაა საბჭოთა საქართველოში ატეხილი ზარ-ზეიმი „სამამულო ომში“ გამარჯვების აღსანიშნავად?

1981 წელში თბილისში ლ. ბრეჟნევიმ საჯაროდ განაცხადა: საქართველოს რესპუბლიკამ 700,000 ჯარისკაცი გააგზავნა სამამულო ომის ფრონტებზე, რომელთაგან ნახევარი შინ ცოცხალი არ დაბრუნებულაო. 350 ათასი ახალგაზრდის დანაკლისი აუნაზღაურებელია ჩვენისთანა რიცხვმცირე ერისათვის. ასეთი ოდენობის ადამიანური დანაკარგი სხვა არ იცის ჩვენმა მრავალტანჯულმა ერის ისტორიამ, თვით მონგოლთა და შაჰ-აბასის სპარსთა მპყრობელობების შავბნელ ხანებშიაც კი.

როგორც ზემოდ მოყვანილ სტატისტიკიდან ჩანს, საქართველოს მსხვერპლი გაცილებით დიდია, ვიდრე ბელგიისა და ჰოლანდიისა, მაშინ, როცა მათი მოსახლეობა სამჯერ და ხუთჯერ მეტია საქართველოზე, ომი უშუალოდ მათ შეეხებოდათ და ბრძოლებმაც მათ გადაუარეს. იტალიამ, რომელიც ერთი მთავარი მეო-

მართაგანი სტელმწიფო და შინაური გადატრიალების გერმანული ჯარების ოკუპაციის და მისგან განთავისუფლების შესახებ რი ბრძოლების ველიც იყო, თითქმის საქართველოს ოდენი ჯარისკაცი დაჰყარა. დიდმა საფრანგეთმა და პოლონეთმა გაცილებით ნაკლები ჯარისკაცი დაკარგეს ომში, ვიდრე საქართველომ და თუ პოლონეთმა მაინც დიდძალი ხალხი დაჰყარა ომის განმავლობაში, ეს გამოწვეული იყო ქვეყნის ოკუპაციით, რასაც მოსახლეობა ეურჩებოდა და, რისთვისაც ოკუპანტები მათ სჯიდნენ. პოლონეთმა განსაკუთრებით დიდი მსხვერპლი გაიღო განთქმულ ვარშავის აჯანყებაში, ჯერ 1943 წელში და მეორედ 1944 წლის აგვისტოში საბჭოთა ჯარების იმედით, რომლებიც მდინარე ვისტულზე იდგნენ, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებებით, საბჭ. მთავრობამ მის ჯარებს გმირ აჯანყებულთა მიშველების ნება არ მისცა და გერმანელებს გააჟღერტინა. ისიც აღსანიშნავია, რომ დაღუპულ პოლონელთა უმრავლესობა (3 მილიონამდე) ებრაელები იყვნენ. რა თქმა უნდა, რეპრესიებში და აჯანყებებში დაღუპულთა პასუხისმგებლობა პოლონეთის მთავარსარდლობას არ მოეთხოვება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყანა ბრძოლის ველს არ წარმოადგენდა, ჩვენდა საბედნიეროდ, იქ გერმანული ჯარები არ შესულან (რომ შესულიყვნენ ალბათ იგივე ბედი გვეწეოდა, რაც ყირიმის თათრებსა და ჩრდილოკავკასიელებს.) და, მაშასადამე, ამ ჩვენს უზარმაზარ მსხვერპლს ადგილი ჰქონდა საქართველოდან შორს, ორგანიზებულ საომარ ოპერაციებში და, მაშასადამე, მისი მთლიანი პასუხისმგებლობაც საბჭოთა მთავარსარდლობას მოეთხოვება. ორში ერთი: ეს მათ ჩაიდინეს მათი სამხედრო უმეცრებით, ანდა ქართველი ხალხის მიმართ ბოროტი განზრახვით. ვინ იცის, იქნებ განგებ გააჟღერტის ქართული დივიზიები და არმიები გერმანელებს? ქართველ ჯარისკაცთა ერთ-ერთი უდიდესი სასაფლაოა ყირიმის ნახევარკუნძული, რომლის უკან დაბრუნებასაც შეწირეს ათიათასობით ქართველი მხედარი. მაგალითად, 1941 წელში საქართველოში გაფორმებული სამხედრო ნაწილები ჩასვეს შავი ზღვის საქონლის გადასაზიდ გემებში და ყოველგვარი

საზენიტო არტილერიის და გამანადგურებელი ავიაციის დასაცემის გარეშე გაუყენეს გერმანელების მიერ დაკავებულ თურქის დასაბრუნებლად. გერმანიის ავიაცია მოდიოდა ტალღებად, დაუსჯეულად ბომბავდა დაუცველ გემებს, რომლებიც ინთქმებოდნენ ზღვის უფსკრულში, პირამდე აესილ უბედურ ჯარისკაცებთან ერთად. ასე, თოფის გაუსროლელად, უბრძოლველად და უსახელოდ დაღუპეს საბჭოთა „სტრატეგებმა“ ათასობით სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა მხედარი. ეს მაგალითი არც იშვიათი გამონაკლისია და არც ყურმოკრული ამბავი. იგი ჩემს მიერ კარგად შემოწმებული ფაქტია, რადგანაც ბედმა მარგუნა ამ ნახევარკუჩხულის ბრძოლების მონაწილე ვყოფილიყავი 1942 - 43 წლებში.

რაც მთავარია, ეს ომი ჩვენი ომი არ იყო! იგი არ იყო პატრიოტული ომი ქართველებისათვის, როგორც ამას ურცხვად გაიძახის საბჭოთა პროჰაგანდა. პირიქით, ეს ზღვა ქართული სისხლი დაიღვარა, ჩვენი მპყრობელი ხალხისა და რეჟიმის გადასარჩენად. ჩვენ რომ ომის დაწყებისას დამოუკიდებელი ვყოფილიყავით, ჩვენ ჩვენი მეზობელი ოსმალეთივით ნეიტრალური ვიქნებოდით და დღეს სულ ცოტა 6 მილიონი მაინც ვიქნებოდით. აქაა ჩვენი ეროვნული ტრადიციის დედაარსი, თორემ ეს უსაზომო მსხვერპლი, რაც ჩვენ გავიღეთ, ჩვენი სამშობლოს დაცვას, მის დამოუკიდებლობასა და დიდებას რომ შეწირვოდა, მაშინ ის ასეთი სავალალოც აღარ იქნებოდა.

საბჭოთა ხელისუფლება სიტყვით მუდამ გაიძახოდა: ყველაფერზე ძვირფასი, ადამიანის სიცოცხლეაო, საქმით კი ყველთვის მისი დაუძინებელი მტერი იყო. ის არა მარტო ბრძოლის ველზე არ ზოგავდა ჯარისკაცის სიცოცხლეს, არამედ მან ბარბაროსულად გაწირა მილიონობით მისი სამხედრო ტყვე, რადგანაც არ იცნო მათი არსებობა და არ შეუერთდა წითელი ჯვრის საერთაშორისო ხელშეკრულებას ომის ტყვეთა შესახებ. სტალინი უტიფრად აცხადებდა, რომ მას ტყვეები არ ჰყავს და მისი ყოფილი ჯარისკაცები უგულოდ მიანება შიმშილის, სიცივის, სიბინძურის და გადამდები სნეულებების წამებაში სიკვდილს.

გამარჯვების შემდეგაც არ მოიპირა მისი ხარბი გული ადამიანთა წამებით, იმათაც, ვინც ტყვეობის საშინელებას გადა-

ურჩენ, განურჩევლად და განუკითხავად, საბჭოთა „გულაგებში“ უკრეს თავი. დღეს კი ამ უბედურებზე ნიანგის ცრემლებს ღვარის საბჭოთა პროპაგანდა და მათი სახელით გამარჯვების გვირგვინს უწნავს საბჭოთა რეჟიმს.


### უფსკრული ფაქტებსა და საბჭ. სიტყვებს შორის

გერმანიის კაპიტულაციის დღესვე სტალინმა მოსკოვში გრანდიოზული საზეიმო აღლუმი გაუმართა მის ქვეშევრდომებს, კრემლში გამართულ ნადიმზე რუსების განსაკუთრებული სადღეგრძელო ინება. და მით მათ როგორც „უფროსი ძმების“ შესიანურ იდეას დასაბამი მისცა. მას შემდეგ კრემლში დიდი ცვლილებები მოხდა, თვით სტალინი და მისი კულტი საბჭოურ ათეისტურ ჯოჯოხეთში ჩააგდეს, მაგრამ მის მიერ მირონცხებული „უფროსი ძმების“ იდეა სულ უფრო მტკიცდებოდა და მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოს მართვის ძირითად ღოგმად ხდებოდა.

სანამ წინ წავიდოდეთ, მანამ მცირე განმარტება უნდა გავაკეთო. ჩემი გამოცდილებით, რუსები არც სხვა ხალხებზე უკეთესები და არც უარესები არიან. მათ შორის კარგებიც არიან და ცუდებიც, ღირსეულნიც და უღირსნიც. მათ სახელმწიფო უცხოელებმა—გარიაგებმა— შეუქმნეს. პეტრე პირველიდან მოყოლებული რუსეთის სამხედრო ძლიერება შექმნეს დასავლეთეგროპელებმა, დაქირავებულმა ბალტიელებმა და განსაკუთრებით პრუსიელებმა. მეცხრამეტე საუკუნეში მათ დაემატა ყრიმელები, ქართველები და სომხები. რაც შეეხება რიგით ჯარისკაცებს, — კაზაკები იყვნენ ცნობილი, როგორც საუკეთესო მეომრებიც და, როგორც მოსახლეობის საშინელი დამრბვენიც.

მიუდგომელი დამკვირვებელი ბევრ კარგსაც და ცუდსაც აღმოაჩენს რუსი ერის საერთო ბუნებასა და ხასიათში, მაგრამ, რაც მთავარია, იგი ხალხთა განთავისუფლების მებაირახტრედ ვერ გამოდგება, რადგანაც რუსის ბუნებაში ძლიერ სჭარბობს მონური მორჩილებისადმი მიდრეკილება.

ომის დროს, წითელი არმიის ნაწილებში, სადაც მე ვყოფილვარ, უმრავლესობა ყველთვის რუსები იყვნენ. ბრძოლის ველზე



რუსების განსაკუთრებული თავდადება და გმირობა არსად მკა-  
მია თვალში. ტყვეობაში ბევრი მათგანის სულმდაბლობამ გულში  
ამირია. ახლად ტყვეღაგარდნილები, ჯერ კიდევ დაუმშვევლები,  
პაპიროსის ნამწვავებსა და შოკოლადის ნარჩენებს სთხოვდენ-  
მათ დამტყვევებელ გერმანულ ჯარისკაცებს. შემდეგ ტყვეთა  
ბანაკებში სამსახურს სთავაზობდენ გერმანელებს და მათზე  
ურო მკაცრად ექცეოდენ გუშინდელ თანამებრძოლებს, განსა-  
კუთრებით „იოლდაშებს“, როგორც რუსები დაცინვით უწოდე-  
ბენ ყელა არასლავს. ეს რაც შეეხება რუსის განსაკუთრე-  
ბულ სიდიადეს, ხოლო რუსების საბჭოთა პატრიოტობის გასა-  
ბათილებლად ბევრი მაგალითების ძებნა არ დაგვჭირდება, ამი-  
სთვის გენერალ ვლასოვის „რუსეთის განმათავისუფლებელი არ-  
მიის“ არსებობის ფაქტიც საკმარისია, რომელშიაც ერთ მილი-  
ონამდე რუსი ჯარისკაცი ითვლებოდა.

როგორც ჩანს, სტალინის წაწყვედასაც ოფიციალურად ყვლი  
გაუვიდა, გამარჯვების 40: წლისთავის ზეიმზე გორბაჩოვმა,  
თუმცა ჯერ კიდევ მორცხვად, მაგრამ უყუყანოდ რეაბილიტა-  
ცია უყო და გამარჯვების მთავარი ორგანიზატორის გვირგვი-  
ნიც მოუწნა. ორიგინალური გორბაჩევის განცხადებაში არაფე-  
რია გარდა იმისა, რომ 30: წლის ხეტიალის შემდეგ საბჭოთა  
ოფიციალური პოლიტიკური აზრი, გორბაჩოვის პირით, სტალი-  
ნის წაქცეულ კომანდორის ძეგლს ისევ თავის ძველ კვარცხლ-  
ბეკზე დგამს და მით ნიშანს აძლევს ბრბოს ამ კერპის ხელ-  
ახალი გაღმერთებისას.

უდავო ფაქტია, რომ 1941 წლის 22 ივნისს გერმანია სამ  
მილიონზე ნაკლები ჯარებით შეესია საბჭ. კავშირს. წითელი  
არმიის დროშის ქვეშ იმ მომენტში დარაზმული იყო 6. მილი-  
ონი მეომარი. საბჭოთა დაზვერვამ დანამდვილებით იცოდა:  
ახლო მომავალში საბჭოთა კავშირს იაპონიის მხრიდან თავ-  
დასხმა არ ელოდა. ერთმილიონიანი არმია რომ მაინც შორე-  
ულ აღმოსავლეთში დაეტოვებია, საბჭოთა მთავარსარდლობის  
განკარგულებაში მაინც რჩებოდა ხუთმილიონიანი არმია. ეს  
არმია არც ისე ცუდად არ ყოფილა შეიარაღებული. საბჭოთა  
არტილერია ცეცხლით გერმანიისას სჭარბობდა, ტანკები და

\*\*\*\*\*

ავიაციაც რიცხობრივად არ ჩამოუვარდებოდა, თუ მეტი არ იყო. თუნდაც გერმანიის თავდასხმა სრულიად მოულოდნელი და ვერაგული ყოფილიყო, მაინც არსებულ პირობებში, თუ საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობა და პირადად სტალინი სწრაფ, შექმნილ მდგომარეობასთან შეფარდებულ გონიერ გადაწყვეტილებას მიიღებდა და იმოქმედებდა, წითელ არმიას უნდა შეძლებოდა, თუ წლობით ვერა, რამდენიმე თვით მაინც, გერმანიის ჯარები საბჭოთა კავშირის ძველ საზღვრებთან, ან მათ მახლობლად შეეკავებია. საწინააღმდეგოდ, ადგილი ჰქონდა უჩვეულო და სამარცხვინო კატასტროფულ სამხედრო დამარცხებას. ომის პირველ სამ თვეში საბჭ. შეიარაღებულმა ძალებმა მტრის გამანადგურებელი დარტყმა განიცადეს. ვერსად, ვერც ერთ ფრონტზე წითელმა არმიამ მოწინააღმდეგის წინსვლა ვერ შეაჩერა. პირველ დღესვე გერმანიის ავიაციამ აეროდრომებზე გაანადგურა ათასზე მეტი საბჭ. სამხედრო ავიაცია. სამი თვის განმავლობაში ხელთ იგდეს ორ მილიონზე მეტი ჯარისკაცი, 18 ათასი ტანკი, აურაცხელი არტილერია-თოფი-ტყვია-წამალი-სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა. სექტემბრის ბოლოს გერმანიის ჯარებს ეპყრათ უზარმაზარი საბჭოთა ტერიტორია, მისი თითქმის მთელი ევროპული ნაწილი, სამხრეთით ისინი დონზე გავიდნენ, ქ. როსტოვი დაიკავეს, ჩრდილოეთით მთელი ბალტიისპირეთი და ლენინგრადს გარს შემოადგნენ, შუაგულში რუსეთის უძველეს და ახალ დედაქალაქს მიადგნენ და დაემუქრნენ, გერმანიის უკუშაბაციის ქვეშ აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის 40 პროცენტი, 31.850 მსხვილი მეტალურგიის, მექანიკური ინდუსტრიის, ქიმიისა და კვების წარმოება, 1.135 ქვანახშირის და ლითონთა დამამუშავებელი წარმოება, 61 მსხვილი ელექტრო-სადგური, 65 ათასი კილომეტრი რკინიგზა, 98 ათასი კოლმეურნეობა, 1.876 საბჭოთა-მეურნეობა, 2.890 სმიანქანო-სატრაქტორო სადგური და ა. შ. (იხ. ქალბატონ ელენ კარერ-დ'ანკოსის უკვე დასახელებული წიგნი)

ასეთ სამხედრო უბედურებას (დეზასტრს) ვერც ერთი სახალხო რეჟიმი ვერ გადურჩებოდა, საკუთარი ხალხის რისხვა წაეკავდა მას. ამ საარაკო დამარცხების მთავარი მიზეზი,

\*\*\*\*\*

არც მოულოდნელობა, არც გერმანიის სამხედრო სიძლიერე და არც საბჭოთა ქვეყნის ტექნიკური ჩამორჩენილობა არ ყოფილა, არამედ: რეჟიმი, თავისი ბუნებით, მთავრობა, თავისი პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიით და პირადად სტალინი, რამდენადაც ის იყო ერთადერთი და აბსოლუტური მეტრი საბჭოთა სახელმწიფოსი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ საბჭ. ხელისუფლების მიერ პოლიტიკური და სამხედრო კადრების მასიური განადგურების ფაქტი და მასშტაბი, რაც მთავარი მიზეზია ომის პირველი ხანის სასტიკი დამარცხების, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სტალინის იმ უეცარ ძალმიხდილობას, რომელიც მას დაემართა გერმანიის ჯარების თავდასხმის გაგებისას. ომის პირველ დღეებში საბჭოთა კავშირი იმ უშველებელ საჭემორღვეულ ნავს ჰგავდა, რომელიც სასტიკ ქარიშხალს გაუტაცნია და, რომლის მესაჭეც ეს-ეს არის დაუმეხავს. ნიკიტა ხრუშჩოვის მოწმობა ამ მხრივ სინამდვილე უნდა იყოს. ომის პირველ დღეებში სტალინი თავის კაბინეტში იყო ჩაკეტილი თავზერდაცემული და სასოწარკვეთილი. ის თავის უახლოეს თანამშრომლებსაც კი არ ღებულობდა და არავითარ ბრძანებას არ იძლეოდაო. მარტო ის ფაქტი, რომ მან პირადად რადიოთი არ ამცნო ქვეყნას გერმანიის ჯარების თავდასხმის ამბავი, არამედ რეჟიმის მეორეხარისხოვანმა ვიაჩესლავ მოლოტოვმა, თავისთავად ბევრის მეტყველია სტალინის მაშინდელ გონებრივ მდგომარეობაზე.

სტალინის შიში, სასოწარკვეთილება და მით გამოწვეული სიჩუმე მთელი ათი დღე გაგრძელდა. მხოლოდ 3 ივლისს გამოდის ის საჯაროდ რადიოთი ქვეყნის წინაშე, შიშისაგან ზაფხულში გველივით კანგამოცვლილი, და მისგან დარბეულ და ნაწამებ ხალხებს მისთვის ჩვეული „ტოვარიში“-თ კი აღარ მიმართა, არამედ: „ბრატია ი სიოსტრი“-ო.

ამ მომენტიდან უკვე იგრძნობოდა, რომ საბჭოთა გემის მესაჭე გონს მოეგო და საჭეს ავად თუ კარგად დაეუფლა. ამ მომენტს ემთხვევა მთავარსარდლობის რეორგანიზაცია, სავეაკუაციო კომიტეტის შექმნა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებები.

რა მოხდა იმ საბედისწერო ათი დღის განმავლობაში? რაში გამოიწვია სტალინის გამხნეება, გამოცოცხლება და გამოქმედება? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელი არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ ისტორიულ ფაქტს, რომ გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დღესვე ივლისის პრემიერმა ვინსტონ ჩერჩილმა გამამხნეებელი დეპეშით მიმართა საბჭოთა მთავრობას და საერთო მტრის წინააღმდეგ დიდი ბრიტანეთის მოკავშირეობა შესთავაზა. მალე დიპლომატიური მოლაპარაკებაც გაჩაღდა და უკვე 12 ივლისს, კრემლში ხელიც იქნა მოწერილი სსრკ-დიდი ბრიტანეთის მოკავშირეობის, თანამშრომლობის და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულებაზე. ამერიკის შ. შტ. თუმცა ჯერ კიდევ ომში არ იყო ჩამბული, მაგრამ მისი პარლამენტის მიერ ინგლისის სასარგებლოდ ახლად მიღებული „პრეტ-ბაილ“-ის კანონი, ინგლისის მოკავშირე სსრკ-ას გაუხსნიდა და გაუხსნა კიდევ უსასყდლოდ მთელი ომის განმავლობაში ამერიკის ამოუწურავი ბაზარი.

აი, რას უნდა ეცხო მალამო სტალინის დამფრთხალი გულისათვის და აი, რამ გადაარჩინა დამხობას საბჭოთა რეჟიმი. ინგლის-ამერიკის მოკავშირეობამ, მათმა ხელგაშლილმა დახმარებამ და მისმა აღმატებულებამ გენერალმა რუსულმა ზამთარმა გადაარჩინეს მოსკოვი და ლენინგრადი 1941 წელში დაპყრობას და არა სტალინისა და მთავარი სამხედრო შტაბის გენიალურმა სტრატეგიამ, ან რუსი ხალხის უსაზღვრო თავდადება, როგორც ამას ირწმუნება ბატონი გორბაჩოვი.

საბჭოთა ხალხების და მათ შორის რუსების საბჭოთა პატრიოტიზმის გამოვლენაზე ლაპარაკი ომის პირველ ორ წელიწადში მაინც, სასაცილო და ჟურით მოთრეული ფიქციაა. 3-4 თვის განმავლობაში პატრიოტიზმით ანთებული ორი მილიონი მხედრობა ტყვედ არ ვარდება, თუნდაც ისეთი უვარგისი საარდლობის პირობებში, რომელშიაც იმ დროს წითელი არმია იყო.

არა მარტო მხედრობა ბარდებოდა ტყვედ მტერს, არამედ მოსახლეობაც სიხარულითა და ვარდ-ყავილებით ეგებებოდა მათ, როგორც განმათავისუფლებლებს. ეს ფაქტი მაშინვე კა-

რგად იყო ცნობილი საბჭოთა მთავარსარდლობისათვის, უნდა განა-  
ნაც 1942 წლის დამდეგს ფრონტზე მიმავალ წითელი არმიის  
ნაწილთა შტაბებს მიღებული ჰქონდათ უმაღლესი ბრძანება,  
რომ ის ჯარისკაცები, რომლებიც გერმანელთა მიერ დაკავებულ-  
ი ადგილებიდან იყვნენ, მოწინავე ხაზზე არ გაეგზავნათ  
(რა თქმა უნდა, არა მათი დაზოგვის, არამედ მათდამი უნდო-  
ბლობის გამო), არამედ სამუშაო ბატალ-ბში, რაც იგივე საჯა-  
რიმო ნაწილი იყო; ეს ამბავიც ყურმოკრული არ გახლავთ, არ-  
ამედ ჩემს მიერ კარგად შემოწმებული, რადგანაც მეც მათთან  
ერთად ვიყავი კერჩში, მე, როგორც არასაიმედო.

კიდევ მეტი, გერმანელთა მხარეზე გადარბოდენ არა მხოლოდ  
„ნაცმენები“, არამედ აგრეთვე რუსი მოსახლეობაც. ამან გან-  
საკუთრებით მასიური და რეჟიმისთვის საშიში ხასიათი მიიღო  
1941 წლის შემოდგომაზე, როცა გერმანიის ჯარები მოსკოვს  
მიუახლოვდენ. ამის გამო საბჭოთა მთავრობამ განსაკუთრებული  
კანონი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც დაუფიქრებელი იხვ-  
რიტებოდენ, ვინც მტერთან გადარბენის ცდაში იქნებოდენ და-  
კავებულნი და დახვრეტილთა სია ყველდღიურად ქვეყნდებოდა  
გაზეთებში, ცხადია იმ მიზნით, რომ მოსახლეობისათვის თავ-  
ზარი დაეცათ და მით აღეკვეთათ ასეთი აშკარა დღალატი.  
არც ეს ფაქტი მეტყველებს „რუსთა უსაზღვრო საბჭოთა პატ-  
რიოტიზმის“ სასარგებლოდ. ამ ისტორიულ ფაქტზე გორბაჩოვი  
და საბჭოთა პროპაგანდა სდუმან, მაგრამ მისი დამალვა შეუ-  
ძლებელია.

### იყო ომი მოულოდნელი?

როცა საბჭოთა მესვეურებს ომის პირველი თვეების დროს  
განცდილ კატასტროფულ დამარცხებაზე მიუთითებენ და მათგან  
მიზეზის ახსნას თხოულობენ, ისინი ღობე-ყარეს ედებიან და  
ბოლოს პასუხობენ: ომი საბჭოთა მთავრობისათვის მოულოდნე-  
ლი იყო. არის ეს მართალი? რა თქმა უნდა, რომ არა!  
საბჭოთა დაზვერვას არაფრით არ შეიძლებოდა გამოპარვოდა,  
სამ მილიონიანი გერმანული ჯარის თავმოყრა საბჭოთა კავშირ-

რის მახლობელ საზღვრებთან. ამის გარდა, ისტორიული ფაქტებია, რომ: 1941 წლის 15 აპრილს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა საბჭოთა მთავრობას ოფიციალურად აცნობა გერმანიის ჯარების თავდასხმის აუცილებლობა, უახლოეს დღეებში, ხოლო საბჭოთა დაზვერვის გერმანელმა ჯაშუშმა სორგმა, ამ თავდასხმის ზუსტი თარიღი—22 ივნისი. მაშ, ომი როგორღა იყო მოულოდნელი? და თუ იგი მართლაც მოულოდნელივით წარიმართა, არ ნიშნავს ეს საბჭოთა უმაღლეს ხელისუფალთა გონებრივ უსუსურობასა და დამბლადაცემულობას?

### ომის პასუხისმგებლობა

კრემლის ხაზენები—სტალინიდან გორბაჩოვამდე— ერთთავად დაღაღებენ საბჭოთა ხელისუფლების მუდმივ მშვიდობისმოყვარეობაზე, სამშვიდობო პოლიტიკაზე და ირწმუნებიან, რომ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში საბჭოთა მთავრობას ბრალი არ მიუძღვის, ეს ომი გამოიწვიეს საერთაშორისო კაპიტალისტურ-იმპერიალისტურმა წრეებმა და ჰიტლერის ნაციისტურმა გერმანიამო. აქაც, უდავო ფაქტები ჯიუტები არიან და ვისაც სიმართლე აინტერესებს, მისთვის ძნელი არ იქნება დაადგინოს, რომ სტალინი და მისი მესამე ინტერნაციონალის შტაბი უმანკო და უცოდველი ბატონები არ იყვნენ.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თავისუფლების, დემოკრატიის და მშვიდობის ყველაზე საშიში მტრები რუსი ბოლშევიკები და საერთაშორისო კომუნისტები იყვნენ, და მსოფლიო დემოკრატიაც ამ საშიშროებიდან თავის დაზღვევაზე ზრუნავდა. ცენტრალური ევროპის დემოკრატიები სუსტნი გამოდგენ კომუნისმთან ბრძოლაში, რითაც ისარგებლეს და ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, ჯერ იტალიაში მუსოლინის ფაშისტებმა და უფრო გვიან გერმანიაში ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტებმა. ორივე ამ მოძრაობის არსი იყო სოციალიზმის იდეა, რაც ანტითეზაა კაპიტალიზმისა და მისი კერძო საკუთრების პატივისცემაზე დაფუძნებული ეკონომიკის თავისუფლებისა. ამიტომ საერთაშორისო კაპიტალიზმთან ფაშისმისა და ნაციზმის სულიერი ნათესაობის საბჭოური ვერსიები ყურით მოთრეული ზღაპრებია.

პირიქით, თუ ნათესაობაზე იქნება ლაპარაკი, ბოლშევიკური კომუნისტური, ფაშისტური და ნაციონალ-სოციალისტური ტემები ერთი და იგივე მშობლების ღვიძლ ძმებად წარმოგვიდგებიან, თუმცა, რა თქმა უნდა, ძმობა არ ნიშნავს სრულ იგივეობას (იდენტურობას).

როცა ინგლისის და საფრანგეთის დემოკრატიული მთავრობები საბოლოოდ დარწმუნდნენ მუსოლინის იტალიის და ჰიტლერის გერმანიის ბელიციზმსა და ექსპანსიონიზმში, ისინი შეეცადნენ მათ აღაგმვას და დახმარების ხელშეკრულებები დასდევს ჩრდილოეთ აფრიკაში აბისინიასთან, რომელსაც იტალიის დაპყრობა ემუქრებოდა, და ცენტრალურ ევროპაში ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთთან, რომლებიც გერმანიის დაპყრობის საფრთხის წინაშე იდგნენ. მეორე მსოფლიო ომის სათავეებიც ეს საერთაშორისო აქტებია. აბისინიის საკითხს მაინც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ თუ ჰიტლერი თავს დაესხმოდა ჩეხოსლოვაკიას და განსაკუთრებით პოლონეთს, მას უეჭველად მოჰყვებოდა საერთაშორისო ომი. იმ დროს მშვიდობისა და ომის ბედს წყვეტდა საბჭოთა მთავრობის პოზიცია. თუ ის აშკარად გამოამყვანებდა პოლონეთის სახელმწიფოზე გერმანიის ხელყოფის საწინააღმდეგო პოლიტიკას, ჰიტლერი ორ ფრონტზე ომის პერსპექტივას მოერიდებოდა, პოლონეთზე თავდასხმას ვერ გაბედავდა. კრემლის პოლიტიკურმა სტრატეგებმა და პირველ რიგში სტალინმა მაკიაველურობა გამოიჩინეს, მაგრამ შორსმჭვრეტელობა კი ვერა, და კინაღამ თავიც წააგეს. თუ საბჭოთა ხელისუფლებას მშვიდობა და უშიშროება სურდა, მას, თუნდაც მტრულად განწყობილი, პოლონეთის სახელმწიფო ენერგიულად უნდა დაეცვა, რომ გარმანიასთან მას საერთო საზღვრები არ დარჩენოდა, მოსალოდნელ ომის შემთხვევაში. ეს საერთაშორისო პოლიტიკის ანი და ბანია და მისი უგულვებელყოფა, მით უფრო უცოდნელობა, სახელმწიფოს მეთაურს (და ისიც საბჭ. კავშირისთანა დიდი სახელმწიფოსი) არ ეპატიება. სტალინმა სწორედ წინააღმდეგი გააკეთა 1939 წელს, ის პოლონეთის ზურგზე შეუთანხმდა ჰიტლერს და

რიბენტროპ-მოლოტოვის ავად სახსენებელი პაქტით მესი მსუნა-  
გი მომხვეჭელობის ბუნებაც ცხადყო და ომის გამჩინებლისადაც  
საბჭოთა ხელისუფლება ბრიყვების გარდა ვერავის დააჯერებს,  
რომ ჰიტლერთან დადებული ეს. გარიგება თითქოს ნაკარნახები  
იყო მშვიდობისმოყვარეობის საპატიო მოსაზრებებით და არა  
იმპერიალისტური გაუმადლობით. ხელშეკრულების საიდუმლო  
ნაწილით ჰიტლერი საბჭ. მთავრობას უთმობდა პოლონეთის აღ-  
მოსავლეთ პროვინციებსა და ბალტიის ქვეყნებს, რაც მათ კი-  
დევაც გაინადდეს და მას რუმინეთის ბესარაბიაც მიაყოლეს.  
ეს უკანასკნელი ჰიტლერს აღარ მოსწონებია, მაგრამ პოლიტი-  
კურად ამითაც ისარგებლა და რუმინელები რუსებს გადაჰკიდა.  
რუსეთის ყოფილი იმპერიის ამ შემადგენელი ქვეყნების სამხე-  
დრო ძალით დაპყრობით სტალინმა პირადად თავი გამოიჩინა,  
როგორც რომანოვების ღირსეულმა მემკვიდრემ.

ფინეთის ომი სამუდამო ლაქად დარჩება საბჭოთა რეჟიმის  
სინდისზე. იგი ნამდვილი ხორცშესხმია მგლისა და ნუკრის იგ-  
ავ-არაკისა. დაიხელთა რა ხელსაყრელი საერთაშორისო მდგომა-  
რეობა, საბჭ. მთავრობამ ულტიმატუმით მიმართა პატარა ფი-  
ნეთს: შენი საზღვრები ახლოს გადის ჩემს ლენინგრადთან და  
კარელიის მიწა-წყალი ჩვენ უნდა მოგვიზომოო. პასუხი ცნობი-  
ლია: ისინი ვაჟაკატურად დაუხვდენ მიმხდურებს და პირველად  
გაფანტეს წითელი არმიის უძლეველობის მითი. თუმცა საბჭოთა  
მგელმა მას კარელია მაინც წაართვა, მაგრამ ფინელებმა ისე-  
თი ერთსულოვანი წინააღმდეგობა გაუწიეს, რომ სულ ერთიან  
გადასანსვლას გადურჩენ.

სტალინისა და მისი პოლიტიკური თანამზრახველების მიერ  
რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი გაცილებით უფრო შორს იყო  
გამიზნული, ვიდრე ცარისტული რუსეთის საზღვრების შემო-  
მტკიცება. ისინი ვარაუდობდენ: ამ ხელშეკრულებით ომი ევ-  
როპაში ახლო ხანში გარდუვალი იქნება, ჩვენ მისი სპექტა-  
ტორები ვიქნებით, სანამ მეომარი მხარეები ურთიერთთან  
ბრძოლით დასუსტდებიან და გამოიფიტებიან, მანამ ჩვენ

დაჩქარებით გავაძლიერებთ ჩვენი წითელი არმიის სამხედრო პოტენციალს, შერჩეულ მომენტში ჩვენ თავად დავემარცხეთ და იოლად დავემარცხებთ, როგორც გერმანია-იტალიას, ისე საფრანგეთსა და ინგლისსაო.

მავრამ კრემლის მაკიაველები სასტიკად მოტყუებენ. როგორი იყო მათი გაცემა, როცა დაინახეს თუ რა სწრაფად და ადვილად დაამარცხეს გერმანიის ჯარბმა ევროპის კონტინენტზე ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ძალები და როგორ ელვისებურად დაიკავეს მთელი დასავლეთი ევროპა. როგორც ჩანს, ამის შემდეგაც „გენიალურმა ბელადმა“ სათანადო დასკვნა ვერ გააკეთა: შეტევითი ომის სტრატეგიიდან თავდაცვითი ომის მზადების სტრატეგიაზე არ გადაიყვანა საბჭოთა ქვეყანა. ცნობილია, რომ, როცა გერმანია თავს დაესხა საბჭ. კავშირს, საზღვრების მახლობლად იყვნენ მრავალი საბჭოთა სამხედრო სკოლები, რომლებიც კადრებს ამზადებდნენ სახმელეთო და საზღვაო საბოტაჟებისათვის, ხოლო, ამავე დროს, არავითარი სერიოზული თავდაცვის ხაზები არ არსებობდნენ არც საზღვრებთან და არც სიღრმეში, უკან დახევის შემთხვევაში გასამაგრებლად. უდავოა: სტალინი ისევ დაპყრობით ომზე ოცნებობდა. ირკვევა, რომ ომის დაწყება მას გადაწყვეტილი ჰქონდა 1942 წელს. ჰიტლერმა მას დაასწრო. ხალხური სიბრძნე ამბობს: თავგმა თხარა, თხარა და კატა გამოთხარაო.

### საბჭოთა პარტიზანებზე

როგორც მკითხველი შეამჩნევდა, ამ სტატიაში ჩვენ უარყოფთ საბჭოთა ხალხის განსაკუთრებულ საბჭოთა პატრიოტიზმს, რომელსაც თითქოს, საბჭოთა შემდეგი პროპაგანდის მიხედვით, ომის ბედი გადაეწყვიტოს. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს თითქოს ჩვენ ვამტკიცებდეთ, რომ საბჭოთა რეჟიმი არავის არ ყვარებოდეს. ასეთი რეჟიმი, რაგინდ ტირანული და სისხლისმსმელი არ იყოს იგი, ხალხთა ისტორიამ არ იცის. მე საუბარი მაქვს ხალხთა მასიურ პატრიოტიზმზე, რომელიც მართლაც გადაიმწყვდია შემოსეული მტრის დამარცხება-განადგურებაში. ასეთ პატრიოტიზმს საბჭოთა კავშირში ადგილი არ ჰქონებია, და არც შეიძლებოდა ადგილი ჰქონებოდა.

მტრის ზურგში მომქმედი პარტიზანული რაზმები უსათუოდ უწარმოადგენენ პატრიოტიზმის დადასტურებას. საბჭოთა პარტიზანული ზანობას მართლაც ჰქონდა ადგილი ომის განმავლობაში, მაგრამ საკითხავია: როდის? არა ომის დაწყების პირველ წელიწადს და არც მეორეში, როცა გერმანული ჯარები იმარჯვებდნენ და საბჭოთა რეჟიმის ყოფნა-არყოფნა ბეწვზე ეკიდა (ამ დროს, პირიქით, საბჭოთა ზურგში იყვნენ ტყეში გასული შეიარაღებული ჯგუფები, რომელთაც ოფიციალურად დეზერტირები და ბანდიტები ეწოდებოდათ), არამედ 1943 წლიდან მოყოლებული, როცა გერმანიის დამარცხება, ადრე თუ გვიან, ცხადი გახდა. ეს აიხსნება უკვე არა საბჭოთა პატრიოტიზმით, არამედ: 1. იმით, რომ გერმანიამ სიკვდილისა და სიღატაკის მეტი არაფერი მოუტანა საბჭოთა რეჟიმით განაწამებ და უკმაყოფილი ხალხს, 2. ადამიანების მეტად გავრცელებული, მაგრამ არასასახელო მიდრეკილება: გამარჯვებულის მხარე დაიჭიროს, რომ გამარჯვების თანაზიარი დარჩეს და გამარჯვებულთა სუფრიდან მასაც დარჩეს ნასუფრალი.

1943 ზაფხულში ომის ჩარხის შემობრუნება აშკარა გახდა და ამის შემდეგ საბჭოთა პარტიზანები სოკოებივით გამრავლდნენ, როგორც საბჭოთა ტერიტორიაზე, ისევე მთელს ევროპაში. როცა დასავლეთში კომუნისტებს უკიჟინებენ: მანამდე სადიკავითო. ისინი უბასუხებენ: მანამდე არავითარი იმედი არ იყო და ეს იმედი ჩავვისახა სტალინგრადის გამარჯვებამო. საბჭოთა ისტორიოგრაფიაც სტალინგრადზე გამარჯვებას თვლის, მეორე მსოფლიო ომის პირველ და მთავარ შემობრუნებად და გერმანიის საბოლოო დამარცხების მათუწყებლად. არც ეს გახლავთ ქრონოლოგიურად მართალი. 1942 წლის ზაფხულზე, როცა გერმანიის ჯარები გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობენ, იპყობენ კერძს, როსტოვს სტალინგრადს, ჩრდილო კავკასიას და ტყვედ აჰყავთ კიდევ 600 ათასზე მეტი წითელარმიელი, სწორედ იმ დროს ამერიკა-ინგლისის შეერთებული საზღვაო ფლოტი ბრწყინვალედ იმარჯვებს იაპონიის ფლოტზე, ანადგურებს მას და ზღვარს უდებს იაპონიის ექსპანსიას წყნარ ოკეანეში. იმავე წელს 28 ოქტომბერს ინგლისისა და თავისუფალი საფრანგეთის ჯარები, გენ. მონტგომერის სარდლობით

პირველად ბრწყინვალედ იმარჯვებენ ფელდმარშალ რომმელის განთქმულ აფრიკის არმიასზე ელ-ალამენის ბრძოლაში. მწიფე ბერს ამერიკა-ინგლისის ჯარები გენ. აიზენჰაუერის სარდლობით გადასხდებიან ჩრდილო აფრიკაში ქ. კასაბლანკასთან და მონტკაომერის ნაწილებთან ერთად მეთოდურად ანთავისუფლებენ მთელ ჩრდილო აფრიკას იტალიისა და გერმანიის ჯარებისაგან, 1943 წლის 10 ივლისს აიზენჰაუერის ჯარები გადასხდებიან და იკავებენ სიცილიას, რაც მალე იწვევს იტალიის მთავრობის გადატრიალებას, მუსოლინი აპატიმრებენ, ხოლო მარშალ ბადოგლიოს მთავრობა 3 სექტემბერს იწვევს მოკავშირეთა ჯარებს და ომს უცხადებს გერმანიას. საკვირველია, რომ ასეთი ბრწყინვალე სამხედრო და პოლიტიკური გამარჯვებები ომის ჩარხის შემობრუნებად და იმედის მომცემლად საბოლოო გამარჯვებაში არაფრად ითვლებიან სტალინგრადის გამარჯვებასთან შედარებით. ეს ალბად იმიტომ, რომ სტალინგრადის გამარჯვებას გაცილებით მეტი სიცოცხლე შეეწირა.

### რა მოიტანა გამარჯვებამ ?

მეორე მსოფლიო ომი უფრო მით განსხვავდებოდა მის წინამორბედებისგან, რომ ის იდეოლოგიური ომი იყო: ერთმანეთს ებრძოდნენ დემოკრატიული და ტოტალიტარული წესწყობილებები. პირველთ წინ მიუძღოდნენ ინგლის-საფრანგეთი და ამერიკა, მეორე ბანაკს: გერმანია, იტალია და იაპონია. დემოკრატიულ ბანაკში აღმოჩნდა საბჭოთა კავშირი, ქვეყანა უაღრესად ტოტალიტარული რეჟიმისა, რამაც დემოკრატიული ბანაკის გამარჯვებას თავისი დედაარსი გამოაცალა. როგორც წინ აღვნიშნეთ, როცა მტრის ძალები მოსკოვ-ლენინგრადსა და მდინარე ვოლგაზე იყვნენ მიბჯენილი, სტალინმა კლასთა ბრძოლისა და მსოფლიო რევოლუციის მოწოდებებს ნაფტალინი დააყარა და სკივრში ჩაალაგა, მის მაგივრად სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება აღიდა, იდეოლოგიური ომი სამამულო ომად გამოაცხადა. მაგრამ, როგორც კი მისმა ჯარებმა მტრის ჯარები საბჭოთა საზღვრებამდე მირეკეს და ფეხი შედგეს უცხო სახელმწიფოებში, მან მაშინვე ის ძველი მოწოდებები გა-

მოიტანა სამზეოზე და მათ განხორციელებას შეუდგა. სახეობა-  
ჯარები, რაც წინ მიიწვიდენ, ხალხებს ანთავისუფლებდნენ. მისი  
კისფერი ჭირისგან და მის ადგილას ავრცელებდენ წითელ ხო-  
ლერას. ამრიგად, ომის დამთავრებისას კრემლის კომუნისტური  
უღლის ქვეშ აღმოჩნდა ცენტრალური ევროპისა და ბალკანეთის  
ძველი კულტურის და მაღალი ცივილიზაციის ას მილიონამდე  
ხალხები. თუ რა დაუჯდათ ამ ხალხებს კომუნიზმით „გაბედნი-  
ერება“, დღეს ეს თავისუფალ სამყაროში კარგად ცნობილია და  
აქ ამაზე აღარაფერს ვამბობ, მაგრამ არ შემძლია არ აღვნი-  
შნო 13 მილიონ გერმანელ მოსახლის აჭრა და გამორეკვა შიშ-  
ველ-ტიტვლებისა გერმანიის აღმოსავლეთ პროვინციებიდან. ხალ-  
ხთა ომების ისტორიაში იშვიათად მოინახება სხვა მაგალითი  
მშვიდობიანი მოსახლეობის ასეთი რაოდენობით საკუთარ მიწა-  
წყლიდან გაჭრისა. იგი გვაგონებს შახ-აბასის მიერ კახეთის  
აოხრებას და კახელების სპარსეთში გადასახლებას.

ინგლის-ამერიკის უმწეობის და უნებისყოფობის იშვიათი მა-  
გალითია პოლონეთი. ამ დიდი ომის დაწყების საბაბი ხომ ეს  
ქვეყანა იყო. გამარჯვებულმა ინგლისმა და ამერიკამ ამ ქვე-  
ყნის დამოუკიდებლობა და პოლონელების თავისუფალი არჩევის  
უფლებაც კი ვერ უზრუნველყვეს.

### კონტრიბუცია

პირველი მსოფლიო ომის დროს ბოლშევიკების მოწოდება იყო:  
**ზავი უკონტრიბუციოდ!** ახლა კი, როცა რუსეთის სახელმწიფო  
სადავეები ხელში ჩაიგდეს და დაუმსახურებლად ომიც მოიგეს,  
იგივე გერმანია კონტრიბუციით პირწმინდად გაძარცვეს. რო-  
გორც ცნობილია, შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფ-  
რანგეთმა უარი თქვეს მათი ხვედრი კონტრიბუცია გადაეხდე-  
ვინებიან ისედაც ომისაგან დანგრეულ და გაპარტახებულ გე-  
რმანელ ხალხისთვის, საბჭოთა მხარე კი სინდისზე შეაგდეს  
და ამ მხრით მოქმედების თავისუფლება დაუტოვეს. საბჭოთა  
სინდისმა ომის შემდეგ ათეული წლით სამუშაოდ გამოიყენა  
მილიონობით გერმანელი ომის ტყვე, მისი ოკუპაციის ქვეშ  
მყოფ გერმანიის ტერიტორიიდან გაიტანა ფაბრიკა-ქარხნების

41%, ხოლო ინგლისის ამერიკის და საფრანგეთის სტატუსიდან ზონებიდან ფაბრიკა-ქარხნების 25%, სულ ამ საომარ წინააღმდეგობის ღირებულება ყოფილა 10 მილიარდი დოლარი. ომის კონტრიბუციის სახით საბჭოებს ასევე გამოუტანიათ: მანჯურიიდან 900 მილ. დოლ. ღირებული და ავსტრიიდან 400 მილიონ დოლარად ღირებული ფაბრიკა-ქარხნები და მათვე გადაუხდევინებიათ კონტრიბუციის სახით ფინეთისა და რუმინეთისათვის 600 მილიონი დოლარი. (იხ. *Eric Lorent* : „*La corde pour les pendre*“ )

### რკინის ფარდა

იალტის კონფერენციაზე ჩერჩილისთვის უკვე ცხადი გახდა, რომ სტალინმა ის და პრეზ. რუზველტი მოატყუილა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და თავისუფლების საკითხში და შეეცადა მოკავშირეთა კონტროლი დაწესებით, მაგრამ ამერიკის პრეზიდენტმა, რომელიც უკვე სიკვდილის პირად იყო და თანაც სტალინის თაყვანისმცემელ მრჩეველებით გარშემორტყმული, მას მხარი არ დაუჭირა და სამდიდთა კონფერენცია სტალინის სიტყვიერი დაპირებებით დაკმაყოფილდა. რაც ომი უფრო დასასრულს უახლოვდებოდა მით ურო შემფოთება საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებული ქვეყნების ბელზე მატულობდა დასავლეთ ევროპაშიაც და ამერიკაშიც. მოკავშირეებმა კაპიტულაციამდე მაინც ერთად და შეთანხმებულად მიიყვანეს გერმანიასთან ომი, მაგრამ კაპიტულაციის აქტზე ხელის მოწერის მელანი ჯერ კიდევ გამშრალი არ იყო, რომ მათ შორის სერიოზულმა განხეთქილებამ საჯაროდ იჩინა თავი. ყველაზე მეტად უინსტონ ჩერჩილი ამჟღავნებს პირველად საჯაროდ თავის შემფოთებას. 12 მაისს ის დებუშას უგზავნის ამერიკის პრეზიდენტ ტრუმანს, რომელიც ისტორიაში შევიდა „რკინის ფარდის“ სახელწოდებით და რომელშიც ნათქვამი იყო: „ევროპის მდგომარეობა მაწუხებს ძალიან... რკინის ფარდა ჩამოეშვა საბჭოთა ფრონტზე. ჩვენ არაფერი არ ვიცით რა ხდება მის იქით. უეჭველად ჩანს, რომ ლიუბეკ-ტრიესტ-კორფუს ხაზის აღმოსავლეთით მდებარე მთელი რეგიონები მალე მთლიანად იქნებიან რუსების ხელში.“ 13 მაისს

რადიოთი ინგლისის ხალხისადმი მიმართვისა, ინგლისის ელჩის  
ერი კიდევ უფრო დაწვრილებით ანვითარებს მის უკმაყოფილო  
მიზეზსა და შინაარსს: „...ევროპის მიღმა, ამბობს კაცი, რო-  
მელიც მთავარი ხუროთმოძღვარი იყო გამარჯვებისა, საჭიროა  
დარწმუნებული ვიყოთ, რომ ის უბრალო მაგრამ საპატიო მი-  
ზნები, რომელთათვისაც ჩვენ ომი დავიწყეთ, არ იქნებიან  
უხეშად გვერდზე მიგდებულნი, არც დავიწყებულნი ჩვენი გა-  
მარჯვების შემდეგ თვეებში; რომ სიტყვები: „თავისუფლება“,  
„დემოკრატია“ და „ლიბერაცია“ (განთავისუფლება) არ იქნებიან  
დამახინჯებულნი და შეინარჩუნებენ თავიანთ ნამდვილ შინა-  
არსს, მათ, რასაც ჩვენ მათ ვანიჭებთ. რა მაქნისია დავსაჯ-  
ოთ პიტლერელები მათ მიერ ჩადენილი ბოროტებათათვის, თუ  
კი კანონის და სამართლის ბატონობა არ დამყარდება, თუ კი  
ტოტალიტარული და პოლიციური რეჟიმები დაიკავებენ გერმან-  
ელი დამპყრობელების ადგილს!!!“

დიდებული სიტყვები, რომლებიც სიტყვებად დარჩენ და დიდ  
მოხუცებულს( და მასთან ერთად მთელ დემოკრატიულ სამყაროს)  
ცხოვრებაში გატარებისათვის პოლიტიკური ნებისყოფა აღარ  
ეყო. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მალე ინგლისის ხალხმა  
ჩერჩილს ხელისუფლების სადავეები ჩამოართვა და ექვსი წლით  
ლეიბორისტ კლ. ეტლის გადასცა. არც ამ უკანასკნელს და არც  
ამერიკის ახალ პრეზიდენტ ტრუმანს სათანადო ავტორიტეტი  
არ გააჩნდათ სტალინთან შედარებით პოტსდამის კონფერენცი-  
აზე, სადაც გერმანიის ოკუპაციისა და აღმოსავლეთ ევროპის  
ქვეყნების ომის შემდეგი ბედი გადაწყდა. საბჭოთა მთავრობამ  
ადვილად შეძლო მიეღო სრული შეუვალობა და გამგებლობა  
ყველა იმ ქვეყნებისა, სადაც მისი ჯარები იმყოფებოდნენ. ამ  
საკითხში საბჭოთა მხარის მტკიცე გადაწყვეტილების გამო,  
არ ვიცით თუ სხვა გამოსავალი არსებობდა იმ დროს ახალი  
ომის გარეშე. მოკავშირეთა შორის იმ დროს არამც თუ ომი,  
არამედ სერიოზული უთანხმოებაც საფრთხილო იყო, რადგანაც  
იაპონიასთან ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული.

პოტსდამის კონფერენციის შემდეგ, არამც თუ აღმოსავლეთ  
ევროპის თავისუფლება, არამედ დასავლეთ ევროპისაც საფრ-

თხეში იყო. თუ კრემლი გაბედავდა ბრძანება მიეცა მისი წითელი არმიისათვის, რომ მან „თავისი პროლეტარული რევოლუციონალური მოვალეობა შეასრულოს“ დასავლეთ ევროპის ქვეყნების პროლეტარებისადმი, მაშინ მას შეეძლო მთელი დასავლეთ ევროპის დაპყრობაც და გასაბჭოებაც, რადგანაც მის განკარგულებაში იყვნენ ამ ქვეყნების მძლავრი კომუნისტური პარტიები. ალბათ ეს რეალური საფრთხეც იქნა მხედველობაში მიღებული, როცა პრეზიდენტმა ტრუმანმა გადაწყვიტა იაპონიის ქალაქების ახლად გამოგონილი ატომური ბომბით დაბომბვა.

**1945 წლის 6. და 9 აგვისტოს** ჰიროშიმასა და ნაგასაკის ქალაქების თავზე აფეთქებული ატომური ბომბები, არა მარტო აჩქარებდნენ იაპონიის კაპიტულაციას, არამედ ისინი კრემლისაკენ გაშვებული გამაფრთხილებელი სიგნალებიც იყვნენ. ჩანს, რომ კრემლში ეს გაფრთხილება კარგად გაიგონეს და თავიანთ აშვებულ მადას ლაგამი ამოღვეს, მაგრამ უკვე რკინის ფარდებში მომწყვდეულ ხალხებს ამით არავითარი შედეგითი ღირსებათ.

**40. წლის შემდეგ** ომის დამთავრებიდან არამც თუ მშვიდობა არ დამყარებულა, არამედ საზავო ხელშეკრულებაც არ არსებობს დამარცხებულ გერმანიასთან. გერმანია და მისი ყოფილი დედაქალაქი კვლავ ორადაა გაყოფილი გადაულახავ კედლით. ასევე ორადაა გაყოფილი კორეა. ომი დემოკრატიულ დასავლეთსა და კომუნისტურ აღმოსავლეთს შორის მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო და ჩინეთის გასაბჭოების შემდეგ მისი მთავარი ეტაპებია: კორეის, ინდოჩინეთის, ისრაელი-არაბულ ქვეყნების და ავღანეთის ომები, ხოლო რეგიონულ ომების ჩამოსათვლელად ერთი ფურცელიც არ გვეყოფა. მიუხედავად უაღრესად დაძაბული ანტაგონისტური მდგომარეობისა, მიუხედავად ყოველდღიური შეხლა-შემოხლისა და მიუხედავად დაუზოგავი ტერორისტულ-სიუბვერსიული ომისა, ჯერ-ჯერობით ტოტალური ომი ორ შეუთრგებელ ბანაკს შორის აცილებული იქნა თავიდან. ამას უნდა „გუმადლოდეთ“ (თუ ამ სიტყვის აქ ხმარება მიზანშეწონილია) თერმო-ბირთვული ომის მუქარას, რომლის განხორციელების შემთხვევაში არც ერთი

მომუღლეს მხარეზე, და შეიძლება მთელ ჩვენ პლანეტაზე და, სიცოცხლე აღარ დარჩება. ასეთი საშინელი მუქარის ქვეშ ცხოვრობს მთელი ადამიანობა უკვე 40 წელიწადია. თავზარდამცემი იარაღის რაოდენობა და გამანადგურებელი ძალა მომუღლართა ორივე ბანაკში სულ მეტად და მეტად იზრდება, კაცობრიობის საყოველთაო მოსპობის საფრთხეც მასთან ერთად. პარადოქსალურია, მაგრამ მხოლოდ ასეთი საშინელი მუქარის არსებობით ხორციელდება დღემდე საერთაშორისო ომის ქოფაკების დაბმა. 40 წლის განმავლობაში კაცობრიობა სასტიკი და უღმობელი დილემის წინაშე დგას: ან კრემლის მძიმე უღელი, ან სიცოცხლის საყოველთაო მოსპობის რისკი. ასეთია მეორე მსოფლიო ომის შედეგი და ნაყოფი.

### ომი და საქართველოს დამოუკიდებლობა

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ თუ რა დიდი და აუნაზღაურებელი ადამიანური მსხვერპლი გაიღო საქართველომ უკანასკნელ მსოფლიო ომში. ჩვენი ეროვნული უბედურება მარტო ამით არ ამოიწურება, ამ ომმა აგრეთვე დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ქართველი ხალხის თავისუფლების საქმეს. ერთი მხრით, ომისაგან ფიზიკურად წელგატეხილ ქართველ ხალხს აღარ გააჩნდა საკმარისი ენერჯია, რომ ძველებურად გაეგრძელებია ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის. მეორე მხრით, ომმა გააცამტვერა იმ სიმპატიებისა და მხარდაჭერის დაუფასებელი კაპიტალი, რომლითაც თავისუფლებისათვის შეუპოვრად მებრძოლი ქართველი ხალხი სარგებლობდა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის, სახელმწიფოების, პოლიტიკური და პროფესიონალური ორგანიზაციების წინაშე. გააცამტვერა ხიზნობაში მყოფი ეროვნული მთავრობისა და პოლიტიკური პარტიების მიერ ომის დაწყებამდე გაწეული დიდი შრომა, გარჯა და რუდუნება ამ მიმართულებით. ომის შემდეგი პოლიტიკური კლასები ევროპასა და ამერიკაში აღარ იცნობდენ საქართველოს საკითხს. ახლა საქართველო მხოლოდ იხსენებოდა, როგორც სტალინის და ბერიას სამშობლო. და მის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა.

ზოგიერთა გულუბრყვილო ქართველს, რომელიც სტალინის

\*\*\*\*\*



ქართველობით ამყობს, რადგანაც ის კრემლში რუსებზე ბატონობდა და მსოფლიოს ბედის გადაწყვეტას მეთაურობდა. უნდა ახსოვდეს, რომ მან უდიდესი ზიანი მიაყენა ქართველ ერს. მან გადამწყვეტი როლი ითამაშა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს დამხობაში, ამაყ და თავისუფალი ქართველი ხალხის დაპყრობა-დამონებაში, ბრწყინვალე ქართული ინტელიგენციის განადგურება-ფეხქვეშგათელვაში, და ბოლოს, ომში სამასორმოცდაათიათასი ქართველი ახალგაზრდის გაჟლეტაში. მარტო მისი კრემლის სასახლეში პირველკაცობით, სტალინმა უდიდესი ზიანი მიაყენა საქართველოს სუვერენობას საერთაშორისო სარბიელზე.

ღმერთმა დაგვიფარა, რომ გერმანიის ჯარები საქართველოში ვერ შევიდნენ, თორემ ადვილად შესაძლებელია, ქართველებსაც ის დამართნოდათ, რაც სომხებს დაემართათ პირველ მსოფლიო ომის დროს ოსმალებისაგან და ყრიმელ თათრებსა და ჩრდილო-კავკასიელებს სტალინ-რუსებისაგან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის მესვეურები თათრებზე უფრო გულით თათრები არიან. ჩვენი სამართლიანი ეროვნული უფლებებისათვის წარმოებულ ბრძოლაში მათგან არ უნდა მოველოდეთ არც დანდობას და არც შეწყობას.

გულბათ გულბათიშვილი

\*\*\* \*\*

ი ნ ვ ე ქ ტ ი ვ ა - მ ო ნ უ მ ე ნ ტ ი  
 (დასაწყისი იხ. „გუშაგი“ №5)

5

რამდენი ღერიც თმისა გასხია,  
 იმდენი დედის გამძიმებს ცრემლი.  
 სამყაროს რისხვა შენთვის ახია  
 და ეს სამყაროც გრისხავს და გწყუვლის.  
 შენ აქ მიწიერს იქმნი პარადიზს,  
 ეგ შეგება ფსკერზე შავ სისხლს ილექავს.  
 იყავ წყული აწ და მარადის,  
 ეს მიწა გექცეს ტანჯვის დილეგად.

\*\*\*\*\*



ხალხთა მძლე რისხვით აგვესოს ჯამი,  
 გაგიწყდეს წამი შერიგებისა.  
 ოდეს დარეკავს განკითხვის უამი,  
 რომ მოვა წამი შურისგებისა.  
 ოდეს დადგება უამი განკითხვის,  
 როს წარუდგები უფალ-იესოს,  
 რათა სასჯელიც ტანჯვის, განკიცხვის  
 მოგეზლოს მხეცო უსაზიზღრესო!

6.

შავ აეშაგთა, შავთა მსტოვართა  
 ხარ შავს ხროვაში გამოკიდული.  
 შენდა საქებად ცრუ ხელოვანთა  
 შენ ააყფე ხმა მოსკდული.  
 ხოლო ნამდვილი მუზა ჩაჰკალი,  
 ციხეს მიეცი მგოსნები ხალხის,  
 რომ ველარ ეთქვათ სიტყვა მართალი,  
 თუ ვით წვაგს ერებს სახმილი აღნი.  
 დაიცა, შენი ჯერიც დადგება,  
 აღიმადლებენ დევნილნი სიტყვას  
 და მათი ლექსის მძლე აზათქება,  
 არც შენ დაგინდობს, არ გაგიკითხავს.  
 ო, მათი რისხვის სიტყვამრავლობა  
 გულზე დაგასობს ფოლადის ფიწალს  
 და ლექსი ეტყვის შთამომავლობას  
 თუ რა არგუნე შენ დედამიწას.

7

შენ ყველა ყრმაში შენს მონას ეძებ  
 და ყოველ საღ აზრს ახშობ და სდევნი,  
 მაგრამ იცოდე: თაობა ესე  
 ხვალ მესაფლავე იქნება შენი.  
 შენ სიმართლისთვის ყველა მორკინალს  
 აწამებ, აშთობ, ატყევებ, სდევნი...  
 შენი მკლავები არის ბორკილი,  
 ხუნდი ვეება, თვალმიუწვდენი,  
 რაიცა, გველო, ამა ჰლანეტას  
 შემოხვევია და ხარბად სალტავს,  
 თან მაინც კიდევ ეცობავებათ

ესე მსოფლიო საქმეფო ტახტად.  
 გულხარბო, შენთვის ცოტაა, ვერ გღლის  
 შენივე ცოდვა აზრმიუწვდენი.  
 შენ უდიდესი აიგე ძეგლი,  
 ძეგლი ცოდვისა, - ზღვა სისხლის მდენი.  
 ძეგლი სიმკაცრის, ძეგლი ვამპირის,  
 ძეგლი - სიკვდილის თოვლად მთოველი,  
 სადაც ყოველი ნაკვთი გაჰყვირის:-  
 მხოლოდ მე! მხოლოდ ჩემთვის ყოველი!

## 8

შენ მიუჩინე ჯაშუშად ძმა ძმას,  
 უღვთოდ გაყდა შვილი მშობელმა.  
 ქმარი ცოლს უწნავს სიკვდილის თასმას,  
 დამ და დაახჩო დაუნდობელად-  
 და ისიც რისთვის? - ლუკმისთვის მარტო,  
 რადგან ხალხს პურად არგუნე ქატო.  
 არ არს კალამი, არც სიტყვა სხარტი,  
 მთელი სისრულით რომ გამოგხატოს.

## 9

შენ მხეცის მხრებით უკუნი მოგაქვს,  
 ჰკოცნი უკუნის შავ ხმალს ხეტარზე.  
 შენი ფეხები ორ ურჩხულს მოჰგავს,  
 რომ აბოტებენ ამ პლანეტაზე.  
 მათი ტვირთის ქვეშ მზის შუქი კვდება,  
 კლდე ვედარ უძღებს ქუსლებს ტიტანურს.  
 მე მიკვირს, მიწა როგორ არ სკდება,  
 რომ შენ, ურჩხულო, თან ჩაგიტანოს.  
 ნაბანო ზაკვის ფოლორც ემბაზში,  
 ხარ ბელზებელი მწვედ შენიღბული.  
 მთელი სამყაროს ბოროტებაზე  
 უბოროტეს არს ეგ შენი გული.  
 იგი ქვესკნელის მინოსს ეძმება  
 და არის მასზე ათასჯერ მეტი,  
 აბა, მე სად მაქვს იმის შეძლება  
 ჩამოვქნა სიტყვით სატანის სვეტი.  
 შენ თვით დახატე შენი ხატება  
 შენივე სიტყვით, შენივე საქმით,



რომ ძეგლი იგი, შემდეგ, ხალხებმა  
 მოსრან,- მიწიდან ქვესკნელში დანთქმით. .  
 შენ ჯოჯოხეთის ხარ ხელოვანი,  
 შენ მართლაც დიდი აიგე ძეგლი, .  
 ცრემლით და სისხლით სახელოვანი  
 შენ ხალხთა ყოფას ჰქელავ და ჯექნი. .

10:

აწ უამმა დაჰკრა, დადექ, იუდავ,  
 იცან სიკვდილი სისხლის ბელადმა  
 და ხალხს რომ წარღვნას მიჰქადდი მუდამ,-  
 დღეს თვით შენ მიხვედ სახრჩობელასთან. .  
 იცან სიკვდილი სისხლის ბელადმა, .  
 ჩაჰკალ იმედი შეელა-დახსნისა. .  
 დღეს შენ თვით მიხვედ სახრჩობელასთან  
 და უკან მოგვბა წყველა ხალხისა. .  
 შენთვის სამყაროს ახია რისხვა  
 და რისხვაც გითხარ მე - სიტყვის ლოთმა. .  
 რამდენი ღერიც გასხია თმისა, .  
 იმდენი დედის გამძიმებს ცოდვა. .  
 სამყაროს რისხვა შენთვის ახია  
 და ეს სამყაროც გრისხავს და გწყველის. .  
 რამდენი ღერიც თმისა გასხია, .  
 იმდენი დედის გიღვრია ცრემლი. .  
 დრო დადგა, აღსდგა ახლა სამყარო  
 და შენი ხუნდის იხსნის ტვირთებსა. .  
 ჩაძაღლდი, მხეცო გაუმაძღარო  
 შენთვის არავინ არ ატირდება. .

გაბრიელ ჯაბუშანური

1950: - 53 წწ



ეროვნული მოძრაობა საქართველოში **ეროვნული  
ნიგუნიონთა**  
(დასაწყისი იხ. „გუშაგი“ №5)

მიუხედავად სხვადასხვა ასოციაციებისა და იატაკქვეშა ორგანიზაციათა არსებობისა, ქართული ეროვნული მოძრაობის მთავარ კალაპოტს ქართული ენისა და კულტურის დასაცავად დღესაც მასობრივი გამოსვლები წარმოადგენენ; რომელთაც არაერთარი ჩამოყალიბებული ორგანიზაცია არ აწყობს და არ წარმართავს.

**1980:** წელს ქართული ინტელიგენციის **364**-მა წარმომადგენელმა, მათ შორის მეცნიერებათა აკადემიის რამოდენიმე წევრმა, ხელი მოაწერეს პროტესტს იმ დადგენილების საწინააღმდეგოდ, რომელიც სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციის დაწერასა და დაცვას რუსულ ენაზე ითვალისწინებდა. ისე, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფოებრივად დატოვება, ეს მხოლოდ ფიქციას და ხალხისათვის თვალის ახვევას წარმოადგენდა მის დასაწყობებად. სინამდვილეში დღეს საქ — ში ძირითადი საქმიანობა, განსაკუთრებით რესპუბლიკური მნიშვნელობის დაწესებულებებში, ისეთებში როგორცაა: საქ. კპ ცენტრალური კომიტეტი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო, პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო, საქ. კომკავშირის ცენტ. კომიტეტი და მრავალი სხვა, რუსულ ენაზე წარმოებს, ხოლო საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენა სულ უფრო ენერგიულად იკავავს გზას. რუსიფიკაციის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანებს კი საქ — ს კომუნისტური მთავრობა დროდადრო გზიდან იშორებს. **1980:** წლის **23** ოქტომბერს დაპატიმრებული და ფსიქიატრულ საავადმყოფოში იქნა მოთავსებული **1915** წელს დაბადებული ნიკოლოზ სამხარაძე, ცნობილი იმით, რომ იგი ჯერ კიდევ **1958** წელს გამოდიოდა ქართულ სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების გაუქმების წინააღმდეგ და ბრალს სდებდა მოსკოვის შოვინისტურ პოლიტიკაში. ამის შემდეგ მან ერთი წელი გაატარა ფსიქიატრულ საავადმყოფოში, ხოლო მრავალი წლით დეკარგა სამუშაო.

მაღე ნ. სამხარაძის დაპატიმრების შემდეგ თბილისში გამო-

\*\*\*\*\*

ჩნდა პროკლამაციები: „თავისუფლება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს— კოსტავას, იმნაძეს და სამხარაძეს.“

1981 წლის დასაწყისში თბილისის უნივერსიტეტიდან დათხოვილი იქნა ქართული ლიტერატურის მასწავლებელი აკაკი ბაქრაძე, რომელიც ხალხში ძალზე პოპულიარული იყო, მისი პატრიოტული პოზიციების გამო. 1981 წლის 23 მარტს ათასამდე სტუდენტი გამოვიდა დემონსტრაციაზე აკ. ბაქრაძის დასაცავად, რის შემდეგ აკ. ბაქრაძე აღდგენილი იქნა სამუშაოზე. ერთი კვირის შემდეგ ამისა, რამდენიმე ასეული კაცის დემონსტრაცია გაიმართა თბილისში უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შენობის წინ; სადაც მწერალთა რესპუბლიკური ყრილობა მიმდინარეობდა. დემონსტრანტებმა გაატარეს ლოზუნგები, რომლებშიც მოითხოვდნენ საშუალო სკოლებსა და ინსტიტუტებში საქართველოს ისტორიის კურსის სწავლების გაფართოებას და ქართული ენის რუსულისაგან დაცვას. დემონსტრანტებთან გამოვიდა საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედ. შევარდნაძე, რომელიც ამ ყრილობას ესწრებოდა. დემონსტრანტებმა მას ლ. ბრეჟნევის სახელზე დაწერილი პროტესტი გადასცეს. ედ. შევარდნაძემ ისაუბრა დემონსტრანტთა რამოდენიმე წარმომადგენელთან და „თანაგრძნობა“ გამოხატა. იგი დაპირდა რომ შეხვედებოდა მათ სხვა ადგილას 14 აპრილს, რის შემდეგ დემონსტრანტები დაიშალნენ.

შევარდნაძემ თავისი პირობა ნაწილობრივ შეასრულა. იგი შეხვედრაზე თბილისის უნივერსიტეტში მივიდა, მაგრამ არა დათქმული 14 აპრილის დღეს—ცნობილი დემონსტრაციის წლისთავის დღეს—არამედ 20 აპრილს. იგი იმ აუდიტორიაში შევიდა, სადაც შეკრებილნი იყვნენ არა დემონსტრანტები, არამედ კომკავშირული აქტივისტები. მხოლოდ დიდი პროტესტების შემდეგ ამ შეხვედრაზე დემონსტრანტთა წარმომადგენლებიც დაუშვეს.

1981 წლის აპრილის დასაწყისში თბილისში შესდგა კიდევ ერთი დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო აფხაზეთიდან სპეციალურად ჩამოსულმა რამოდენიმე ასეულმა ქართველმა სტუდენტმა. ისინი პროტესტს აცხადებდნენ აფხაზეთში ქართველთა უფლებების შევიწროების წინააღმდეგ. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ აფხაზეთში ეროვნულ ნიადაგზე მომხდარი უსიამოვნებანი კომპარტიის საკავშირო ცენტ. კომიტეტის წამყ



ვან თანამდებობათა მუშაკების წაქეზების ნაყოფი იყო ბრძოლა, დადიოდა ხმები, რომ აფხაზებს, საქართველოდან უფროსი უფროსი საქმეში, ხელს უწყობდა ს.კ.კ.პ. ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პოლიტიუროს წევრი მიხეილ სუსლოვი.

აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში გახსნილი იქნა უნივერსიტეტი, რომელშიც რუსული ენისა და კულტურის და აფხაზური ენისა და კულტურის განყოფილებები მოქმედებდნენ, იმ დროს, როცა ქართული ენისა და კულტურის განყოფილების გახსნა უგულვებელყოფილი იქნა. ამ საქმის თბილისელმა აქტივისტებმა დემონსტრაციები თბილისიდან მცხეთაში გადაიტანეს. პირველი დემონსტრაცია მცხეთაში ჩატარდა 1981 წლის 14 აპრილს, მისთვის ხელის შეშლის მიზნით, თბილისსა და მცხეთას შორის შეწყვეტილი იქნა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა. გზებზე მილიციის პატრულები იდგნენ, მაგრამ ორასმა კაცმა მაინც მიაღწია მიზანს: ზოგმა ფეხით გზების ავლით, ზოგმა მტკვარზე დადებული ტივებით.

დემონსტრანტები სვეტიცხოვლის ტაძარში შეიკრიბნენ და მუხლებზე დაჩოქილნი სანთლით ხელში, საქართველოზე ლოცულობდნენ. მათ ფიცი მისცეს, არასოდეს არ შეეწყვიტათ ბრძოლა, მათ მოთხოვნათა მთლიან დაკმაყოფილებამდე.

გადაწყდა, რომ ყველწლიურად 14 აპრილს შეკრებილიყვნენ და ელოცათ საქართველოზე, იმ დემონსტრაციის მოსაგონებლად, რომელმაც 1978 წელს ფორმალურად, მაგრამ მაინც, ქართული ენის სახელმწიფოებრივ ენად შენარჩუნება განაპირობა. შეკრებილთა წინაშე გამოვიდა ეკლესიის ორი მსახური. ერთი მოუწოდებდა მათ დაწყნარებულიყვნენ და დამორჩილებოდნენ ხელისუფალთ, მეორე კი ახსენებდა ქართველი ხალხის სასახლო წარსულსა და შესანიშნავ ტრადიციებს.

ტაძრის დარბაზების შემდეგ დემონსტრანტებმა შეადგინეს პეტიცია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის სახელზე, რომელშიც პროსაბჭოურად განწყობილი მსახურის ეკლესიიდან დათხოვნას მოითხოვდნენ. შემდეგ, დემონსტრანტები პატრიარქისათვის ამ წერილის გადასაცემად თბილისში, სიონის ტაძარში გაემგზავრნენ.

-1981 წლის 12 ოქტომბერს მცხეთაში სვეტიცხოვლის ტაძართან ორი ათასამდე კაცი შეიკრიბა, რომლებიც საქართველოს სასწავლებლებში ქართული ენის გაკვეთილების შემცირების წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდნენ. ამ დემონსტრაციას

\*\*\*\*\*

თან დაკავშირებით დაკავებული იქნენ ზვიად გამსახურდია, თამრიკო ჩხეიძე და კიდევ რამოდენიმე პირი, მაგრამ ისინი იმ დღესვე გაანთავისუფლეს. მიუხედავად ამისა, ამ სურათებთან დაკავშირებით აღიძრა საქმე ეგრედწოდებული „ხულიგნობის“ შესახებ. 1982 წლის იანვრის მეორე ნახევარში შესდგა სასამართლო თამრიკო ჩხეიძის, მარინე კოშკაძის, ნანა კაკაბაძის, მარინე ბაღდავაძისა და ირაკლი წერეთლის. სასამართლომ ისინი დამნაშავედ სცნო ხულიგნობაში და თითოეულს 5 წლით პირობითი პატიმრობის სასჯელი გამოუტანა, იმ ვარაუდით, რომ კანონის პირველი დარღვევისთანავე დაპატიმრებულნი იქნებოდნენ.

— 1982 წლის მაისში, შეითხზნილი ბრალდების საფუძველზე, დაპატიმრებული იქნა სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტის მამა—მერაბ ბაღდავაძე, რომ ვითომდაც იგი თავს დაესხა ხელისუფლების წარმომადგენელს. გამოძიებლები ღიად ლაპარაკობდნენ, რომ ეს საქმე „ზევიდან“ დაწოლის შედეგად აღიძრა, მარინესა და მის მეგობრებზე ზეგავლენის მოსახდენათ. სასამართლომ მერაბ ბაღდავაძეს სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა. ამის გამო მარინემ შიმშილით გაფიცვა გამოაცხადა. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მერაბ ბაღდავაძე განთავისუფლებული იქნა, ხოლო სასჯელი პირობითი დაუტოვეს.

— რამდენიმე ხნით ადრე კი პატიება მიიღო ავთანდილ იმნაძემ, რომელიც დაპატიმრებული იქნა 1978 წლის 14 აპრილის დემონსტრაციის მსვლელობის კინოგადაღების გამო.

— რაც შეეხება მერაბ კოსტავას, რომელიც გადასახლებაში იმყოფებოდა, 1981 წლის ნოემბერში იგი „ხელისუფლების წარმომადგენელზე თავდასხმის“ შეითხზნილი ბრალდებით გაასამართლეს და მიუსაჯეს 5 წლით პატიმრობა, მკაცრი რეჟიმის პირობებში. მ. კოსტავას მრავალი პროტესტი უშედეგო გამოდგა. როგორც ცნობილი გახდა, მ. კოსტავამ პროტესტის ნიშნად შიმშილით გაფიცვა გამოაცხადა. დღეს მისი ბედის შესახებ არაფერია ცნობილი.

— კოსტავას მხარდასაჭერად ქართული ინტელიგენციის 200 წარმომადგენელმა წერილობითი პროტესტი განაცხადა. საქ-ს მეც. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ორი თანამშრომელი, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ პროტესტს, ყალბი ბრალდების საფუძველზე დაპატიმრებული იქნენ 15 დღე-ღამით. ამან ხა-



ლხის ისეთი უკმაყოფილება გამოიწვია, რომ ისინი ვადანერვიულდნენ და ათავისუფლეს. მ. კოსტავა კი კვლავაც პატიმრობაში იმყოფება!

— 1983 წელს ხელახლა იქნა დაპატიმრებული ვალენტინა ფაილოძე და ამ შემთხვევაში მას რვა წლით პატიმრობა მიესაჯა.

— 1983 წელს ქართველი ხალხის დიდი გულისწყრომა გამოიწვია, 1783 წელს საქ-სა და რუსეთს შორის დადებული გიორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავის აღსანიშნავ დღესასწაულთა ჩატარებამ. საბჭოთა პრესა ამ აქტს სახელმწიფო უმაღლესი სიბრძნის გამოხატვას უწოდებდა, რომელმაც „ქართველ ხალხს ბედნიერება მოუტანაო.“ ეს, რა საყვირველია, უდიდეს ცინიზმს, ქართველთა შეურაცხყოფას წარმოადგენდა, ვინაიდან ეს ხელშეკრულება საქ-ს ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს ტრადიციულ მოვლენად ითვლება, რომელმაც რუსეთს საქ-ს დაპყრობის საშუალება მისცა.

თვითგამოცემაში გამოვიდა ჟურნალ „საქართველო“-ს სპეციალური გამოშვება, 1783 წლის ხელშეკრულებისა და მისი შედეგების შესახებ, რომელშიც მოყვანილი იყო ამ საკითხთან დაკავშირებული მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომები და თვითგამოცემის მასალათა ფრაგმენტები. ამ იუბილესათვის ბოიკოტის გამოცხადების მოწოდება გავრცელებული იქნა პროკლამაციების სახით თბილისსა და საქ-ს ზოგიერთ სხვა ქალაქებში. მათ გავრცელებისათვის იმ წ. 15 ივნისს თბილისში დაპატიმრებული იქნენ ირაკლი წერეთელი, დაბადებული 1961 წ., და პაატა საღარაძე, დაბ. 1958 წელს.

ამავე წლის ივლისის დასაწყისში დაპატიმრებული იქნა ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტი დავით ბერძენიშვილი, დაბადებული 1960 წელს, იმ ბრალდებით, რომ იგი რედაქტორობდა „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ ორგანოს, ჟურნალ „სამრეკლოს.“ უნდა ითქვას, რომ ეს პირველი და ერთადერთი ხსენებაა ამ პარტიისა.

1983 წ. 11/7 გაიმართა ასკაციანი დემონსტრაცია, რომელიც დაპატიმრებულთა განთავისუფლებას მოითხოვდა. დაკავებული იქნა დემონსტრაციის ოცი მონაწილე, რომელთა უმრავლესობა მალე განთავისუფლეს, ხუთი მათგანი კი: თ. ჩხეიძე, ვ. ცინცაძე, ნ. კაკაბაძე, გ. ქანტურია და მ. ბაღდავაძე დააპა-

\*\*\*\*\*

ტიმრეს, რითაც საქ-ს ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა თაობის აქტივისტებს პირველი სერიოზული დარტყმა მიუტანეს.

- 1983 წლის სექტემბერში ქართული ინტელიგენციის ექვსმა წარმომადგენელმა: მეც. დოქტორმა ნ. ნათაძემ, პროფ. გ. თევზაძემ, მეც. კანდიდატებმა გ. კანკავამ და ზ. კიკნაძემ, გადამდგარმა ოფიცერმა მ. გამხარაშვილმა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელმა ი. დათუნაშვილმა საჩივრით მიმართეს საბჭ. კავშირის კ.პ.ც.კ. გენ. მდივანს ი. ანდროპოვსა და მინისტრთა საბჭოს თავ-რეს ნ. ტიხონოვს საქართველოში ქართველი ხალხის შევიწროების გამო. საჩივარში ნათქვამი იყო, რომ საქ-ს გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისისა და სხვა რაიონებში, სადაც ამჟამად აზერბაიჯანელები ცხოვრობენ; ქართველი ეროვნების მოსახლეობა შევიწროებასა და ყოველმხრივ დისკრიმინაციას განიცდის. საჩივარში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ აზერბაიჯანელი მოსახლეობა საქ-ს იმ ტერიტორიის, სადაც ის ცხოვრობს, აზერბაიჯანისათვის მიერთების პრეტენზიას აცხადებს. „ქართველი ხალხი, ნათქვამია საჩივარში, ცნობილია თავისი მოთმინებით და არაქართველებისადმი სამართლიანობის გრძნობის გამოხატვით. მას არა აქვს სხვა რომელიმე ერის მიმართ ზიზღი, მიმთუმეტეს თუ ეს მეზობელ ერს ეხება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი დათანხმდება ვისმეს თავისი მიწა გაუყოს, ან თავისი ტერიტორიის ნაწილზე სუვერენიტეტი დაკარგოს.“

- სამოცდაათიანი - ოთხმოციანი წლების საქართველოში აღნიშნება ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დეგრადაციის ფაქტები. ეკლესიის მსახურნი ადანაშაულებენ პტრიარქ ილია მეორეს, ეკლესიაში მოკალათებულ ზნეობრივად გახრწნილ მსახურთა ხელისდაფარებაში. ამის შესახებ ილია მეორეს აგრეთვე მიმართა ზვიად გამსახურდიამ.

უკანასკნელად ასეთი სახის მამხილებელი წერილი პტრიარქ ილია მეორის სახელზე შედგენილი იქნა ბათუმის და შემოქმედის მიტროპოლიტ შიოსა (ავალიშვილი) და ნიკორწმინდის ეპისკოპოს ამბროსის(ქათამაძე) მიერ 1983 წ. 30 ივნისს. ქართულ ეკლესიაში ასეთი უსიამოვნო ვითარების შექმნა შემთხვევითი არ არის. ამას ყველაფერს საფუძვლად უდევს საბჭოთა წყობილება, რომელიც საზოგადოების ყველა სფეროში, მათ შორის ეკლესიაში, თავისი დიქტატის დამყარებას ცდი-

ლობს. საბჭო. ხელისუფალნი ყოველგვარ ხერხს მიმართავენ, რათა ეკლესიაში მათი მონა-მორჩილნი მოახვედრონ, ერთხელ მომხდარა, და სწორედ მათ შორის ვხვდებით ხშირად ავაზაკებსა და ზნეობრივად დაცემულებს, რომლებიც ქართულ ეკლესიას სახელს უტეხენ და მის ავტორიტეტს დაზარალებენ. ეს ერთიანი საბჭოთა ათეისტური პოლიტიკიდან გამომდინარეობს, რომლის მიზანია ხალხის თვალში ეკლესიის სახელის გატეხა, რაც მას ათეისტური ზეგავლენის გაძლიერებას უადვილებს. ამის დამადასტურებელი ფაქტები კი უამრავი არსებობს.

ის, რომ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ ქართველი ხალხი საშიშ მდგომარეობაში ჩააგდო, ეს განსაკუთრებით ცხადად ჩანს დღეს, საბჭო. კავშირის პირობებში, როცა ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ეროვნული და კულტურული ტრადიციების დეგრადაციის მოწმენი ვართ, როცა რუსეთის გავლენა საქ-ში სულ უფრო დიდ გავრცელებას პოულობს.

თუ საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ პირველ წლებში საქ-ს ე.წ. ხელმძღვანელები ასე თუ ისე შედარებით ნაკლებ დაბრკოლებებს უქმნიდნენ ქართული ეროვნული წესჩვეულებების შენარჩუნებას, შემდგომ წლებში, განსაკუთრებით ედ. შევარდნაძის მიერ საქ-ს მართვის ბერკეტების ხელში ჩაგდებას შემდეგ, ქართული ეროვნული ტრადიციები ძირულ განადგურებას განიცდიან და მათ სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებათ. აიკრძალა მრავალი ეროვნული თუ რელიგიური დღესასწაული, რომელთა მსგელობაში ქართველი ხალხი იგონებდა, ინარჩუნებდა და ახალგაზრდობაში ნერგავდა ქართულ-ადამიანური სულისკვთებით გამსჭვალულ ეროვნულ ტრადიციებს. საქ-ს დღევანდელი პარტიული ხელმძღვანელობა ყოველნაირად ცდილობს, რომ ხალხს დაუკარგოს ინტერესი ეროვნული ტრადიციებისადმი და ამ ტრადიციებს საერთო საბჭოური ხასიათი მისცეს.

მრავალი საუკუნის მანძილზე არსებული რელიგიური ან სახალხო დღესასწაულები იცვლება პარტიის მიერ მოგონილი, კომუნისტური იდეებით გამსჭვალული, ხელოვნურად შეთითხნილი დღესასწაულებით, ისეთებით როგორცაა მაგალითად „თბილისობა“ ან „ქუთაისობა.“

საქ-ს დღევანდელი კომუნისტური ხელმძღვანელობა ე. შევა-

\*\*\*\*\*


რდნადის მეთაურობით რუსი ერისადმი, რუსი პარტიული ხელმძღვანელობისადმი განსაკუთრებული ყურმოჭრილი ყინს ბოროს თამაშობს. იმისათვის, რომ შეინარჩუნონ მაღალი პარტიული თანამდებობანი, ისინი ყველგვარ დამცირებაზე მიდიან. რუსი კომუნისტური ხელმძღვანელობისადმი მლიქვნელობის უმაღლეს დონეს წარმოადგენდა ე. შევარდნაძის გამონათქვამი, საქართველოში ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავზე 1981 წელს, რომელსაც ბრეჟნევი ესწრებოდა. მან განაცხადა: „საქართველოსათვის მზე არა აღმოსავლეთიდან, არამედ ჩრდილოეთიდან ამოდისო.“

რუსეთის მიერ საქ-ს დაპყრობის შემდეგ, ქართ-ლი ხალხი ყველთვის განიცდიდა ეროვნულ ჩაგვრასა და შევიწროებას, მაგრამ იგი მედგრად იცავდა თავის მრავალსაუკუნოვან ენას, ტრადიციებს, კულტურას, ხელოვნებასა და საზოგადოებრივი განვითარების სხვა ასპექტებს და ხშირად შედეგსაც აღწევდა. ეროვნული მოძრაობა საქ-ში მნიშვნელოვნად შესუსტდა საბჭ. რეჟიმის დამყარების შემდეგ, ვინაიდან კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმი არა მარტო ეროვნული თვისებების გამოვლენას კრძალავს, არამედ მკაცრად უსწორდება ყველას, ვინც კი მისი არაადამიანური, მონური თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გაილაშქრებს.

საქ-ს კომუნისტური რეჟიმი, რომელსაც სათავეში სინდისდაკარგული, რუსებისადმი მლიქვნელი, ერის მოღალატე, ბიუროკრატიზმითა და ყალბი უშედეგო სამეურნეო საქმიანობით გამსჭვალული საქ-ს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უდგას სათავეში, უდიდეს კომპლექსურ ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოში რუსული მსოფლმხედველობისა და რუსული ენის გავრცელებისათვის.

მაგრამ, ხალხის მოთმინების ფიალა აივსო და დღეს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, გაოგნებული, უმძიმეს მორალურ-ფსიქოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი ქართველი ხალხი ნელნელა თავს მაღლა სწევს და იწყებს შეუწყვეტილი ბრძოლის გაგრძელებას, თავისი ეროვნული წეს-ჩვეულებების, ტრადიციების შენარჩუნებისა და დამოუკიდებლობის მისაღწევად. მართალია ეს ბრძოლა ჯერ კიდევ მხოლოდ ფერმქრთალ ხასიათს ატარებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ხალხმა მთლიანად შეიგნო ის საფრთხე, რაც მას მოელის წი-

\*\*\*\*\*



ნააღმდეგობის გაუწევლობის შემთხვევაში. კვლავ ელოდებით სანიშნავი კი ის არის, რომ ამ დიდი ეროვნული საკმის წინა მომწყობნი, დიდ ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი ახალგაზრდები არიან. მათ კი ამ საშვილიშვილო საქმეში ყველმხრივი მხარდაჭერა და დახმარება ესაჭიროებათ.

დღეს მსოფლიო საზოგადოებრიობა დიდ გულიწყრომასა და შემფოთებას გამოხატავს საბჭო. კავშირის მიერ ავღანეთის ოკუპაციის გამო. ამ ოკუპაციას მრავალი სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაცია გმობს და ავღანელ ხალხს პოლიტიკურ, მორალურ, ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას უწევენ. დამპყრობლის მიმართ ასეთი დამოკიდებულება სრულიად გამართლებულია და ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ საქართველო ხომ ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელიც ჯერ მეფის რუსეთმა და ხელმეორედ კომუნისტურმა რუსეთმა დაიპყრო. მისი დახმარებისთვის იმ დროს თავი არავის შეუწუხებია.

რასაკვირველია, მაშინ სხვა დრო იყო და პატარა ერების ბედი არავის აწუხებდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბჭოთა ექსპანსიონიზმმა გლობალური მასშტაბი მიიღო, დიდმა დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა დაიწყეს „გამოღვიძება“. მათ იგრძნეს, რომ საბჭოთა წესწყობილება მათაც ემუქრებათ. მაგრამ, მიუხედავად ამ ე.წ. გამოღვიძებისა, ისინი დღესაც ბოლომდე ვერ გებულობენ იმას, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიო ცივილიზაციისათვის კომუნისტური წესწყობილება. დემოკრატიული მმართველობის სპეციფიკის გამო, ისინი საკმარის ეფექტიან წინააღმდეგობას ვერ უწევენ საბჭოთა დამპყრობლურ პოლიტიკას. ეს უკანასკნელიც სარგებლობს დემოკრატიის ამ სისუსტით და დაუსჯელად ახორციელებს თავის შავბნელ საქმეებს. ამ მხრივ მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა მას შემდეგ, რაც მსოფლიოს უდიდეს დემოკრატიულ სახელმწიფოს—ამერიკის შეერთებულ შტატებს—სათავეში ჩაუდგა უდრეკი, პრინციპული, უდიდესი ადამიანური თვისებების მქონე პრეზიდენტი რონალდ რეიგანი. მან აგრძნობინა საბჭოთა მეთაურებს, რომ დასავლეთის დემოკრატიული სამყარო, ამერიკის შ. შტ.-ს ჩათვლით, კვლავაც რჩება დემოკრატიზმის და ერთა ურთიერთ თანასწორობის დამცველ უდრეკ ძალად.

რაც შეეხება ქართველ ხალხს, იგი ნუგეშს არ კარგავს. მან კარგად იცის, რომ, ადრე თუ გვიან, რუსულ-კომუნისტური რე-

\*\*\*\*\*

ქიმი დამარცხებული იქნება. მან იცის, რომ დღეს საქართველოში არიან ძალები, რომელთაც შესწევთ უნარი შეინარჩუნონ ქართველი ხალხის უმდიდრესი ისტორიული, ზნეობრივი და კულტურული სიმდიდრე, და, რაც მთავარია, - დედაენა. მან იცის, რომ დადგება დრო, როცა ქართველი ხალხი თავს დააღწევს რუსულ-კომუნისტურ მონობას და კვლავ დაიწყებს მჩქეფარე, ხალისიან, ჭეშმარიტად შემოქმედებით ადამიანურ ცხოვრებას, რაც ასე დამახასიათებელია ამ მცირერიცხოვანი, მაგრამ უდიდესი გულის ხალხისათვის. ქართველმა ხალხმა იცის, რომ დადგება დრო, როცა მას თავისუფალი აზროვნების პირობებში, თავისი მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის სრულყოფის საშუალება მიეცემა. ამისთვის კი საჭიროა უკომპრომისო ბრძოლა მტერთან - რუსულ-კომუნისტურ მონათმფლობელურ ტოტალიტარულ რეჟიმთან; არა ერთპიროვნულად, არამედ იმ ხალხებთან ერთად, რომლებიც ასეთივე ბედში ჩაყარა რუსეთის კომუნისტურმა რეჟიმმა.

ქართველმა ხალხმა იცის, რომ დღევანდელ პირობებში საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიალური სიმთელის მისაღწევად უპირველეს ამოცანას კომუნისტური რეჟიმის დამხობა წარმოადგენს.

ჩვენ ყველდღიურად ვრწმუნდებით, რომ, მიუხედავად უზარმაზარი დამსჯელი ძალისა, საბჭოთა რეჟიმი სულ უფრო მეტად ჰკარგავს ხალხის ნდობას, მისი ადამიანებისადმი მტრული დამოკიდებულების გამო და, ამიტომაც, იგი საბოლოოდ განწირულია.

გურამ გელოვანი  
ნიუ-იორკი, 1984 წ. 26/12

\*\*\*

ბ ი რ თ ვ უ ლ ი ო მ ი ს ფ ა რ ი

“არ დავუშვათ კოსმოსის მილიტარიზაცია!” - გაიძახის ყველდღიურად საბჭოთა დიპლომატია და პროპაგანდა. “ვარსკვლავთა ომი” - აძლევს ბანს მსოფლიო სენსაციების პრესა. „სამყაროს მილიტარიზაცია“ - ეხმაურებიან სამხედრო მიმომხილველები. „L'initiative de Defance strategique“ (I.D.S.) (სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა) - ამბობს პრეზიდენტი რ. რეიგანი და მოწმე ვართ გაუთავებელი მითქმა-მოთქმისა ამ სა-

კითხზე. ამ ალიაქოთს სათავე დაედო პრეზიდენტ რეიგანის საჯარო განცხადებით 1983 წელს: „სტრატეგიული ხასიათის ბირთვული რაკეტებისაგან თავდაცვის საშუალებების წინასწარი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოების დაწყების გადაწყვეტილებაზე,“ რის შემდეგაც იგი იქცა საერთაშორისო მსჯელობის მთავარ საკითხად. ამ საკითხზე საკუთარ აზრებს ადგენენ და პოზიციებს იმუშავებენ მთავრობები, პარტიები და სხვა.

როგორც ცნობილია, რეიგანის მთავრობამ ევროპის სახელმწიფოებს შესთავაზა სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობა და იმ შემთხვევაში თუ „სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა“ ლაბორატორიულ კვლევა-ძიებიდან პრაქტიკულად ხორცს შეისხავს, მაშინ ბირთვული ომის ფარი ევროპის სახელმწიფოებზედაც გავრცელდება თუ, რასაკვირველია, ეს უკანასკნელები ამას ისურვებენ.

ამასთან ერთად, ამერიკის პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა აგრეთვე, რომ თუ ამ წინასწარი ლაბორატორიული ხასიათის კვლევა-ძიების განმავლობაში მივალწევთ შეთანხმებას საბჭოთა კავშირის მთავრობასთან ბირთვული იარაღის შეზღუდვის, შემცირების, ან, რაც უკეთესია, სრული განიარაღების საკითხში, მაშინ ჩვენ უარს ვიტყვით სტრატეგიული ბირთვული რაკეტების საწინააღმდეგო იარაღის დამზადებასა და საბრძოლო მდგომარეობაში მის განლაგებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრეზ. რეიგანის „სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა“ მიზნად ისახავს არა თვით იარაღის დამზადებასა და სამხედრო მდგომარეობაში მოყვანას, არამედ მეცნიერულ და ტექნიკურ ძიებას ამ იარაღის ოპერატიულობის შესაძლებლობის შესახებ.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში, რაც ატომ-ბირთვული საშინელი ბომბის მუქარა არსებობს, პრეზ. რეიგანმა პირველმა განაცხადა საჯაროდ, რომ ბოლოს და ბოლოს კაცობრიობა უნდა განთავისუფლდეს ბირთვული იარაღით მოსპობის მუქარისაგან და ამის მისაღწევად დღესდღეობით მხოლოდ ორი გზა არსებობს:

\*\*\*\*\*

1. ბირთვული იარაღის დამზადებაზე ისეთი კონტროლი დაწესდება, რომლის შემოწმებაც შესაძლებელი იქნება, ისა-საც საბჭ. მთავრობა ეწინააღმდეგება, ხოლო ასეთი კონტროლის გარეშე, საბჭოთა ხელისუფლების ნდობა შეუძლებელიაო.
2. მეორე გზას კი წარმოადგენს სწორედ ეს ჩვენს მიერ გაგანზრახული „სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა“, რომლის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ბირთვული იარაღი დაჰკარგავს თავისი აბსოლუტური მუქარის თვისებას, რაც აზრს დაუქარგავს ამ ძვირად ღირებული იარაღის გამალებულ დამზადებას და გააადვილებს მისი მთლიანად თავიდან მოშორების ხელშეკრულებაზე შეთანხმებასაო.

პრეზიდენტ რეიგანის გადაწყვეტილებას „სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის“ თაობაზე შედეგად მოჰყვა ის, რომ მით შეშფოთებულმა საბჭოთა დიპლომატიამ და პროპაგანდამ სასტოკი ბრძოლა გამოუცხადა ამერიკის მთავრობის ამ ნაბიჯს. მისი მტკიცებით, პრეზ. რეიგანის ამ გახშიანებულ პროექტს, ამერიკის თავდაცვა კი არა აქვს მიზნად, არამედ კოსმოსის შეიარაღება და იქიდან თავდასხმითი ომის დაწყებაო. ასეთი ლოლიკით ისინი ამერიკის მთავრობის ინიციატივას „კოსმოსური ომის“ განზრახვად ნათლავენ და მოითხოვენ მის აკრძალვას.

ამ „რკინის მკლავის“ პოლიტიკის გვერდით პოზიტიური შედეგიც მოჰყვა ამერიკის ინიციატივას აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობაში, რადგანაც ამით თითქოს საპატიო გამოსავალი ნახა გაწილებულმა და დარცხვენილმა კრემლმა და ჟენევის განიარაღების კონფერენციაზე დაბრუნების სურვილი განაცხადა, რომელიც მან მიატოვა იური ანდროპოვის გენერალური მდივნობის დროს.

რა თქმა უნდა, კრემლის ობსტრუქცია ამით არ დამთავრებულა და კაცობრიობას წინ კიდევ გრძელი გზა აქვს, სანამ ის განიარაღების საკითხში საერთოდაც და კერძოდ სტრატეგიული და ტექტიკური ბირთვული იარაღისაში, გონიერ ხელშეკრულებაზე დათანხმდებოდეს. მისი ჟენევის კონფერენციაზე დაბრუნება კი გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ ამ კონფერენციის ბოიკოტი მავნე გამოდგა საბჭოთა სამშვიდობო პროპაგანდისათვის და მან ვერც ამერიკელები და ევროპელები დააფრთ-

\*\*\*\*\*

ხო, როგორც ამას ალბათ კრემლის სტრატეგები ვარაუდობდნენ.

რაში მდგომარეობს მაინც პრეზ. რეიგანის „სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა“? ჩვენ, რა თქმა უნდა, საყითხს დეტალურად და მეცნიერულად ვერ განვიხილავთ ამ მცირე წერილში, მით უფრო, რომ ჯერ კიდევ არავინ იცის თუ რა მეთოდებს და საშუალებებს გამოიყენებენ მეცნიერები და ტექნიკოსები დასახული მიზნის განსახორციელებლად. ჩვენ მხოლოდ პრინციპს შეგვხებით და იგი მარტივად ასეთია:

განზრახულია დედამიწის მაღლა კოსმოსში მოთავსებულ ხელოვნურ თანამგზავრებზე მოეწყონ ძლიერი სადაზვერვო მოწყობილობები, მძლავრი ორდინატორების შემადგენლობით, რომლებიც მოწინააღმდეგის ობიექტებიდან გამოსროლილ ბირთვულ ყუმბარებს წამიერად აღმოაჩენენ და განსაზღვრავენ მათ ზუსტ ადგილმდებარეობას. მეორე მხრით, იგივე ხელოვნურ თანამგზავრ-სადგურებზე დადგმული იარაღები—ლაზერის სხივთა კონა, ან ჩვეულებრივი არაბირთვული ბომბთა მტყარცნები— ამოქმედდებიან და ამ მტრის მიერ გამოსროლილ სტრატეგიულ რაკეტებს იქვე ააფეთქებენ, როგორც კი ისინი გამოვლიან მტრის ტერიტორიის ატმოსფეროდან; ე.ი. კოსმოსში გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ისინი ამერიკის საჰაერო გარსში შეიჭრებოდნენ.

ამერიკის მთავრობის ეს აღიარებული ინიციატივა ბევრ სერიოზულ მსჯელობას, კრიტიკასა და რეზერვებსაც იწვევს დასავლეთის პოლიტიკურ წრეებშიაც. ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო სტრატეგებიც, რომლებიც ტოტალურ ბირთვულ ომის მუქარას გულისხმობენ; ბირთვული ფარის განხორციელების შემთხვევაში თავიანთ არსებობის აზრს ჰკარგავენ. აქედან გამომდინარე, მეტი რომ არ ვთქვათ, მათი კრიტიკული დამოკიდებულებაც ამ ინიციატივისადმი. არის სხვა ბევრი სერიოზული რეზერვებიც, მაგრამ ერთში ყველა თანახმაა, რომ თეორიულად პრეზ. რეიგანის ინიციატივის რეალიზაცია შესაძლებელია მომავალ ათ წელიწადში, ანდა სულ ბევრი ამ საუკუნის ბოლოსათვის.

ვინაიდან მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის შეჩერება შეუძლებელია, ამიტომ ამზობენ ისინი, პრეზ. რეიგანის ინიციატივას ხელი არ უნდა შეეშალოს, მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირი გულხელდაკრეფილი არ დგას, ის გულმოდგინებით აწარმებს მოსამზადებელ კვლევასა და ცდებს ამ დარ-

\*\*\*\*\*

გმი ისე, რომ ამას ვერავინ ვერ გაიგებს იმ მომენტამდე როცა ეს უკვე გვიან იქნება. მაშინ კრემლის მბრძანებლები შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპას სწორედ იმ მუქარის ქვეშ დააყენებენ, რასაც ისინი ამჟამად ამერიკის პრეზიდენტს უკიჟინებენო, ამბობენ ისინი.

ჩვენ გვგონია, რომ ამ სულ მცირე ანალიზიდანაც ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის მომავლისათვის პრეზ. რეიგანის „სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივას“, თუ რატომ ასე გააფრთხილებით ებრძვიან მას ანდროპოვ-ჩერნენკო-გორბაჩოვები და თუ რატომ ასე მტკიცედ ადგია თავის გადაწყვეტილებას ამერიკის პრეზიდენტი. თავისუფლება მხოლოდ ამ სიმტკიცის ფასად შეიძლება გადარჩეს და საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდეს.

პაპუნა ლუბაშვილი

\*\*\* \*\*

გორბაჩოვის სიურპრიზები

მიხაილ გორბაჩოვის ხელმწიფების პირველი პოლიტიკური ნაბიჯები საერთაშორისო ყურადღების ცენტრშია. შეიძლება ითქვას: ის ჯერჯერობით, სამართლიანად თუ უსამართლოდ, დასავლეთის საინფორმაციო საშუალებების კეთილგანწყობილებით სარგებლობს.

თუ მის სიტყვებს დავუჯერებთ, დასავლეთის მიმართ ის მომხრეა 70-იან წლების დეტანტის პოლიტიკისა. ეს არცაა გასაკვირველი და ახალი, 70-იან წლებში საბჭოთა დიპლომატიამ მართლაც დიდი გამარჯვება მოიპოვა ჰელსინკის ხელშეკრულების სახით, რომ აღარაფერი ვთქვათ ვიეტნამ-კამბოჯის გასაბჭოებაზე და ავღანეთის სამხედრო ოკუპაციაზე.

საერთოდ გორბაჩოვის პოლიტიკა საერთაშორისო არენაზე ჯერ-ჯერობით ხასიათდება ბრეჟნე-ანდროპოვ-ჩერნენკოს ნატკეპნი გზით სვლაში. მთელი მისი პროპაგანდის წვრილი და მსხვილი არტილერია მიმართულია შეერთებულ შტატების მთავრობის წინააღმდეგ და ამ უკანასკნელებთან მათი

მოკავშირეების წასაჩხუბებლად. ახალი მხოლოდ აღამიანებია.

საშინაო ფრონტზე გორბაჩოვი გაცილებით უფრო მეტი მუშა მკვიდრეობას იღებს. საბჭოთა ეკონომიკა მთლიანად აღდგენილი მწვავე კრიზისშია. პროდუქციის საერთო მატება 1982 წელში თუ კიდევ იყო 3,1%, 1983 -ში დაეცა 2,6%-მდე და 1984 -ში -1,5%-მდე. თუ მხედველობაში მივიღებთ: იმას, რომ პროდუქციის საკითხებში განსაკუთრებით საბჭოთა სტატისტიკა ყოველთვის გაბერილია, მაშინ ცხადი უნდა იყოს, რომ საბჭოთა საერთო პროდუქცია რიცხობრივად ადგილზე იტკეპნება, ხოლო ხარისხით, იყო და რჩება ყოველად უვარგისი

გაცილებით უფრო ცუდადაა საქმე სოფლად: 1978 წელში საბჭოთა კავშირმა მოიწია 237 მილიონი ტონა ხორბალი, რაც მისთვის საკმარისი არ იყო. 1983 -ში მან მოიწია 195 მილ. ტონა ხორბალი და 1984 -ში მხოლოდ 170 მილ. ტონა. თქვენ წარმოიდგინეთ: ნავთის ამოდების რაოდენობამაც იკლო და გასულ წელში 5%-ით ნაკლები იქნა მიღებული, ვიდრე შარშანწინ. საბჭოთა კავშირის საგარეო დავალიანებამ 1983 წელში მიაღწია 18 მილიარდ დოლარს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ეროვნულ შემოსავალს კაცის თავზე, ის უცვლელია 1981 წლის შემდეგ და უდრის 4.200 დოლარს წელიწადში (შედარებისათვის: საფრანგეთში იგი უდრის 11.000 დოლარს.)

საბჭოთა კავშირი ერთადერთი ინდუსტრიული ქვეყანაა, სადაც ბავშვთა სიკვდილიანობა მატულობს, 1975 წელში თუ ის შეადგენდა 27,8%, 1984 წელში იგი ავიდა 32%-მდე. საერთო სიკვდილიანობაც არაჩვეულებრივად იზრდება წლიდან წლამდე, უკანასკნელ წლებში მან მიაღწია სამ მილიონამდე. ამის დამხედვეთ, საბჭოთა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაც მნიშვნელოვნად კლებულობს: 1964 ში ის იყო 66 წელიწადი, 1984 -ში კი ის ჩამოვიდა 62 წლამდე, რაც დიდათ ჩამორჩება საერთოდ დასავლეთ ევროპისა და კერძოდ საფრანგეთისას, სადაც სიცოცხლის ეროვნული ხანგრძლივობა 72 წელიწადია. ასეთი მაღალი სიკვდილიანობა აიხსნება საბჭოთა კავშირის სამედიცინო მომსახურეობის უვარგისი ორგანიზაციით, საავადმყოფოთა ქსელის, გაუმჯობესებული ხელსაწყოების და მედიკამენტების მწვავე უკმარისობით.

საბჭოთა ეკონომიკის დიდი ჩამორჩენილობის მაჩვენებელია ორდინატორების დიდი სიმცირე და ხარისხის დაბალი მაჩვენებლები. რიცხობრივად საბჭ. კავშირი ექვსჯერ ჩამორჩება

\*\*\*\*\*

იაპონიასა და შეერთებულ შტატებს, ათჯერ „მეთხუთმეტიწლიანი ოდინატორებით, ხოლო ყველაზე გაუმჯობესებული უკანასკნელი საბჭოთა მოდელი **BESM** კომპიუტორი ასჯერ უფრო ნელია, ვიდრე ყველაზე უფრო სწრაფი ამერიკული მოდელი.

ამ მცირე მონაცემებიდანაც ცხადია, რომ საბჭოთა ეკონომიკას გადაუდებლად ესაჭიროება ღრმა ფუნდამენტური რეფორმები და არა ფორმალისტური შეკეთებ-შემოკეთება, თუ სურთ ქვეყანა სიღატაკიდან რომ გამოიყვანონ და დემოკრატიული დასავლეთის ეკონომიკას ფეხდაფეხ მიჰყვნენ.

აქაც ჯერ-ჯერობით გორბაჩოვი სიტყვითა და საქმით ძველი გზით მიდის, მისი სიახლე გამოიხატება მხოლოდ მმართველი კადრების განახლებაში და ამ მხრით ზოგიერთი სიურპრიზის მოწმეც გავგზადა. უმაღლეს დონეზე კადრების ცვლა განსაკუთრებულ სიჩქარით მიმდინარეობს და შეიძლება ითქვას განახლავაზრდავების ნიშნით. ასე მაგალითად, უმაღლეს პოსტზე ოფიციალურად დანიშვნის სულ რამდენიმე დღის შემდეგ, „ჯანმრთელობისა და პენსიაში გასვლის“ მოტივით მან თანამდებობიდან გაათავისუფლა: **22** მარტს ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრი, **26** მარტს ელექტრო-ენერჯის მინისტრი, **7** მაისს სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრი, **30** მაისს მინისტრთა საბჭოს მოადგილე ივანე ივანეს ძე ბოდუელი, **2** ივლისს, უმაღლესი საბჭოს სესიის დროს გამომუქდავდა, რომ მისი პრეზიდენტის თავმჯდომარის ორი თანამემწე: პ. ი. სტრიუტმანისი და ბ. ნ. ელცინი თანამდებობიდან გაათავისუფლებიან. **17** ივლისს ნახევრად ოფიციალურად ცნობილი გახდა, რომ გორბაჩოვს სსრკ მთელი სამხედრო ძალების დიდი განმავლობის მქონე პოლიტიკური კომისარი გენერალი ეპიშევიც პენსიაში გაუშვია და სულ მალე წითელი არმიის მთავარსარდლობისა და მთავარი შტაბის განახლების მოწმეც გავხდებით. მაგრამ ყველაზე დიდი სენსაცია მაინც გამოიწვია გრიგორი რომანოვის „პენსიაზე“ გაშვების ამბავმა. ექვსი ათეული წლის რომანოვის ავადმყოფობა ჯერ არავის სმენია, სამაგიეროდ ცნობილია, რომ ის ყველაზე უფრო სერიოზული მოცილე იყო გორბაჩოვისა ხელისუფლების უმაღლესი პოსტის დასაუფლებლად. რომანოვის უკან უსათუოდ იდგენ კრემლის ხელისუფალთა გავლენიანი გვამები. საკითხავია, თუ როგორ ჩაუვლის გორბა-

\*\*\*\*\*

ჩოვს ასეთი დიდგავლენიანი მოწინააღმდეგის ასე უხეშად უჭყიდნა და ჩამოცილება. კრემლის კურტიზანთა ფარული ბიზნესი და წმენდები ალბათ კიდევ დიდხანს გაგრძელდება და მოსალოდნელია, რომ ზოგმა თავიც წააგოს.

მოულოდნელი იყო აგრეთვე ელუარდ შევარდნაძის დაწინაურება, ჯერ პოლიტიბუროს სრულუფლებიან წევრად და შემდეგ კი სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრად და კიდევ უფრო მოულოდნელი, ყოვლის შემძლე გრომიკოსათვის საგარეო საქმეთა მინისტრისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი თანაშემწის პოტფელების ჩამორთმევა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ დანიშვნა. გორბაჩოვის ეს უკანასკნელი ღონისძიება ორმაგადაა საყურადღებო: 76 წლის ანდრია ანდრიას ძე გრომიკოსათვის, რომელიც თავისი ხანგრძლივი დიპლომატიური კარიერის გამო (1939 წლიდან) დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, საბჭოთა დიპლომატიის გამგებლობის ჩამორთმევა და მისი გადაცემა ამ დარგში ჯერ კიდევ გამოუცდელ შევარდნაძისათვის, გორბაჩოვს ანიჭებს მოქმედების დიდ თავისუფლებას საერთაშორისო ასპარეზზე. ამავე დროს გრომიკოს პატივმოყვარეობაც დაკმაყოფილებულია, რადგანაც სამაგიეროდ ის დაწინაურებულია, მართალია ეფემერულ, მაგრამ მაინც სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე.

ეს თანამდებობა ბრეჟნევიდან მოყოლებული ყოველთვის ეკავა კომპარტიის გენ. მდივანს. გორბაჩოვის მიერ ამ პოსტის ხელიდან გაშვების მიზეზი შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას: 1. გორბაჩოვის პოზიცია არც ისე მტკიცეა, როგორც ეს შორიდან ჩანს, და მისმა მოწინააღმდეგებმა მას ნება არ მისცეს, რომ სსრკ-ს სახელმწიფოს კონსტიტუციური მეთაურიც გამხდარიყო, იმის შიშით, რომ ის ერთპიროვნული დიქტატორი არ გახდეს სტალინის მსგავსად.



გრომიკო: ნიეტ, ნიეტ...

\*\*\*\*\*

2. თვით გორბაჩოვმა არ ისურვა ბრეჟნევის გზით სიურპრიზი მან, როგორც სტალინმა თავის დროზე, ინგლისური სისტემის ფოს მართვის სისტემა არჩია ამერიკის შ. ტ. შტატებისას და, მაშასადამე, უმიზნებს დაიკავოს სსრკ-ს მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობა. ეს მოსაზრება მით უფრო დასაშვებია, რომ ეს პოსტი ამჟამად უკავია 80 წლის ტიხონოვს, რომლის შეცვლის დრომაც არ უნდა დაავიანოს, გორბაჩოვს კი ჯერ ბევრი დრო აქვს წინ. გორბაჩოვის პირადი პოზიციების განმტკიცების ნიშნადაა მიჩნეული მისი უკანასკნელი გადაწყვეტილება: 2 - 5 ოქტომბერში ოფიციალურ ვიზიტად ეწვიოს საფრანგეთს და 19 და 20 ნოემბერს ყენევაში შეხვდეს პრეზიდენტ რ. რეიგანს. ამ მნიშვნელოვანი დიპლომატიური მანიფესტაციების შემდეგ გორბაჩოვის პოლიტიკური პროფილი უკედ გამოჩნდება საერთაშორისო სცენის ეკრანზე.

გ. ქართველი

ჯუმბერ პატიაშვილი

ელუარდ შევარდნაძის კრემლში გადაყვანის გამოცხადების შემდეგ ქართველ ხალხს არავითარი ცნობისმოყვარეობა არ გამოუჩენია (ოფიციალურადა და საჯაროდ მაინც). თუ ვინ შეცვლიდა მას საქ. სსრ კპცკ პირველი მდივნის თანამდებობაზე, ალბათ ასაღელვებელიც არაფერი იყო, რადგანაც კრემლის თვალი და ყური და საქართველოს ნამდვილი ხაზენი ამხ. ნიკოლსკი ხომ მუდამ აქ იყო. მძიმე-მძიმედ, ერთი კვირის თავზე საქ. სსრ კომპარტიის ც. კომიტეტის პლენუმი მოიწვიეს, რომელსაც შევარდნაძემ გამოუცხადა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და პოლიტიბიურომ საქ-ს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად რეკომენდაცია მისცეს ამხანაგ ჯუმბერ ილიასძე პატიაშვილსო. კრებამ, თქმა რად უნდა, ტაშის ცემითა და ერთსულოვნად მოიწონა და დაამტკიცა მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილება. ქართველი ხალხისთვის განა სულერთი არაა ვინ იქნება? მაგრამ საქ. კ. პ. ც. კომიტეტის სამდივნოსა და პოლიტიბიუროში არ გვგონია ყველა ადფრთოვანებული იყოს პატიაშვილის დანიშვნით. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში დიდი ცვლილებები არ

უნდა დარჩეს ახლო მომავალში და შევარდნაძე-ნიკრესელის მიერ შერჩეული კადრები გააგრძელებენ ძირითადად საქ-ს-ს დაკისრებული პოლიტიკისა და გეგმების ცხოვრებაში გატარებას. იმ მოტივით, რომ შეიძლება ვინმეს აინტერესებდეს სსრ კავშირის ახლად დანიშნული მინისტრის და საქ-ს კპცკ ასევე ახალი პირველი მდივნის ბიოგრაფიები, ქვემოთ მოგვყავს ოფიციალური მონაცემები:

ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე დაბადებულია 1928 წ. პარტიის წევრია 1948 წლიდან, დამთავრა საქ. კპცკ-თან არსებული პარტიული სკოლა და ქუთაისის პედ. ინსტიტუტი. მუშაობდა ჯერ კომკავშირის ხაზით, კერძოდ, 1957-61 წლებში იყო საქ-ს სსრ კომკავშირის ც.კ. პირველი მდივანი, 1961-ში კომპარტიის მცხეთის რაიკომის და თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი, 1964 წელს დაინიშნა საქ. სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ და 1965 წელს-მინისტრად. 1972 წლიდან ის მუდამ საქ. სსრ ც.კ. პირველი მდივანია. 1976 წელში ის აირჩიეს სსრკ ც.კომიტეტის წევრად, ხოლო 1978 წლიდან ც.კომიტეტის პოლიტიუროს წევრობის კანდიდატად.

ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილი დაბადებულია 1939 წ., პარტიის წევრია 1962 წლიდან, დამთავრებული აქვს საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სპეციალობით სწავლული აგრონომია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი. პატიაშვილმაც მუშაობა დაიწყო კომკავშირულ ორგანოებში და საბოლოოდ 1970-73 წლებში ის საქართველოს ალკკ ცკ პირველი მდივანია, 1974 ში პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი და იქიდან გადაყავთ საქ. ცკ-ის მდივნად და ბიუროს წევრად.

\*\*\*\*\*

ვიქტორ ნოზაძის მოგონება  
გარდაცვალებიდან 10 წლისთავი

„თქვენთვის გასაგები მიზეზების გამო ვერ მოვალ თბილისს და ვერ დავესწრები რუსთაველის იუბილეს. მართლაც, მე არ შემიძლია სამშობლოში დავბრუნდე, სანამ ის მოსკოვის მპყრო-

\*\*\*\*\*

ბელობაშია, საქართველო არ არის თავისუფალი ერების თავისუფალი კავშირი, იგი არის მოსკოვის ვეებერთელა ციხე-სიმაგრე და მე მის ძირში მოგვცდები, მაგრამ მასში არ შევალ“- უპასუხა ვიქტორ ნოზაძემ საბჭოთა საქ-ს ხელისუფალთ, როცა ის რუსთაველის 800 წლის-თავის იუბილეზე დასასწრებლად 1966 წელს თბილისში მიიწვიეს. ასეთი იყო ვ. ნოზაძე, თავდაპირველად, სამაგალითო მოქალაქე და მამულიშვილი. ძნელი არ არის შეაფასოთ თუ რა ძვირი უღირდა მას ეს უარი, როცა სიცოცხლის მიწურულში მას ეძლეოდა იშვიათი შემთხვევა, თავაწეული წარმდგარიყო რუსთველოლოგთა ფორუმზეც და სიკვდილის წინ უკანასკნელად მოენახულებინა ის სათაყვანებელი მამული, რომელსაც მან მთელი მისი შეგნებული სიცოცხლე მიუძღვნა.



ვიქტორი 30-ან წლებში

ასევე მტკიცე და უდრეკი გავიდა იგი ამა ქვეყნიდან და, რადგანაც იგი ვერ მოესწრო საბჭოთა ციხის კართა ლეწვას, მართლაც ამ ციხე-საპატიმროს გარედ, როგორც სიცოცხლეში, სიკვდილსაც გაშლილი წიგნით ხელში შეეგება და უცხო მიწაში დაიმარხა.

მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მან მოახმარა სამშობლოზე ფიქრს, ზრუნვას და საქმეს, ქართველი ხალხის წარსულისა და აწმყოს უკედ გაგების, ღირსეული მომავლის საქმეს, ქართული კულტურის გაღრმავებასა და საზღვრების გაფართოებას.

ამადაც გვმართებს შემოგვკრბეთ ამ მისი გარდაცვალების 10 წლისთავზე, მოკრძალებით მუხლები მოვიფაროთ მისი ძვირფასი ხსოვნის წინაშე და მამაზეციერს შევღაღადოთ: ღმერთო უმრავლეს საქართველოს ვიქტორ ნოზაძის დარი შვილები, მასავით შრომისმოყვარე, გონებაგახსნილ-განათლებული,

\*\*\*\*\*

მასავით ერთგული და უანგარო მსახურნი.

ვიქტორ ნოზაძე დაიბადა 1893 წლის 17 სექტემბერს ზემო იმერეთის სოფ. წირქვალში. დედამისი გახლდათ ალათი გაფრინდაშვილის ასული, მამამისი ივანე-ტბილელულების მწარმოებელი ქუთაისსა და თბილისში, ძალიან ადრე დააოხლებს ოჯახს. პატარა ვიქტორი დაწყებით სკოლაში დაბა საჩხერეში შეიყვანეს, გააგრძელა ქ. ქიათურაში და საშუალო განათლება ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში დაამთავრა 1913 წელში, რის შემდეგაც



კიტა ჩხენკელი და ვიქტორი, 1939 წელი

ის დაუფრენებლივ ჩაირიცხება მოსკოვის უნივერსიტეტში. აქ სწავლასთან ერთად ვიქტორი ებმება სტუდენტთა მოძრაობაში. ამ დროს ის გატაცებულია სოციალისტური იდეებით. 1917 წლის თებერვლის რევოლუცია მოულოდნელად იფეთქებს რუსეთში, „მთავრობადის გარდაცვალების“ შემდეგ ვიქტორი დიდხანს აღარ აყვანებს მოსკოვში, სამშობლოსკენ მოეშურება, მაისში ის უკვე თბილისშია და აქტიურად ებმება პოლიტიკურ და პუბლიცისტურ საქმიანობაში. როგორც ჩანს მისი ნიჭი შეუმჩნეველი დიდხანს არ დარჩენილა, რადგანაც მალე მას ქუთაისში აგზავნიან ოფიციალური გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკა“-ს რედაქტორად, ხოლო 1919 წლის ბოლოს საქ-ს ეროვნული მთავრობა, სხვა 70 ახალგაზრდასთან ერთად, ვიქტორს დასავლეთ ევროპაში აგზავნის ცოდნის გასადრმაველად.

ვიქტორმა ლონდონი აირჩია თავიდან, მაგრამ, როცა სამშობლო რუსმა ბოლშევიკებმა დაიპყრეს, ის იქ უსახსროდ დარჩა, ამიტომ ბერლინში გადავიდა და იქ 1926 წელს დაამთავრა ფილოსოფიური ფაკულტეტი.

გერმანიიდან ვიქტორი უნცროს ძმა გიორგისთან გადმოსახლდა ჰარიზში და განაახლა საქართველოში შეწყვეტილი პუბ-

\*\*\*\*\*

ლიცისტური მოღვაწეობა და მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ის სცემდა ჯერ პოლიტიკურ ოგანო „ორნატს“, შემდეგ თველ მწერალთა ლიტერატურულ კრებულ „კავკასიონი“-ს და 1937 - 39 წლებში ახალი პოლიტიკური ჯგუფის პერიოდულ ოგანო „ქართლოსი“-ს.

ამ პერიოდში ვიქტორი იწეებს მისი ახალგაზრდობის დროინდელი პოლიტიკური იდეების ჯერ ნაწილობრივ და შემდეგ ძირეულ გადაფასებას. მას აღარ ხიბლავს მარქსისტული სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი. ის ეძებს საქართველოს განთავისუფლების, ქართულის ხსნისა და მომავალი დიდების უებარ თეორიასა და ორგანიზაციას. ერთმა ფრანგმა პოლიტიკურმა მოღვაწემ თქვა: „თუ ოცი წლის ახალგაზრდა სოციალისტ-მარქსისტი არ არის, მას გული აკლია, მაგრამ ის, ვინც ამ პოლიტიკურ იდეოლოგიას 30 წლის ასაკის შემდეგ არ მიატოვებს, მას ქუთა აკლიაო.“



ვიქტორი ლევილის „შატოს“ ეზოში 1974 წლის სექტემბერი

ამ გონებამახვილურ გამონათქვამს აბსოლუტურ ჭეშმარიტებად ნუ მივიჩნევთ, მაგრამ ნურც ზოგიერთი ჩვენი სოციალისტივით ვუკიყინებთ ვ. ნოზაძეს მის პოლიტიკურ მეტამორფოზას. ჩემთვის პირადად მიუღებელია „ქართლოსის“ პოლიტიკური კონცეპცია, მაგრამ ვინც ვ. ნოზაძის პუბლიცისტიკას გაეცნობა და ის ძალიან ბევრს წერდა ყველაფერზე: პოლიტიკა, ეკონომიკა, საქ-ს უფლებები და თავისუფლების პრობლემები, ლიტერატურული კრიტიკა და სხვა და სხვა... ის დარწმუნდება, რომ მას სამშობლოსთვის

\*\*\*\*\*

ზიანი არ შეეძლო რამე მოეტანა, სარგებლობა კი ბევრი. მისი პოლიტიკური ძიება მუდამ გამსჭვალულია სამშობლოსადმი უკეთესი სამსახურის გაწევის სურვილით. მისი ზოგიერთი აზრები, ეს იყო სამშობლოს გულისაკენ მიმავალი გზის ძიება უმთვარო ღამეში.

იმის შემდეგ, რაც გერმანიამ ომი აუტეხა საბჭოთა კავშირს, ქართ. პოლიტიკურ გადმოხვეწილთა საქმიანობამ საფრანგეთიდან გერმანიაში გადაინაცვლა და ვიქტორიც იქით გაემურა. ომის დროს ვიქტორი გერმანიაში რედაქტორობდა „ქართლოსსა“ და „ქართველი ერი“-ს. აქვე ომის დროს მას დაუწყია მისი დიდი შრომატევადი კვლევა-ძიება ვეფხისტყაოსანზე, რომელსაც მან მთელი შემდეგი 30 წლის სიცოცხლე მოახმარა.

ომის შემდეგ ვიქტორი ერთ ხანს დასახლდა სამხრეთ ამერიკაში, ბუენოს აირესში ის კვლავ სცემდა ჟურნალს „მამულის“, სახელწოდებით, შემდეგ გადავიდა ჩილის დედაქალაქში, სადაც გამოსცა: 1957 წ. „გ. ტ.“-ის ვარსკვლავთმეტყველება“ და 1958 წელს „გ. ტ.-ის საზოგადოებათმეტყველება“. მე გამომრჩა აღმენიშნა, რომ ვიქტორმა ბუენოს აირესში ყოფნის დროს 1953 წელს პირველად გამოსცა მისი შრომა ვეფხისტყაოსანზე სახელწოდებით „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“.

1960-ან წლების დასაწყისში ვიქტორი ისევ საფრანგეთს, პარიზს დაუბრუნდა საცხოვრებლად, ცოტა მოგვიანებით კი სოფ. ლევილის ქართულ კერაში დასახლდა ძმასთან და რძალთან ერთად. მან, რა თქმა უნდა, მაშინვე ორ ფრონტზე გააჩაღა მუშაობა ვეფხისტყაოსანის მეტყველება და ჟურნალი. 1963 წელს მან პარიზში გამოსცა მისი მეოთხე სქელტანიანი შრომა: „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“, რითაც მან საბოლოოდ დაიმკვიდრა დიდი რუსთველოლოგის სახელი.

სწორედ იმ ხანებში, როცა ვიქტორი პარიზს დაუბრუნდა, პარიზის ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოების გამგეობა ლიტერატურულ-პოლიტიკური ხასიათის პერიოდული კრებულის გამოცემის გეგმებს აწყობდა. გამგეობამ ბატონი ვიქტორი საზოგადოების საპატიო წევრად აირჩია და განზრახული კრებულის მთავარი რედაქტორობა შესთავაზა. ვიქტორი

\*\*\*\*\*

კრებას არ დაესწრო და ჩვენი შეთავაზებულის მიღებაზე უი-  
რი შემოგვეთვალა. გიორგი ნოზაძემ, რომელიც აგრეთვე გამ-  
გობის წევრი იყო, აგვიხსნა, რომ ვიქტორს დამოუკიდებლად  
სურდა ემუშავნა და გადაწყვეტილი ჰქონდა ომის დროს შეწ-  
ვეტილი კრებულ „კავკასიონის“ გამოცემის განახლება. ვ. ნო-  
ზაძეს უკომიტეტოდაც კარგად იცნობდენ ემიგრაციაში, მალე  
შემოიკრიბა თანამშრომლები, მიიღო შემოწირულებანი და  
**1964 - 73 წწ.** გამოსცა „კავკასიონის“ ცხრა ნომერი 8  
წიგნად, რომლებიც მოიცავენ, ვიქტორის რუსთველოლოგიურ  
კვლევათა გვერდით, პოეზიას, ლიტერატურას, კრიტიკას, პოლი-  
ტიკას, ისტორიას, მოგონებებს და სხვა. ვიქტორის წყალობით  
„კავკასიონის“ ეს ნომრები სამაგიდო წიგნებია და თუ ემიგ-  
რაციას ერთ დღეს მისი უამთა აღმწერელი გამოუჩნდა, მის-  
თვის ისინი კიდევ უფრო ძვირფასნი იქნებიან.

ვ. ნოზაძეს წერის განსაკუთრებული სტილი არ ჰქონებია, ისე  
როგორც მაგალითად გრიგოლ რობაქიძეს ან კონსტანტინე  
გამსახურდიას, მაგრამ მისი ენა იყო სუფთა, უპრეტენზიო,  
ტკბილად საკითხავი ქართული. მის ნაწერებში ვერც კი შეატ-  
ყობთ, რომ მისმა ავტორმა ამდენიხანი იცხოვრა უცხოეთში  
და რუსულთან ერთად ღრმად და საფუძვლიანად იცოდა: გერ-  
მანული, ფრანგული, ინგლისური და ესპანური.  
მისი აზრი ანკარაა და ადვილად გასაგები. მკაცრი პოლემი-  
სტი, არასოდეს ვარდება უხეშობასა და უზრდელობაში. ისე-  
ვე, როგორც საშუალო საუკუნოების ქეშმარიტ რაინდთა ხმა-  
ლი, ვიქტორის კალამიც მუსრს ავლებს ამა ქვეყნის მძლავრთა  
და მოძალადეთ, იცავს და ნუგეშს სცემს სუსტთა და ჩაგრულთ.

მეექვსე დიდი შრომა ვ. ნოზაძისა მზად იყო, მაგრამ მის  
სტამბიდან გამოსვლას ვერ მოესწრო ავტორი, მას ეწოდება  
„ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება“. დარჩა კიდევ უამრავი  
სხვა მასალები. ამრიგად, ერთად აღებული ეს უზარმაზარი  
შრომაა გაწეული შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის შესას-  
წავლად და გასაგებად. ქვეყნიდან ქვეყნად მოხეტიალე ბოგანო-  
საგან, როგორც ვ. ნოზაძე იყო, ეს წარმოუდგენელი და გან-  
საცვიფრებელი შრომატევადი თხზულებებია. ამ შესანიშნავ  
ნაწარმოებებზე რომ ოდნავი წარმოდგენა მაინც ჰქონდეთ

\*\*\*\*\*

მათ, ვისაც ჯერჯერობით მათზე ხელი არ მიუწვდებოდათ, მუდმივად დასახმარებლად მოვიხმობ პატივცემულ ალექსანდრე მანველიშვილს, რომელსაც თავად ჩვენს ემიგრაციაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რუსთაველოლოგიის დარგში.

„ვიქტორ ნოზაძის მეხუთე დიდი შრომა რუსთაველზე: „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“ უნიკალური მოვლენა არის რუსთაველოლოგიაში. აქამდე, არა მარტო უცხოეთში, სადაც უდიდესი სიძნელეებია დასაძლევი ასეთი შრომის შექმნისათვის, თვით საქართველოშიც, სადაც მეცნიერთ ყველა პირობები ხელს უწყობენ, ამგვარი რამ არ შექმნილა. ეს ურყევი რწმენა არ შეგვიძლია დაფაროთ... ეს უნდა იყოს შედეგი, არა მარტო მისი ნიჭის, ცოდნის და უსაზღვრო ენერჯისა, არამედ მისი სწორი მეთოდისაც, წერს ალ მანველიშვილი და აგრძელებს: ის ერთ და იმავე მასალებს და წყაროებს ერთდროულად სწავლობს და არკვევს მთელრიგ საკითხებს; ასე მუშაობდა ივანე ჯავახიშვილი!... რუსთაველის სარწმუნოებაზე ბევრი უხამსი რამე თქმულა და ეს ახლაც გრძელდება. ვ. ნოზაძის დებულება, რომ შოთა რუსთაველი იყო მართლმორწმუნე ქრისტიანი და მის ვეფხისტყაოსანსაც საფუძვლად უდევს ქრისტიანული სარწმუნოების მორალი და აზროვნება, ახალი არ არის, ჩვენც არ გვქონია აროდეს სხვა აზრი. მაგრამ ისეთი ვრცელი ანალიზი და დასაბუთება, როგორც ვ. ნოზაძემ მოგვცა, აქამდის არავის უცდია. მან გაჩხრიკა მსოფლიო ლიტერატურა, რელიგიური და ფილოსოფიური, შეადარა ვეფხისტყაოსანს და აქედან გამოიკვია, რომ, არა მარტო საერთოდ აღებული, არამედ ყველ წვრილმანში ვეფხისტყაოსანი ემყარება ქრისტეს მოძღვრებას. შინაარსით, სტილით, გამოთქმებით და ცალკე სიტყვებითაც დიდი რუსთაველი ტრიალებს ქრისტიანული სარწმუნოების ფარგლებში...“ (იხ. „კავკასიონი“ №18, 1976 წელი, გვ. 83, აღ. მანველიშვილი: „წიგნები და ადამიანები.“)

ახლა, თუ ნებას მომცემთ, ეს კინი საგალობელი სანტიმენტალური აკორდით მინდა დავამთავრო: ბატონი ვიქტორი ქალაქ არბაჟონის საავადმყოფოში მძიმე ავადმყოფი იწვა, მაგრამ როდი მეგონა, ეს მისი უკანასკნელი დღეები იყო. არბაჟონის სტამბიდან ახლად დასტამბული „თავისუფლების ტრიბუნა“ №7 გამოვიტანე და ერთი ცალით ხელში სანახავად ვეახელი. ვიქტორს უკვე სიკვდილი გასჯდომოდა სხეულში, უსაშველოდ

სცივოდ და მთხოვა: ჩემ ძმა გიორგის უთხარი სახლიდან უსა-  
 ბნები მომიტანოს; გონება კიდევ ნათელი და საღი იყო. მისი  
 ჟურნალი გამომართვა, პირაღმა მწოლარემ თვალებთან ახლოს  
 ჰორიზონტალურად დაიკავა, ბოლომდე გულდასმით გადაიკით-  
 ხა და მეორე ხელში მომარჯვებული ფანჭრით, მასში დაშვე-  
 ბული კორექტორული შეცდომები ყველა გადახაზა. მეორე დღეს  
 ვიქტორი გარდაიცვალა! თავისუფლების ტრიბუნის ეს რვეული  
 შენახული მაქვს, როგორც ძვირფასი რელიქვია, რადგანაც იგ-  
 ია უცილო მოწმე ვიქტორ ნოზაძის მიძღვნილობისა, დედაენის  
 სიწმინდის მსახურებისადმი, თვით სიკვდილის კარიბჭეზედ, (   
 ის ერთგული იყო თავისი მისიის. )

ვიქტორ ნოზაძის შრომისმოყვარეობა და სამშობლოსადმი სა-  
 კუთარი პიროვნების სრული და მთლიანი მიძღვნილობა, მისა-  
 ბაძი მაგალითი, როლო სახელი მისი დაუვიწყარი უნდა იყოს  
 ყველა ქართველისათვის. )

გ. წერეთელი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

შალიკო იაშვილის კეთილი ხსოვნა

როგორც გასულ ნომერში ვიტყვინებოდით საფრანგეთში, კორე-  
 ზის დეპარტამენტში 30 მარტს გარდაიცვალა კარგად ცნობილი ჩვე-  
 ნი თანამემამულე, შალვა (შალიკო) იაშვილი.


67 - 68 წლის მაღალი და პროპორციული ვუყვაცი კიდევ ღირსეული  
 და ტიპური წარმომადგენელი იყო მისი მშობლიური კუთხე რაჭისა.  
 ამასთანავე, შალიკო იყო უწყნარი, დინჯი, იცოდა ერთგული მეგო-  
 ბრობა, ირგვლივ სთესდა სიყვარულს და სამაგიეროდაც სიყვარულს  
 იმიკიდა. ამიტომაც, არა მარტო ოჯახი, არამედ აგრეთვე ყველა ნა-  
 ცნობები დააღონა და დაამწუხრა მისმა გარდაცვალებამ.

საფრანგეთში შალვა ომმა მოიყვანა, ისე როგორც არა ერთი სხვა  
 ქართველი. შ. იაშვილმა სავალდებულო სამხედრო სამსახური 1940  
 წელში დაამთავრა. დაბრუნებისთანავე ინსტიტუტში შევიდა, მაგრამ  
 ერთ წელსაც არ გაველო, რომ ომი დაიწყო. შალიკო მაშინათვე გა-  
 იწვიეს ჯარში. ერთ წელზე მეტი იბრძოდა მოწინავე ხაზზე და  
 1942 წლის შემოდგომაზე, სევასტოპოლის დაცემის დროს ის გე-



რმანელებს წყვედ ჩაუფარდა. დაიწყო ტყეობის მძიმე საყოველთაოდ ცნობილი ბანაკები... ბოლოს მოხვდება საფრანგეთში, სადაც ის ამხანაგებთან ერთად ფრანგ პარტიზანებს შეუერთდება ტყეში, **1944** წლის დასაწყისში. პარტიზანულ ბრძოლებიდანაც, განგებით, შალიკო, სალ-სალამათად გადაარჩა. დამთავრდა ომი და შალიკო მეგობრებთან ერთად სამშობლოსაკენ გაეშურა, მაგრამ როგორი იყო მისი გაცემა, როცა ის, აღმოსავლეთ გერმანიის საბჭოთა ზონაში ტყვეთა ბანაკში შეაგდეს და, როგორც საბჭოთა სამშობლოს მოღალატეს, ციმბირისკენ უპირებდენ გაგზავნას. შალიკომ მოახერხა საბჭოთა ტყეობიდან გამოქცევა და ხიფათებით საველე მოგზაურობა დაასრულა საფრანგეთის კორეზის მხარეში, სადაც ის პარტიზანობის დროს მოქმედობდა. თუმცა პირველ ხანებში უენო კაცისთვის ადვილი არ იყო ცხოვრება, მაგრამ მალე დაქოწილდა. ოდესღაც და მას ერთმანეთი ჯერ კიდევ „მაკიზრობიდან“ უყვარდათ. მუყათით შრომით თანდათან წელში გაიმართა. ცოლქმარმა მალე საკუთარი სახლი აიშენა ქ. ბრივთან ახლო მალმორში, შეეძინათ ორი ვაჟი: მიშელი და დანიელი. მიშელი განთქმული რეგბის მოთამაშე დადგა საფრანგეთის ეროვნულ გუნდში თამაშობდა და იაშვილთა გვარი მთელ საფრანგეთში ხელზე საგოგმანებელი გახადა ერთი სიტყვით, შ. იაშვილი ბედნიერი კაცი იყო. მხოლოდ ერთი ჩრდილი ადგა—სამშობლოს მონახულება ოცნებად გადაქცეოდა. **1954** წლიდან მოყოლებული რამდენჯერმე სცადა ვიზის მიღება, მაგრამ ყოველთვის რაღაცის მომიზეზებით უარი მიიღო. ბოლოს, **1978** წელში ცოლთან ერთად იმოგზაურა ფრანგ ტურისტთა ორგანიზებულ ჯგუფში, რომლის მარშრუტი ერევანით მთავრდებოდა და თბილისში **48** საათი დაყოვნდა. შალიკომ დედამამას ცოცხლებს ველარ მიუსწრო, ორი ძმა ხომ ომში დაეღუპა ყირიმის ფრონტზე, მაგრამ **6** და და მათი მონაგარი სიხარულით შეეგება **30** წლის დაკარგულ ძმასა და ბიძასა და უცხო რძალსა და ბიცოლას. **48** საათიც თუ როგორ გაივლიდა ორივე მხარისთვის, მკითხველი ადვილად წარმოიდგენს. ამის შემდეგ შ. იაშვილმა რამდენჯერმე იმოგზაურა სამშობლოში და თავის მშობლიურ კუთხე-რაქასაც ესტუმრა. წელსაც ემზადებოდა სამშობლოში სამოგზაუროდ, მაგრამ უკურნებელმა სენმა აღარ აცა-

\*\*\*\*\*



ლა; შალიკოს დარჩა დაოჯახებული ორი ვაჟი. თავიანთ მხრივ, ში-  
შელს ჰყავს ორი ვაჟი და დანიელს—ორი გოგონა, ისინი, რა თქმა  
უნდა, ენითა და აღზრდით ფრანგები არიან, მაგრამ იმედი უნდა  
ვიქონიოთ, რომ შალიკო მათ საქართველოს ერთგულებასა და სიყვ-  
არულსაც შთაუნერგავდა და, ვინ იცის, იქნებ მათ აქედან უკედაც  
გამოადგენ მამის და ბაბუის სამშობლოს, ვიდრე ზოგიერთი იქ და-  
ბადებული და აღზრდილი.

მეგობარი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

იასონ იორდანიშვილის ორმაგად სამწუხარო სიკვდილი

გასული წლის 14 დეკემბერს ქ. ბელფორში(საფრანგეთი) უპატრო-  
ნოდ გარდაიცვალა 75 წლის იასონ იორდანიშვილი.

აწ განსვენებული ათი წელია, რაც პეეოს საავტომობილო ქარხანაში  
მუშაობის შემდეგ პენსიაში იმყოფება და ამ ქარხნის მოხუცთა სა-  
ხლში ცხოვრობდა. მაგრამ მოწყონდა იქ, თანაც საქართველოდან შვი-  
ლებს მოელოდა, მიატოვა თავშესაფარი და კერძოდ იქირავა ბინა  
ქ. ბელფორში. სწორედ ამ დროს ემთხვევა მისი მიმოწერის გაცხოვე-  
ლება გუშაგთან. პირველ წერილში ის სხვათა შორის იწერებოდა:  
„...როგორც ახლად ფეხადგმული ისე ვარ, ყველაფერს ვეშურები, ყე-  
ლაფერი მინდა რომ ვიცოდე და, უდავოა, უპირველეს ყოვლისა, ყე-  
ლა ჩემი, რომელთა წინაშეც მუხლს ვიდრეკ და მუდარით შევდალა-  
დებ: ღმერთო, გამიმრავლე და გამიდიდგულე ქართველი ერი და  
მთლად საქართველო!...“

ასეთი გრძნობების სულის მქონე კაცისთვის განსაკუთრებით ძნელ-  
ასატანი უნდა ყოფილიყო მარტოობა, არადა ის მართლაც სულ მარ-  
ტო იყო. როგორც ირკვევა მისი ახირებული ხასიათის გამო, მას  
ურთიერთობა არ ჰქონდა იქვე ახლო ათ კილომეტრით მოშორებულ  
თანამემამულეთა საზოგადოებასთან.

1983 წლის შემოდგომაზე იასონს რძალი ესტუმრა საქართველოდან,  
მისთვის რომ პარიზი დაეთვალეირებინა ორი დღით მასპინძლობის  
გაწევა მთხოვა, რაც მე, რა თქმა უნდა, გავუწიე. რის გამოც ის  
ჩემი დიდი მაღლიერი დარჩა.

1984 წლის ნოემბრის დამდეგს მისგან წერილი მივიღე. აჩუკრად



ვაეიშვილის სტუმრობას ელოდა და განზრახული დიდი ქეიფის გეგმა-  
 ას მატყობინებდა. იმავე თვის ბოლოს კი სრულიად მოულოდნელად  
 „მესაუერით“ მისგან პატარა ძველი ჩემოდანი მივიღე— ჯონჯოლით,  
 თუშური ყველით, ხის ქოშებით, რამაც გამაკვირვა და დაუყოვნებლივ  
 წერილით განმარტება მოვთხოვე, მაგრამ ამის შემდეგ მისი ველარა-  
 ფერი გავიგე. წელს საახალწლოთ სოშო-მონბელიარში ნათესავეები  
 მოვინახულე. იქაც იასონის შესახებ არაფერი იცოდენ. უკან გამო-  
 ბრუნებული, ბელფორში მის მისამართზე მივედი. მისი ბინის კარე-  
 ბი გამოკეტილი იყო. სახლის დარაჯიც არ ჩანდა. ბოლოს ერთმა მე-  
 ზობელმა მითხრა: მე მას ვიცნობ, მას სხვაგან აქვს ბინა, განსაკუ-  
 თრებით ზამთარში ის არასოდეს აქ არ მოდის, ხოლო მეორე ბინის  
 მისამართი მე არ ვიციო. იმ დროს, საცოდავი, ერთი თვის გარდა-  
 ცვალებული და დასაფლავებულებიც იყო და თვით მის ბინაზედაც არ-  
 ავინ არაფერი იცოდა!

**14** დეკემბერს, სწორედ იმ მეორე ბინაზე, პოლიციას მკვდარი  
 აღმოუჩენია ის, ორი კვირე მორგში ყოფილა მისი ცხედარი და შე-  
 მდეგ, როგორც უპატრონო, კომუნას დაუმარხავს საერთო საფლავში.  
 ასე, რომ შეიძლებოდა საფლავიც კი დაკარგოდა მის ქირისუფლებს  
 საქართველოში. ჩვენ მხოლოდ აპრილის ბოლოს გავიგეთ ეს ორმაგად  
 სამწუხარო ამბავი. საფლავს როგორც იქნა მივაკვლიეთ და თუ დრო-  
 ზე მივხედავთ მისი ძვლები აღარ დაიკარგება. იქნებ რამე დარჩა  
 კიდევაც, მაგრამ პოლიცია არაფერს ამბობს ნოტერიის გარეშე. ნო-  
 ტერი და გადმოსვენება კი საკმაოდ ძვირი ჯდება, რაც სოშოს პა-  
 ტარა საზოგადოებას არ გააჩნია მიუხედავად ბატონ გრიგოლ კვარ-  
 ცხავას დიდი კეთილი ნებისა. ამიტომაც მას ამ კეთილშობილ საქმე-  
 ში ყველა ქართველი და განსაკუთრებულ მიცვალებულის ნაცნობ-მე-  
 გობრები მატერიალურად უნდა დაეხმარათ. ყველა კეთილი ნების  
 ადამიანს ვთხოვთ თავისი წვლილი გაიღოს და გადმომიგზავნოს გუ-  
 შავის მისამართით, რისთვისაც წინასწარ უმორჩილეს მაღლს მოგა-  
 ხსენებთ.

გ. წერეთელი

გლოვის განცხადებები :

კანადიდან ბ. ტ. ჩხეიძე გვატყობინებს, რომ ამ წლის მარტის პი-

## გლოვის განცხადებები

\*\*\*\*\*



გერმანიის  
საგარეო  
მინისტროს  
განცხადება

რველ რიცხვებში გერმანიაში გარდაიცვალა ვასილ შაქარაშვილი

---

ბელგიიდან ბ. ი. ოთხმეზური გვატყობინებს: ბრიუსელში 7 ივნისს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მასტრიდია დადიანი-ყიფიანისა, დაბადებული ქუთაისში 1907 წელს. დასაფლავებულია იქსელის სასაფლაოზე.

---

ბ. შალვა ანთაძე გვატყობინებს: 8 თუ 9 ივლისს 80 წლის ასაკში ქ. ლიონში გარდაიცვალა შ ა ლ ვ ა ტ უ ლ უ შ ი.

===

ყელას ჭირისუფალთ ვუცხადებთ ჩვენს მწუხარებასა და თანაგრძობას.

\*\*\*\*\*

## 24 წლის აგვისტოს დღეები

(მოგონებები)

ეს იყო 1924 წლის აგვისტო. თფილისში საშინელი სიცხეები იდგა, მე იქ ვიყავი და გახურებული ვემზადებოდი უნივერსიტეტში შესასვლელ გამოცდებისათვის. ვიყავი 17 წლის. აჯანყების მზადების ალბრიალებდა. ყელა მასზე ლაპარაკობდა...

ვეროპიდან ჩამოსული ფარულად ვალიკო ჯუღელი, აგვისტოს პირველ რიცხვებში დაიჭირეს და ჩეკაში ალაპარაკეს. მასზე, რასაკვირველია, კომუნისტურმა პრესამ დაწერა, რომ „ჯუღელმა აჯანყება გასცა“-ო. სინამდვილეში ჩეკამ უკვე ადრე იცოდა და აჯანყების მოლოდინში იყო, მაგრამ ზუსტად დრო არ იცოდნენ.

აჯანყება უნდა მომხდარიყო მარიამობა დღეს, აგვისტოს შუა რიცხვებში. რადგან ჯუღელი დაიჭირეს, აჯანყების მომწიობმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ იგი გადაედოთ ორი კვირით.

აგვისტოს შუა რიცხვებში ერთ საღამოს ჩემთან მოვიდა გიორგი წერეთელი და მითხრა: აჯანყება დაიწება მალე და მე ჭიათურაში მივდივარ. შენც წამოდი, აქ ყელაფერი აირევა და იქ მაინც სახლში იქნებიო. ამ ამბავმა ქრუსანტიელი დამკრა თავში და ფეხებამდე გამიარა. უნდა მიმეტოვებინა უნივერსიტეტი და გამოცდები;



და აგრეთვე თვით აჯანყება ჩემთვის შავი აზრებით იყო მდგომარეობა, ვგრძნობდი რომ მას დიდი უბედურება მოჰყვებოდა.

მეორე დღეს გიორგი წერეთელი, აჯანყების ხელმძღვანელი ზემო იმერეთში; გიორგი გურული, ყოფილი ოფიცერი და გრიგოლ ფხალაძე მატარებლით ჭიათურისაკენ გავეშურეთ. მათ მე სამივეს კარგად ვიცნობდი, ისინი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდნენ. გიორგი გურულთან ოჯახში დავდიოდი, რადგან მისი გერმანელი ცოლი ენას მასწავლიდა. გზაში თითქმის არ ვლაპარაკობდით. ყველა ალბათ გახვეული იყო ფიქრებში დიდი მოლოდინის შესახებ.

გიორგიმ მითხრა, რომ აჯანყების სამხედრო ხელმძღვანელი იქნება ბიძაშენი სვიმონიო. სვიმონ წერეთელი იყო პირველი ომის პოლკოვნიკი, გამოცდილი მხედარი. ის უკვე ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ ფარულად ცხოვრობდა, რადგანაც მისგან დავალებულმა დიდმა კომუნისტმა გეგეჭკორმა თფილისიდან შემოუთვალა, რომ არ გამოჩნდე, თორემ მაშინვე დაგხვრეტავენო.

ფარული ცხოვრება პატარა ადგილზე, სადაც ყველა ყველას იცნობს, ვინ რას აკეთებს და რით სუნთქავს იცის, ძალიან ძნელი საქმეა ისიც წლების განმავლობაში. ეს მხოლოდ მისი მტკიცე ნებისყოფის შედეგი იყო, თუმცა ერთგული დამხმარე გვერდში არ აკლდა. მასზე ამბობდნენ, რომ ევროპაში წავიდაო. ბევრი უცნაური ამბის მოყოლა შეიძლება მისი ფარული ცხოვრებიდან. მახსოვს ერთხელ მასთან ვიყავი, დიდი სიციხე ჰქონდა, გაციებულიყო და ლოგინში იწვა. ფანჯრიდან გამოვიხედე და რას ვხედავ! რამოდენიმე შეიარაღებული კაცი თოფებით შემოვიდნენ ეზოში. უთხარი ბიძას: თავს უშველე მეთქი. ის საცვლების ამარა წამოვარდა ზეზე და ფანჯრიდან დიდ ბაღში გადაეშვა და იქ დაიმალა, მე კი გულისცემით ლოგინში ჩავწექი. შეიარაღებულებმა სახლი გაჩხრიკეს და ჩემ ოთახშიც შემოვიდნენ. დიასახლისმა უთხრა, რომ მე მათ ვეწვიე, ცოტა შეუძლოდ გავხდი და ლოგინში ჩავაწვინეთო. მათ შემომხედეს და არაფერი თქვეს და წავიდნენ. ფანჯრიდან უყურებდი, თუ ბიძა თან მიყვდათ. ვერ ეპოვნათ. საინტერესო ის დარჩა ამ ამბიდან, რომ ბიძას სიციხე უცბათ გაუარა და მორჩა!

მე გზაში ჭიათურისკენ ვფიქრობდი მასზე, თუ რას მეტყოდა ამ

\*\*\*\*\*

აჯანყებაზე, რადგან იგი წინააღმდეგი იყო სამხედრო გამოსვლებისა და ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის ფარულობაში, რომ იარაღით გამოსვლას ხელისუფლების წინააღმდეგ აზრი არ აქვსო, თუმცა ქაქუცა ჩოლოყშვილის მოქმედებას გულის ფანჯრალით ყურს ვადევნებდით.

პირადად მე ჩემ ოჯახში მიცდიდა დიდი უბედურება. ჩემი 23 წლის და ნინო მძიმე შაქრის ავადმყოფობით სულთმობრძავი დამხვდა და და სწორედ 27 აჯანყების წინა დღეს გარდაიცვალა. სახლში ტრიალებდა დიდი გლოვა.

თვით აჯანყების მიზეზებზე მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია თავის თავისუფლების დაკარგვას, იმ მოტყუებას, რომელიც მოსკოვის ხელისუფლებამ ჩაიდინა თვისი ხელშეკრულების დარღვევაში. თვით ბოლშევიკური მთავრობა უხეირო იყო. წართმევებით და ჩამორთმევებით ქვეყნა არ შენდებოდა. ისინი ეძებდნენ დამნაშავეებს, ესენი იყვნენ ყოფილი პარტიები და ადამიანები, მათ დასდევდნენ და ციხეებში სვამდნენ. გამრავლდა ფარულ მცხოვრებთა რიცხვი. გახშირდა უმუშევრობა და გაჭირვება.

წინა დღით, 27-ში ჩემთან მოვიდა ეკო წერეთელი, დედაჩემის ბიძაშვილი, ისიც დიდი ომის ყოფილი ოფიცერი. მას გადავეცი დამალული იარაღი, რომელიც ჩვენი სახლის სახურავში მქონდა. მითხრა „შენ სახლში დარჩი, არ მჭირდები, მარტოც ვეყოფი მათო, მიხედვე შენ უბედურ მშობლებსო.“ ოცდარვა აგვისტოს დღის 4 საათს მოუთმენლად ველოდი. ზუსტად ოთხ საათზე ატყდა საშინელი სროლა, რასაც ჭიათურის კლდეები ბანს აძლევდნენ. თვით აჯანყებაზე სიტყვას არ ვაგვაგრძელებ, მან საუცხოოდ ჩაიარა, ყველა დანიშნული მიზანი შესრულებული იქნა, თითქმის სულ უმსხვერპლოდ (ჩვენ ქუჩაზე მოჰკლეს ფხალადის ყაწვილი და მის ცხედარს რომ წავაწყდი დილას ქუჩაში, საშინელი გულისტკივილი ვიგრძენი.) თითქმის ყველა დიდი კომუნისტი დაატყვევეს აჯანყებულებმა. (მისი დაწვრილებით აღწერა იხ. ვალიკო ჩუბინიძის „მოგონება.“ პარიზი 1953 წ.)

მე მთელი ამ ხნის განმავლობაში ბიძაჩემ სვიმონ წერეთელს არ მოვმორებია. თითქოს ის გადაეჩვია ადამიანებთან შეხვედრას და ხელს არ მიშვებდა, ყველგან დავყავდი. ვარ მასთან ბევრის მნახვე-



ლი და გამგონე. მინდა მაინც ორ მოვლენაზე ვილაპარაკო. ერთი ბთაც ახლაც ხშირად იხსენიებენ. პირველი: ეს იყო ჭიათურის ადრე გამოსვლა 24 საათით. 28 აგვისტოს დილის 10-11 საათი იქნებოდა, გიორგი წერეთელი, სვიმონ წერეთელი და მე ჭიათურის სადგურზე ვიდექით, მათ დაუძახეს ტელეგრაფის განყოფილებაში და იქ წავედით. ტელეგრაფისტი ცნობებს ღებულობდა—თფილის-ბათუმის ხაზის ტელეგრამებს. მან გვითხრა, რომ ჭიათურა 24 საათით ადრე გამოვიდაო და წაგვაკითხა ყველა ის ცნობები და ტელეგრამები, რომლებითაც თფილისი ბრძანებებს უგზავნიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს. იქედან გავიგეთ აგრეთვე თუ რა ნაწილებს უბრძანეს წამოსვლა ჩვენს წინააღმდეგ.

მახსოვს ბიძაჩემი სვიმონი, სახემოდუმული კითხვის ნიშნით მიაშტერდა გიორგის. გიორგი ჯერ გაჩუმებული იყო და მერე თქვა: ქუთაისში გავაგზავნე გრიშა წერეთელი, მას უნდა გაეგო რაშია საქმე, რატომ სხვაგან გამოსვლები არ მოხდაო.

მეორე ამბავი შეეხება ჭიათურის ხაზინიდან ფულის გატანას. უკვე გამოირკვა ოცდარვას, რომ აჯანყებულებს ტყვია-წამალი აღარ ჰქონდათ და ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ ვაზნების სათხოვნად. ისე, ჭიათურაში და მის გარშემო ადამიანთა დიდი რიცხვი მიიღებდა მონაწილეობას გამოსვლებში. იყო აგრეთვე საკმარისი რიცხვი ოფიცრებისა, რომ სხვა კუთხეებისა, ან თფილისისათვის მიეშველებინათ, მაგრამ, ვაი სამინელებაც! ტყვია-წამალი აღარ იყო.

სვიმონმა მითხრა, რომ თუ აჯანყებამ გაძლო, შეიძლება ჯარიდან დახმარება მივიღოთ, რადგან 70% მხედრობა საბჭოთა ხელისუფლების ერთგული არ არისო. თვითონ კი თავისთავზე თქვა, რომ „როცა მთელი საქართველო გამოდის, მე უკან ვერ დაერჩებიო.“

სვიმონ წერეთელმა ამ პირობებში, რომ აჯანყებულებს ტყვიები აღარ ჰქონდათ და არც მშველელი ჩანდა საიდანმე, გადაწყვიტა: „დაშლა“. სწორედ უკანასკნელ წუთს მოვიდა გიორგი წერეთელთან კაცი და უთხრა, რომ ხაზინაში ფულია, წაიღეთ, გამოვადგებათო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ფულის გატანა წინდაწინ მოფიქრებული საქმე არ იყო, და არც იმ წუთში საზღვარგარეთ წასვლაზე ფიქრობდა ვინმე.

## 1924 წლის აგვისტოს დღეები

\*\*\*\*\*

მოფრინდა თვითმფრინავი და დაგვიშინა ტყუილმფრქვეველი. ჭიათურის სკოლასთან ვიდექით და, როცა ტყუილმფრქვეველის ტყიფობა ჩემს გვერდში კედლებს ნატეხები ააგლიჯა, გამოვტყდები: არ იყო სასიამოვნო გრძნობა.

აჯანყებულებმა გაატარეს დაჭერილი კომუნისტი ტყვეები და წაიყვანეს სოფელ პერევისისაკენ. ჩვენც მათ უკან გავყვიით. შორს სერზე რომ ავედი, მომიბრუნდა ერთი ბადრაგათაგანი და მითხრა:

„შენ კარგი ცხენი გყავს, ჭიათურის გამოსასვლელთან შეკრული საბუთები დამრჩა ჩეკიდან წამოღებული, დაბრუნდი და მოიტანე.“  
სასწრაფოდ გამოვქანდი, შეკვრა ვიპოვე და, როცა ცხენს აღმართში მივაჩქარებდი, - თურმე კომუნისტ კურსანტებს დავენახე, - ერთ მოსახვევში ტყუილმფრქვეველი დამახვედრეს და ზედ გადავჩეხე. უცბათ რევოლვერი წამართვეს და ცხენი ჩამომართვეს...

(გაგრძელება იქნება მომავალ ნომერში)

ირაკლი ოთხმეურთი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

„ვ ა კ ა ნ ს ი“ ი ა ლ ტ ა შ ი

( მიხეილ თარაშვილის მოგონებებიდან )

მე ვიყავი გერმანელების ჯარში. ჩემი კომპანია 1941 წლის ნოემბრიდან ყირიმში იყო. რუსებს ეჭირათ კიდევ ყირიმში კერჩი, სევასტოპოლი და რამდენიმე პატარა საზღვაო პორტი.

1942 წლის აპრილიდან კარგი ამინდები დაიწყო, გერმანელებმა შეტევები დაიწყეს ყვლეგან მაისის დასაწყისში, თვის ბოლოსათვის კერჩი იყო მთლიანად გაწმენდილი საბჭოთა ჯარებისაგან.

ჩემი კომპანია ქ. სიმფეროპოლში დაბრუნდა. ველოდით გერმანიაში დაბრუნებას, რადგანაც ასეულმა დიდი მსხვერპლი გაიღო, თითქმის 50% მკვდრებისა და დაჭრილების სახით. მანამდე კი ჯარისკაცებს ქ. იალტაში აგზავნიდნენ ერთი კვირით დასასვენებლად.

ჩვენ კომპანიაში ქართველების ჯგუფი 12 კაციდან შედგებოდა. იმ დროს კი 11-ლა ვიყავით, რადგანაც ექიმის ქაჭიაშვილი მოკლული იქნა ქ. ევატორიაში. 1941 წლის დეკემბერს რუსებმა დესანტი გადმოსხეს კერჩში, ევატორიაში და რამდენიმე სხვა პატარა



შავი ზღვის სანაპირო ქალაქი. ჩვენი კომპანია წავიდა კეპიტული-საკენ ფრონტზე და, როგორც ექიმი, თან წაიყვანეს კაქიაში. ჩვენ 11 უკან დაგვტოვეს ოც კილომეტრზე. ყოველთვის, როცა ჩვენი კომპანია ფრონტზე მიდიოდა, ჩვენ არასოდეს არ მივყავდით, რადგანაც ჩვენი ჯგუფი იყო განსაკუთრებული მოვალეობით. მერე ნაობდნენ, რომ კაქიაშივილი წაიყვანეს.

მოვიდა ჩვენი ჯერიც, ჩემი და ლევან ჯაყელის. სატვირთო მანქანით გაგვამგზავრეს 15 ჯარისკაცი იალტაში, რომელიც ას კილომეტრზეა სიმფეროპოლიდან. იყო ივნისის კარგი ამინდები. მივედით იალტაში, რომელიც პატარა სააგარაკო ქალაქია. იქ ერთი ვერსალის სტილის ლამაზი ორსართულიანი შენობა იყო, მაღალი და დიდი ფანჯრებით. შესავალი მარმარილოსი ჰქონდა და ღვინის ფერი მარმარილოს ფართე კიბეები მოაჯირით მეორე სართულზე ადიოდა. პირველი სართულის კიბეები დაკეტილი იყო. ფელთგებელმა, რომელიც ჩვენი ჯგუფის უფროსი იყო, ზალის კარები გააღო. შიგ არაფერი იყო გარდა ოთხი კედლისა; კედლებზე ემჩნეოდა, სადაც წინად სურათები იყვნენ. იატაკი იყო მუხის პარკეტი. „თქვენ აქ დაიძინებთ იატაკზე“, გვითხრა ფელთგებელმა და დაუმატა: „თქვენ არ გაქვთ უფლება ზღვის პირას წახვიდეთ, ან იბანათ, შეგიძლიათ ისეირნოთ პარკში. მომყვით!“ კარში გამოველით, გაცყვით ერთ გათიბულ გზას და 50 მეტრზე იდგა დაბალი სახლი, რომელშიც შევედით. შიგ ორი ზალა იყო: ერთი დიდი, მეორე პატარა, მის გვერდზე—სამზარეულო. სამზარეულოს მუშამ გვითხრა: „აი აქ ისადილებთ, სადილი 12 საათზე, ვახშამი საღამოს შვიდ საათზე და დილით საუზმე 8 საათზეა.“

სადილის შემდეგ მე და ლევანმა სასახლის ირგვლივ ვისეირნეთ, გარშემო იდგნენ ერთი ან ორ სართულიანი „ვილები“. ერთიდან მეორეში მისასვლელი გზები სავსე იყო ჭინჭრითა და ნარებით. მეორე წელია, რაც არ იყო მოვლილი. გვინდოდა ყველა სახლი დავვითვალიერებია, მაგრამ ამ „ჯუნგლებში“ სიძრული ისე ძნელი იყო რომ ჩვენს განზრახვაზე მალე ავიდეთ ხელი და სასახლეში დავბრუნდით. ლევანმა პირველი სართულის კარი შეაღო, რომ გაეგო თუ რა იყო შიგ. ჩვენ თვალბს არ ვუჯერებდით: დიდი ზალა, რომელიც აგრეთვე მუხის პარკეტით იყო დაგებული, რუმინელი ჯარისკაცების ორ რიგად დაბმული ცხენებით იყო სავსე. იმ ზალაში, სადაც წინად



ცარები, ცარიცინები, იმპერატორები, მეფეები და მთელი მსოფლიოს უმაღლესი წრეები ცეკვავდნენ, იქ ებენ რუმინელთა ცხენები და კუთხეში დიდი გროვა ნენვის. ჩვენ უჭურბდით გაკვირვებული, ლევანმა თქვა: „ნუთუ მეოცე საუკუნეში ადამიანი გადაიქცა ბარბაროსად.“

ერთი კვირა დავრჩით. „პალეს“ თავი დავანებეთ და ახლო მახლო მინდვრებში გავისეირნეთ. იქ პირველად შევხვდით ადგილობრივ გლეხებს. პირველ ხანებში უნდობლად გვიჭურებდნენ, მაგრამ, როცა უთხარით, რომ ჩვენ ვიყავით ქართველები, საფრანგეთში გადახვეწილნი კომუნიზმთან ბრძოლის გამო, მოგვედნენ და გვიამბეს თუ რა გაჭირვებაში ცხოვრობდნენ კოლხოზში.

აქაური მოსახლეობა იყვნენ თათრები. ქალები კარგად ლაპარაკობდნენ რუსულს. კაცები კი იყვნენ მოხუცებულნი, ახალგაზრდები ჯარში იყვნენ წაყვანილნი.

ერთ დღეს ერთ რუმინელ ლეიტენანტს შევხვდით; დაუწყეთ ფრანგულად ლაპარაკი. გაკვირვებული გვიჭურებდა, რომ გერმანელი ჯარისკაცები ფრანგულად ველაპარაკებოდით. ლევანმა უთხრა: ჩვენ გერმანელები არ ვართ. —მაშ თქვენ ფრანგები ხართ? —არა, ჩვენ ქართველები ვართ. —როგორ მოხდა, რომ ფრანგულს კარგად ლაპარაკობთ, ან რას აკეთებთ გერმანულ ჯარში? — ჩვენ ვართ ქართველი ემიგრანტები, მე საფრანგეთში ვარ 1927 წლიდან, ჩემი მეგობარი კი — 1921 წლიდან. — ახლა მესმის, თქვენ ხართ მოხალისენი, იბრძვით თქვენი სამშობლოს გასანთავისუფლებლად, გვითხრა და ხელი გამოგვიწოდა. „მე სამი წელიწადი ვიყავი პარიზში, სორბონში დავამთავრე სწავლა, ვეჭილი ვარ, მე არ ვარ კარიერის ოფიცერი, ჯარში გამიწვიეს. სორბონში ვიცნობდი ერთ ქართველ ტურიაშვილს, იქნებ იცნობდით“, გვითხრა ჩვენ. ლევანმა უპასუხა: „მე კარგად ვიცნობდი, ჩემი მეგობარი იყო.“ რუმინელმა გვითხრა: მე მასთან მიწერ-მოწერა მქონდა 1938 წლამდე, მერე არ მოუწერიაო, რაზედაც ლევანმა მიუგო: ის იყო ადვოკატი სამხრეთ საფრანგეთში ჰქონდა კაბინეტი, ფრანგის ქალი შეირთო, მაგრამ სამშობლო იზიდავდა, დაბრუნდა საქართველოში 1938 წელს და შემდეგ არაფერი ვიცო. ამის შემდეგ ლევანმა ჰკითხა: როგორ მოხდა რომ თქვენი ცხენები პალასში აბიანო. რუმინელ ოფიცერს გაეცინა და გვითხ-

\*\*\*\*\*

რა: „ მე ძალიან მიკვირდა, რომ ეს საკითხი უფრო ადრე აღმოჩნდა მისვით. ჩვენ აქ მოვედით ოქტომბერში გასული წლის, უკვე ცხრი და; ახლო არ იყო თავლა, რომ ცხენები დაგვება. შეიძლებოდა მი- წა გაგვეთხარა, მაგრამ მიწა მხოლოდ ერთი მეტრია, მერე კი ქვეშ კლდე არის. ცხენები რომ გარედ დაგვება დაიხოცებოდნენ. გერმანელებმა მოგვცეს იდეა, რომ აქ დაგვება. ჩვენ ეს არ გვესი- ამოვნა, მაგრამ რას იზამ, ომია!“

**მიხეილ თარაშვილი**

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

**ახალ წიგნებზე გამოძახილი**

**აღ. მანველიშვილი :** რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა

ამ წიგნის სახით ჩვენს გამოცემებს კიდევ ერთი საინტერესო და საკვირო ისტორიული ნარკვევი შეემატა.

როცა ეს წიგნი მივიღეთ „გუშაგის“ უკანასკნელი ნომერი უკვე თითქმის დამთავრებული იყო და თანაც ეს 390 გვერდიანი წიგნი ხომ უნდა წაგვეკითხა, რომ მის შესახებ აზრი გვქონოდა. მაშ, არც ისე დაგვიანებულია მასზე გამოხმაურება, როგორც ამას „ივე- რიის“ ფურცლებზე მეგობარი მიხეილ ქავთარაძე გვისაკვდელურებს.

ბ. აღ. მანველიშვილი წიგნის შესავალში გვაუწყებს: „რუსეთ-სა- ქართველოს ურთიერთობის იტორია აქამდე არავის დაუწერია. საქართველოში ბევრი სპეციალისტი გყავს, მაგრამ შექმნილ პირო- ბებში არ მგონია თუ ამ საკითხის მიუდგომელ შესწავლას ვინმე გაბედავს! ჩემი ცდა იყო პირველი, ამიტომ ის უნაკლო ვერ იქნე- ბა“-ო. ავტორი ალბათ მეოცე საუკუნეს გულისხმობს, თუ არა , ადრინდელზე ბევრი კარგი წიგნია და მათ შორის თვით ბ. აღ. მანველიშვილის: „რუსეთი და საქართველო“ გამოცემული პარიზში 1951 წელს. ამ წიგნის შემდეგ მისი მკითხველი ავტორისაგან მო- ელოდა ვრცლად და ამომწურავად სწორედ მეოცე საუკუნის ურთი- ერთობას, რაც სამშობლოში, ვასაგები მიზეზებით, დამახინჯებულად და პარტიზანულადაა გარჩეული, ხოლო ემიგრაციაში-არაკომპეტენტურად. როგორც ბ. ალექსანდრე გვიხსნის, მას განზრახული ჰქონე-



\*\*\*\*\*

ბია ვრცელი ნარკვევის გამოცემა, მაგრამ ვერ მოუხერხებია დალის საგრძნობლად შეუკვეცავს. რაღაი საკითხი „შეკუმშვაზე“ არაა, აჯობებდა, რომ ანექსიისა და მის მომდევნო მეცხრამეტე საუკუნის ამბები აღარ გაემეორებია და უფრო ვრცლად შენებოდა ამ უფრო საჭირო მეოცე საუკუნეს?

წიგნი ტექნიკურად და რედაქციის მხრით ვერ დგას სათანადო დონეზე, მაგრამ ისე კია, რომ ავტორის აზრის გაგება არ ბრკოლდება. მოსაწონია ავტორის განზრახვა: „წიგნში შევეცადე ნათელმეყო ერთი ძირითადი აზრი: რუსეთის მუდმივი მისწრაფება საქართველოზე ბატონობისა და ქართველების ერთობლივი წინააღმდეგობა.“ კეთილი და პატიოსანი, მაგრამ როგორ გნაბავთ ხალხის ერთობლივ წინააღმდეგობაზე ილაპარაკოთ მაშინ, როცა, სანამ 1918 წ. 26 მაისს დამოუკიდებლობა არ გამოცხადდა, ქართველ ხალხს არ გააჩნდა ისეთი გავლენიანი პარტია, რომელსაც მიზნად ჰქონოდას აღიარებული რუსეთისაგან დამოუკიდებლობა?

ასე იყო თუ ისე, დამოუკიდებლობა გამოცხადდა. შემდეგ, არჩევნებით ქართ. ხალხმა დაამტკიცა, რომ ის მომხრეა დამოუკიდებლობის და იქნებ ამიტომაც უმრავლესობამ ხმა მისცა იმ პარტიას, რომელმაც იგი პრაქტიკულად განახორციელა, ე.ი. სოც. დემოკრატიულ პარტიას და მას მიანდო ქვეყნის მართვა-გამგეობაც.

ამის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა დამარცხდა! ცხადია, დამარცხების პასუხისმგებლობა მთავრობასა და მმართველ პარტიასაც ეკისრება (და არა მარტო მას.) და ისტორიკოსი ამის კვლევა ძიებას გვერდს ვერ აუვლის, მაგრამ, რაც მთავარია, ხალხის ნდობაგამოცხადებულ ადამიანებს პატივისცემით უნდა მოეკიდოს და არა როგორც ბოროტმოქმედებსა და მოღალატეებს. აი აქ ვხედავთ სისუსტეს ბ. მანველიშვილის წიგნში. ავტორს ჭეშმარიტი ისტორიკოსის აკადემიური ტონი კი არ აურჩევია, არამედ პოლემისტის. ის ეკამათება და ზოგჯერ აგდებულადაც სოც. დემოკრატიულ პარტიის ლიდერებს და მთავრობას, მაშინ როცა ისტორიკოსი მშრალ ისტორიულ ფაქტებს უნდა ალაპარაკებდეს.

მე აქ დეტალურად არ ვარჩევ წიგნის ავსა და კარგს და არც

ამის განზრახვა გვაქვს აქ. წიგნი ყველა ინტელიგენტმა უნდა შეიძინოს, ვისაც ჩვენი ქვეყნის წარსული აინტერესებს, განსაკუთრებით ხანა ჩვენი აღდგომისა და დაცემისა. წიგნში მოხმობილი დოკუმენტური მასალები უხვი და უდავოა, მათი განმარტებები და დასკვნები, თვით მკითხველებს შეუძლიათ გააკეთონ.

\*\*\*

### „ივერიის“ უკანასკნელი ნომერი

ბ. მიხეილ ქავთარაძემ „ივერია“ №28-ში, სათაურით „ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების გამო“ გაარჩია აწ განსვენებულ მწერალ ნოდარ დუმბაძის ცხოვრება და შემოქმედება, განსაკუთრებით მისი გახშიანებული რომანი „მარადისობის კანონი.“ აქედან გამომდინარე, ბ. მ. ქავთარაძე აკეთებს პოლიტიკურ დასკვნებს, რომელთაც პასუხის გაცემა ესაჭიროებათ დაწვრილებით. აქ ამის საშუალება არ გვაქვს და შემდეგისათვის უნდა გადავდვათ. აქ კი უნდა განვაცხადოთ, რომ ისინი მავნე და საზარალოა იმ ქართული საქმისათვის, რომელსაც ეროვნული ემიგრაცია ემსახურებოდა, ემსახურება და მომავალშიც უნდა გააგრძელოს სამსახური, რადგანაც სხვაგვარად მის არსებობას აზრი არ აქვს.

\*\*\*

### ალექსანდრე სულხანიშვილზე

ღირს პასუხის გაცემა, თუ არ ღირს? საკითხავი აი რა არის. მან ამ წლის დასაწყისში გაავრცელა აჯაფსანდალი სათაურით: „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებ შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე.“ არ ვიცი თუ ის ბევრმა წაიკითხა. ჩემი აზრით, ვისაც არ წაუკითხავს, ბევრი არაფერი დაუკარგავს. სინამდვილე შიგ შეიძლება იყოს მეტეხის ციხის ამბები. დანარჩენი უშვერი ლანძღვა-გინება და უმსგავსო ცოლისწამებაა ერთთავად ყველასი—ნოე ჟორდანიიდან დაწყებული თქვენს მონა-მორჩილ გიორგი წერეთლამდე.

ამბობენ: კაცი გაავებულია მოხუცების ჟამს, აღარავის ინდობს, განურჩევლად იკბინებაო. მე პირადად, ცოფიანის დაკბენილსაც ავითანდი და შევეუნდობდი, მაგრამ ცილისწამება ისეთი საზიზღარი



\*\*\*\*\*

ბოროტება და დიდი ცოდვაა, რომ ის არც სააქაოს და არც საიქონოს არ შეენდობა ცილისმწამებელს.

გიორგი წერეთელი

\*\*\*\*\*

შ ე ხ ვ ე დ რ ა .

[ 55 ქართველი მოცეკვავე ბრუსელის სამეფო ოპერაში, 16.09.1959 ]

ქართველთ შვილებო! ძველი კოლხეთის და ივერისა, შთამომავალნო დიდებულ ქვეყნის და იმ ერისა, რომლის ძარღვებში კიდევ მოსჩქეფს ძალა ღვთიური, რომლის მშვენება არ ჩამქრალა თქვენში ციური.

მყნვარის მთაზე უფრო სპეტაკი თეთრი მანდილი, და ორი მკლავი გაწვდენილი: მტკვარი, რიონი, წელში წერწეტი, ტანაჭრილი, ორი გიშრის თმა, მოჩანს ქალწულთა მოსრიალე იქ ბახტრიონი.

შეთუბოვარ და თავაზიან ყბათა ნავარდი, ჯიხვთა კამარა! კლდისა წყაროს წმინდა ნაკადი, მთების არწივი და ქალთა წინ ია და ვარდი, ღარბაისელი, გონიერი, ცუდის არ მკადრი.

ვაჟთა ფრენა! ქალთა გოგმანი ნაზი რხევისა, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის, ყველა ხევისა, ჩვენი რწმენა, ჩვენი სურვილი, სულთქმა მგონსური, გამოცხადება მცხეთის ველზე ეს ჯადოსნური.

არმაზის მთაზე, წარმართთ ღროიდან, ცეცხლის ღმერთები, ნიშნად უღმობელ სისასტიკისა, ელვასა სცემდა; და წმინდა ნინო ჯვარსა ვაზისას თვის თმას ახვევდა; ცეკვა და როკვა, მშობლიური ფეხთა ხმაური, განმეორება და განახლება ეს უცნაური.

ი რ ა კ ლ ი ო თ ხ მ ე ვ უ რ ი



ქართული  
წიგლისმოყვარეობის  
კავშირები

ჩ ი ნ ა რ თ ა ნ

ჩემი ბინა კვლავ იქ არის, სადაც რომ ჩინარი,  
ხევის თავთან მთას შეზრდილი, ხარობს უწყინარი.

მე სხვა ბინა ვერსად ვპოვე ფიქრთა შესაფარი,  
მწუხარ სულის სამეფოსთან ასე შესადარი.

უტყვ სევდიან ოცნებაში ჩემებრ ეს ჩინარი  
მღუმარებით შეიფარებს ობოლს უჩინარი.

რომ, მის ხუნძლა ძნა ტოტებში ვპოვე მე საფარი,  
შეგეხიზნო ჭმუნვის ზესას, როგორც მეგობარი.

აქ, სადაც რომ ცივ ღამეში მითთ აღძრული ქარი  
სულს მღლევარეს თან წარიღებს, სადღაც უსვენარი.

მე კი მსურდა, რომ განმეგლო კაეშანის ზღვარი,  
ხის ფოთლების თალხ შრიალში მეგრძნო დღე ცისმარი.

რომ, დამეთრო ქვეყნად ნაზი ყვავილები ქნართ,  
ვყოფილიყვ სათნო გულით მათი მეგობარი.

რომ, დამეცხრო სიყვარულით გული უსვენარი  
და, ამენთო ღვთისმშობლის წინ ლოცვით კელაპტარი!

მაგრამ ვგრძნობ რომ სულისათვის ქრება ვით სიზმარი,  
ყრმობის წელთა გატაცება, ქვეყნის კართან მდგარი.

ქრება ტრფობის სილამაზე-შვენების ღამპარიც;  
რად ვეძებდი ქვეყნად შვებას, თუ ის არსად არის?

ამ გრიგალში ვინ მეძახის, შავად აქ მღლევარი,  
გულის კენესა ვის მოესმა, მწუხრად მოუბარი?

ვგრძნობ რომ სულის სამეფოსთვის ქრება მით სიზმარი,  
ყრმობის წელთა ნაოცნებ, ერთად მზე და მთვარით.

ჩემი ლოცვა ამ ჩინართან სულ უბრალო არის,  
ის წმინდაა, ვით მთის წყარო, ქვებზე მომდინარი.

მე ის მიხმობს სადაც არის ჩემი მაცხოვარი;  
ლაყვარდი ცის მღუმარება და ცივი სამარი!

სოფ. მუზეის-პანენსი, 1943. გიორგი ტოგონიძე



\*\*\*\*\*

შ ე მ ო მ წ ი რ ვ ე ლ თ ა ს ი ა (ფრანგულ ფრანკებში)

დავით ვაშაძე	900-	შალვა ზედგინიძე	100-
ისიდორე გაუონია	293-	სოშოს სათვისტომო	300-
კარლო გვარჯალაძე	125-	ირაკლი ოთხმეზურია	300-
ივლიტე გოგუაძისა	200-	შალვა ცინცაძე	413-
გერასიმე ბოლქვაძე	500-	ვიქტორ ინაშვილი	200-
ნიკო ბედელაძე	100-	მამა ილია მელია	500-
კონსტანტინე ჯაყელი	250-	ტიტიკო ჩხეიძე	172-
გიორგი ტოგონიძე	100-	კვიროსი ჩხაიძე	200-
რევაზ გოგიტიძე	300-	ზოსიმე ჯიშკარიანი	200-
მიშა გოგორიშვილი	300-	მერაბ კვიციანი	500-
დავით დუიშვილი	500	შოთა ბერეჟიანი	100-

ბავლე ვაშაძე - აგვისტოს მსხვერპლთა მოსაგონარ 300-  
 ერმალო ყავრელაშვილი - დისა და დისშვილის მოსაგონარ 1 000 -

ვახტანგ საყვარელიძე - მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ძმის, ლევან(ლენტო) საყვარელიძის მოსაგონარი(502 ფრ. გამოცხადებულია წინა ნომერში)

დავით ბეზიაშვილი - კეთილად მოსაგონრად : პრეზიდენტ ნოე ჟორდანიასი, იუნკერ ვანო ნანუაშვილის, ანტონ ბაინდურაშვილის, ანტუან კომპანიონის, ექ. ფარნაოზ ბალაშვილის, გიორგი ბეზიაშვილის, ნოდარ ბეზიაშვილის, გიორგი მეკოკიშვილის - 1 699 -

ჯ ა მ ი 9 5 5 2 -

უღრმესი მადლობა ყველა ჩვენი საქმის ერთგულ შემწვეთ.

\*\*\*\*\*

გ ა ს წ ო რ ე ბ ა : „გუშავის“ წინა ნომერში, ქორეოგრაფ ილიკო სუხიშვილის გარდაცვალების ცნობაში გაპარულია შეცდომა, განსვენებულის მეუღლე ქალ. ნინოა და არა მარო, როგორც იქ იკითხება.



ცნობა პრეზიდენტ რეიგანის ავადმყოფობაზე

შაბათს 13 ივლისს, პრეზიდენტი რეიგანი დაწვა ბეთისდას სამხედრო საზღვაო ჰოსპიტალში, სადაც მას მუცლის არეში ავთვისებიანი სიმსივნე ამოკრეს. ოპერაციამ საუცხოო კარგად ჩაიარა და უკვე 20 ივლისს საავადმყოფოდან გამოსული პრეზიდენტი, თავის საპრეზიდენტო მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

„გუშაგი“ სიმპატიებს უცხადებს ბატონ როლან რეიგანს და უსურვებს დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს, კაცობრიობის თავისუფლების სამსახურში.

\*\*\*\*\*

შ ი ნ ა ა რ ს ი

- 2 „სოლიდარობა საქართველო“ (რეპრესირებულ ქართველთა დამხმარე კომიტეტი )
- 4 „დიადი გამარჯვება“, თუ: ვაის გავეყარე, უის შევეყარე გულბათ გულბათიშვილი
- 34 ინვექტივა- მონუმენტი (პოემა) გაბრიელ ჯაბუშანური
- 38 ეროვნული მოძრაობა საქ-ში გურამ გელოვანი
- 47 ბირთვული ომის ფარი პაპუნა ლუბაშვილი
- 51 გორბაჩოვის სიურპრიზი გ. ქართველი
- 56 ვიქტორ ნოზაძის მოგონება გიორგი წერეთელი
- 63 შალიკო იაშვილის კეთილი ხსოვნა მეგობარი
- 65 იასონ იორდანიშვილის ორმაგად სამწუხარო სიკვდილი გ. წერეთელი
- 67 1924 წლის აგვისტოს დღეები ირაკლი ოთხმეზური
- 71 „ვაკანსი“ იალტაში მიხელ თარაშვილი
- 74 ახალ წიგნებზე გამოძახილი გიორგი წერეთელი
- 77 შ ე ხ ვ ე რ ა (ლექსი ) ირაკლი ოთხმეზური
- 78 ჩ ი ნ ა რ თ ა ნ (ლექსი ) გიორგი ტოგონიძე
- 79 შემომწირველთა სია

ნ68 | 1



# GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

*Directeur* : GEORGES TSERETELI

ADRESSE: 8, RUE DES MARCHAIS

75019 PARIS

\*\*\*\*\*

EDITION HORS COMMERCE